ნესტან კვარაცხელია

# ᲛᲔᲡᲐᲥᲝᲜᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲫᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

## სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით

თბილისი
2023

**რედაქტორი**

ისტორიის დოქტორი, პროფესორი
**ზაალ ქორთუა**

ISBN 978-9941-8-6174-1

სტამბა „ფავორიტი სტილი“
საქართველო, თბილისი, ა. ენუქიძის ქ. №5
032 2 500 580

ევროკავშირის პროექტის „E4CULTURE“ ფარგლებში შემუშავებული ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში „გასტრონომიის აკადემიის“ აქტივობების ფარგლებში – მომზადდა ისტორიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის ნესტან კვარაცხელიას კვლევა „მესაქონლეობისა და რძის პროდუქტების წარმოების ისტორიიდან დასავლეთ საქართველოში (სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)“ და ითვალისწინებს უნივერსიტეტის ბაზაზე ახალგაზრდებისა და ზრდასრულების სწავლებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერას.

ავტორის მიერ მოძიებული და შესწავლილია ტრადიციულ მესაქონლეობასთან დაკავშირებული კულტურულ-ისტორიული საკითხები, კოლხეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, მსხვილფეხა მესაქონლეობის ტრადიციები და ფორმები, შრომის ორგანიზაცია. გამოკვლევის დიდი ნაწილი ეთმობა რძის პროდუქტების (ყველის სახეობები, ერბო-კარაქი, მაწონი, ხაჭო) წარმოებისა და რეალიზაციის საკითხებს. წარმოების ადგილობრივი წესი შედარებულია მსოფლიოში არსებულ ტრადიციებთან. ნაშრომში ავტორი ხაზს უსვამს სამეგრელოში არსებული ტრადიციული ტექნოლოგიის უნიკალურობას. კვლევა გამოადგება სამეგრელოს ეთნოგრაფიითა და კულინარიის კულტურით დაინტერესებულ სპეციალისტებს და ფართო მკითხველ საზოგადოებას.

## სარჩევი

შესავალი........................................................................7

I თავი

**სამეგრელოს მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული ასპექტები.........................22**

§1. მსხვილფეხა მესაქონლეობის მომშენებლობის ტრადიციები სამეგრელოში..........................................22

§2. მესაქონლეობის ფორმები დასავლეთ საქართველოში ...............................................................34

§3. შრომის ორგანიზაციის ფორმები მთაბარულ მესაქონლეობაში...............................................................52

§4. მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი სამეგრელოში ...............................................................61

§5. საქონლის დაავადებანი და მკურნალობის ხალხური საშუალებანი ....................................................................95

II თავი

**რძის პროდუქტები და მათი რეალიზაციის საშუალებანი..............................................................101**

§1. რძე და რძის პროდუქტები......................................101

რძე.........................................................................101

ყველი .....................................................................102

გუდის ყველი ..........................................................108

სულგუნი..................................................................109

ერბო-კარაქი............................................................119

მაწონი .....................................................................121

§2. ვაჭრობა, ალებ-მიცემობა მესაქონლეობის პროდუქტებით ........................................................ 125

**III თავი**
**მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები .......................................... 129**

დასკვნა ................................................................................ 153
The History of Dairy Production and Cattle Breeding in Western Georgia: According to Ethnographic Materials of Samegrelo ..................................................... 162
გამოყენებული ლიტერატურა ........................................ 165
ტერმინთა საძიებელი..................................................... 178

# შესავალი

მესაქონლეობასთან დაკავშირებული კულტურულ-ისტორიული საკითხების კვლევა ქართული ეთნოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული საკითხისადმი ინტერესი გამოწვეულია იმ როლით, რომელიც მეურნეობის ამ დარგმა შეასრულა საზოგადოების განვითარების ისტორიაში.

ჯერ კიდევ ნეოლითის ხანიდან ეყრება საფუძველი კავკასიაში მესაქონლეობის ცალკე დარგად ჩამოყალიბებას და იმ ძირითადი ფორმების წარმოქმნას, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია.

ოფიციალური მონაცემებით, XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ამიერკავკასიის მთიანი მოსახლეობის 40% ცხოვრების საზრდოს მესაქონლეობისგან იღებდა. ამ პერიოდში ამიერკავკასია მსოფლიო მესაქონლეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად ითვლებოდა. არასრული სტატისტიკური მონაცემებით,

აქ აღრიცხული იყო 190 000 მსხვილფეხა საქონელი. დაახლოებით 5 000 000 ცხვარი და 770 000 ცხენი. საერთოდ ამიერკავკასიის შედარება მესაქონლეობით განვითარებულ ევროპის ქვეყნებთან ფრიად საყურადღებო ფაქტებს იძლეოდა. 100 სულ მცხოვრებზე მსხვილფეხა საქონლის რაოდენობით, ამიერკავკასიას ეჭირა მეოთხე ადგილი, ხოლო ცხვრის რაოდენობით – პირველი დანიასთან ერთად (Вермишев 1888: 34).

ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხები მსხვილფეხა საქონლის შეფარდებით უსწრებდნენ ევროპის ისეთ სახელმწიფოებს, როგორიც იყო დანია, სერბეთი, საბერძნეთი,

შოტლანდია, შვეცია, ჰოლანდია, ნორვეგია და ა.შ. ამ მონაცემებით ამიერკავკასია მთლიანად საქონლის რაოდენობით ევროპული ქვეყნებიდან მეორე ადგილზე იდგა და მხოლოდ დანიას უთმობდა პირველ ადგილს (Андроников 1888: 5).

ამიერკაეკასიის მესაქონლეობის ამ დაწინაურებულ მდგომარეობას სხვა რეგიონთა შორის მნიშვნელოვან ფონს უქმნიდა საქართველოს მესაქონლეობაც. 1884 წლის კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ანგარიშში წარმოდგენილი სტატისტიკური

მონაცემებით თბილისის გუბერნიაში აღრიცხული იყო დაახლოებით 500 000 მსხვილფეხა საქონელი, 909 000 ცხვარი და 80 000 ცხენი. ქუთაისის გუბერნიაში შესაბამისად 150 000 მსხვილფეხა საქონელი, 128 500 ცხვარი და 40 000 ცხენი (Калантар 1890: 5).

ქართველი ხალხის მიერ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შექმნილი მეურნეობის ტრადიციული ფორმები, საქონლის მაღალპროდუქციული ჯიშების გამოყვანა, საკვები ბაზის რაციონალური გამოყენების სისტემა, შრომის ორგანიზაციის ფორმები თუ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება-შენახვის ხერხები და საშუალებები ჯერ კიდევ შორეულ წარსულში გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. ეს მდიდარი ემპირიული გამოცდილება, რომელიც დღეს თითქოს გადმონაშთის სახით არის შემორჩენილი, ახალი აღმავლობის საფუძვლად უნდა იქნას გამოყენებული.

საქართველოს მესაქონლეობის შესასწავლად მრავალი წყარო არსებობს. შეუძლებელია დავასახელოთ საქართველოში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი წყარო,

რომელშიც არ იყოს პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაცემები ქართული მესაქონლეობის ისტორიისა და ეთნოლოგიის საკითხებზე დაწყებული ძველასირიული, ურარტული, ანტიკური, ბიზანტიურიდან და დამთავრებული ძველი ქართული წერილობითი წყაროებით.

საქართველოს და საერთოდ კავკასიის მესაქონლეობის შესწავლა ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში დაიწყო. XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან მესაქონლეობის საკითხებზე მნიშვნელოვანი მონაცემები ქვეყნდებოდა მრავალწლიან პერიოდულ გამოცემებში: „Труды кавказского общества сельского хозяйства“, ხოლო 80-ანი წლებიდან კრებულებში: „Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края“, (I-VII тт. Тифлис, 1887-88 гг), და „Материалы для изучения скотоводства на кавказе“ (I-IV тт. Тифлис, 1887-89 гг). აღნიშნულ გამოცემებში ქვეყნდებოდა ი. ანდრონიკოვის, მ. მაჩაბლის, ა. კალანტარის, ქ. ვერმიშევის, ვ. გეევსკის, ი. ბახტაძის, ა. ნატროევისა და სხვათა ნაშრომები, რომლებიც ეპოქალური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს ეთნოგრაფიულ მონაცემებს შეიცავენ.

საქართველოს სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური ისტორიის თავისებურებებს, რაც დიდ გავლენას ახდენს მეურნეობრივი ცხოვრების ბუნებრივ მიმდინარეობაზე, დიდი ყურადღება მიექცა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის დაარსების პირველი წლებიდანვე. ამ საკითხების კვლევა-ძიებასთან ერთად, მკვლევართა ერთი ნაწილი სპეციალურად ეხებოდა საქართველოს მესაქონლეობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ცალკეულ მხარეებს. რაც ასევე სათანადო პუბლიკაციებში აისახა.

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომელიც მესაქონლეობის დარგში მომუშავე სპეციალისტების ყურადღების ცენტრში მოექცა, მესაქონლეობასთან დაკავშირებული საცხოვრებელი ნაგებობანი და პარალელური სამეურნეო ბაზებია. ამ მხრივ, საყურადღებოა გ. ჩიტაიას „ხევსურული სახლის სენე» (ანალები ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები I თბ., 1947), რომელშიც ნაჩვენებია მთური მეურნეობის პროფილით განსაზღვრული საქონლის სადგომი, საცხოვრებელი ჭერხო, სენე და ა.შ. ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესო მონაცემებია ფიქსირებული თ. ჩიქოვანის ნაშრომში „მთური ჯარგვალი ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე" (კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, თბ., 1961), რაც, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს ამ უძველესი ნაგებობის გენეზისისა და განვითარების განზოგადოებული კვლევით კავკასიურ-წინააზიური არეალის მასშტაბით.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ცალკეული სტატიები და მონოგრაფიები, რომლებშიც შესწავლილია საქართველოსა და მის მომიჯნავე კუთხეებში მსხვილფეხა მესაქონლეობისა და მეცხვარეობის კულტურულ-ისტორიული თავისებურებანი.

საქართველოს მეცხვარეობის პრობლემებს ეხება ა. კაცაძისა და დ. პავლიაშვილის ნაშრომები: ა. კაცაძე „მასალები საქართველოს მეცხვარეობის ისტორიისათვის" (მსე, VII, თბ., 1955) და „მეცხვარეობა ქიზიყში" (საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები თბ., 1964).

სვანეთის მესაქონლეობის შესწავლას ეძღვნება ვ. შამილაძისა და ი. კვიციანის ნაშრომები (შამილაძე 1976) (ი.

კვიციანი, მესაქონლეობა სვანეთში. საკანდიდატო დისერტაცია, 1976).

ქვემო ქართლის მესაქონლეობის ძირითადი ფორმები, მატერიალური ბაზა, რძის პროდუქტები და მათი რეალიზაციის სახეები შესწავლილია თ. ცაგარეიშვილის ნაშრომში „მესაქონლეობის ისტორიისათვის საქართველოში" (თბ., 1964).

მ. მაკალათია ნაშრომში „მსხვილფეხა მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში" ძირითადად ხევსურულ მასალებზე დაყრდნობით ადგენს სამეურნეო კალენდარს და სწავლობს მესაქონლეობასთან დაკავშირებულ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, რიტუალებს. ავტორი აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეებშიც იკვლევს მესაქონლეობის პრობლემურ საკითხებს (მაკალათია 1967), (მაკალათია 1975), (მაკალათია 1978).

აფხაზეთის მესაქონლეობის შესწავლისადმია მიძღვნილი წ. ბჟანიას ნაშრომები (Бжания 1962) (Бжания 1957), რომლებშიც მოცემულია საძოვრების მფლობელობისა და მათი სარგებლობის ორგანიზაციის ფორმები, სამეურნეო ნაგებობანი, რძის პროდუქტების წარმოების და რეალიზაციის საშუალებანი და ა. შ.

ცენტრალური კავკასიის მთიელთა მესაქონლეობა მონოგრაფიულადაა შესწავლილი ბ. გამყრელიძის ნაშრომებში (გამყრელიძე 1971), (გამყრელიძე 1981), (გამყრელიძე 1987), რომლებშიც ძირითადად ყურადღება გამახვილებულია მეურნეობის ამ სფეროში საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის ეთნოკულტურული ურთიერთობის, სამეურნეო სფეროში მათი თანამშრომლობის, ზოგადქართული და კავკასიური ელე-

მენტების წარმოჩენის, საკუთრებისა და მფლობელობის თავისებურებების, შრომის ორგანიზაციის ფორმებისა და სხვათა შესახებ.

აჭარის მესაქონლეობის პრობლემებისადმი მიძღვნილ ვ. შამილაძის ნაშრომებში: (შამილაძე **მმზა**: 1964), (შამილაძე **შოფამ**: 1964), (შამილაძე 1967), (შამილაძე 1968), (შამილაძე 1969), (შამილაძე 1971), (შამილაძე 1975), (შამილაძე 1977), (შამილაძე 1979) განხილულია საქონლის სახეები, სელექციისა და მკურნალობის ხალხური წესები, საკვები ბაზა, შრომის ორგანიზაციის ფორმები და სხვა, რაც ავტორს საშუალებას აძლევს დააზუსტოს საქონლის მოვლა-პატრონობის და მესაქონლეობის წარმოების ფორმათა თავისებურებები. შემდგომში ვ. შამილაძემ გააგრძელა მესაქონლეობის ფორმების კვლევა საქართველოს მასშტაბით, შეკრიბა მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მასალები და გამოაქვეყნა გამოკვლევები. რომლებიც საბოლოოდ განაზოგადა თავის ფუნდამენტალურ ნაშრომი „Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии“, Тбилиси, 1979 (შამილაძე 1979). აღნიშნულ ნაშრომში ავტორის მიერ საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში შეკრებილი საველე მასალების, შესაბამისი არქეოლოგიური მონაცემებისა და ვრცელი სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე გაშუქებულია მესაქონლეობის გენეზისისა და განვითარების უმთავრესი ასპექტები. კლიმატურ-გეოგრაფიულ, ზონალურ თავისებურებათა შესაბამისად განხილულია მეურნეობის დარგთა განლაგება-განვითარების ისტორიული პროცესი ბარის, შუამთისა და მთის ბუნებრივ-ისტორიულ ზონებში,

ნაჩვენებია რომ თუ საქართველოს ბარი მემინდვრეობის. მევენახეობა-მეხილეობისა და მებოსტნეობის დაწინაურებული სამეურნეო კომპლექსით ხასიათდებოდა, შუა ზოლი გამოირჩეოდა მიწათმოქმედება-მესაქონლეობის განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით, მთამაღალი კი მესაქონლეობის უპირატესობით მონოგრაფიაში დაწვრილებითაა გამოკვლეული სამეურნეო კულტურული კომპლექსების ზონალურ თავისებურებათა გავლენა მესაქონლეობის ფორმათა ხასიათსა და მიმართულებაზე, ძირითად და სამეურნეო ბაზებზე, შრომის ორგანიზაციის ფორმებზე და ა. შ.

საქართველოში ქართველი ხალხის მეურნეობის ერთ-ერთი ტრადიციული დარგის მესაქონლეობის ადგილსა და როლს, მის ფორმათა გენეზისისა და განვითარების პროცესებს მიეძღვნა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მასალებიც. მესაქონლეობის

ფორმათა განვითარების ისტორიული პროცესისა და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის პრინციპების დახასიათებასთან ერთად, ატლასში შეტანილია მესაქონლეობის საკვები ბაზის, სათიბებისა და საძოვრების დახასიათება, ცალკეა წარმოდგენილი საქართველოს მთური, მთაბარული ბარული და მომთაბარული მესაქონლეობის ფორმები, მესაქონლეობის მარშრუტები და პარალელური სამეურნეო ბაზები.

დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, სამეგრელოს მეურნეობის აღნიშნული დარგის პრობლემურ საკითხებს შეეხო ვ. შამილაძე ნაშრომში „მესაქონლეობა სამეგრელოში“ (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, თბ., 1974). ამ კუთხის სამეურნეო ნაგებობებს

მიეძღვნა აგრეთვე ნ. თოფურიას სტატია „საქონლის საზაფხულო და საზამთრო სადგომები დასავლეთ საქართველოში“. (მსე, X, თბ., 1967), სადაც მეგრული და გურული ეთნოგრაფიული მასალების შუქზე განხილულია ქართა, აგვარა, ბოსელი, ახორი და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სამეგრელოს მესაქონლეობის ეთნოგრაფიული სპეციფიკის გამოვლენის პირველ ცდას, წყაროდ გამოყენებულია ჩვენს მიერ სამეგრელოს რეგიონში საველე კვლევა-ძიებისას მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა.

მესაქონლეობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა, მეცნიერულ-შემეცნებითი მნიშვნელობის გარდა, სასარგებლოა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ხალხის ემპირიული დაკვირვებების შედეგად გამომუშავებულ მიღწევათა მეცნიერული პროპაგანდის თვალსაზრისითაც.

## ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო

კოლხეთი, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე მთელს დასავლეთ საქართველოს მოიცავს. მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრებია: ჩრდილოეთით კავკასიონის მაღალი მთები, სამხრეთით – მცირე კავკასიონი, აჭარა-ლაზეთის მთიანეთი, აღმოსავლეთით – სურამის ანუ ლიხის ქედი, ხოლო დასავლეთით – შავი ზღვა. დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის მთიანეთის გორაკ-ბორცვები, ხეობები, სერები, ტაფობები და დაბლობი თავიანთი ბუნებრივი გარემოთი მოსახერხებელ დასასახლებელ ადგილებს ქმნიან. აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება საშენი

მასალა – ხე, სხვადასხვა ჯიშის ქვა, თიხა და ა.შ. არის მარმარილო, კირქვა, თაბაშირი, კერამიკული თიხა, სხვადასხვა ფიქალი. კოლხეთში თიხის ჭურჭლის მოჭიქურებისათვის და მინის ჭურჭლის საწარმოებლად გამოიყენებოდა კვარცის ქვიშა. დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილია ისეთი მინერალებიც, რომლებიც ძველთაგანვე გამოიყენებოდა სამკაულების დასამზადებლად. ასე მაგ.: გიშერი, მთის ბროლი, აქატი, სარდიონი. კოლხეთში მეტალურგიული (სპილენძი, რკინა, ტყვია, თუთია, კალა, ვერცხლი) ნედლეულის მოპოვების ძირითადი ადგილებია: რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი, აჭარა. მდინარეების ენგურის, ცხენისწყლის და რიონის ქვიშა გარკვეული რაოდენობით შეიცავს ოქროს.

საყოველთაოდ ცნობილია კოლხეთის მოსახლეობის როლი მეტალურგიული წარმოების საქმეში (ხალიბები, მოსინიკები, მოსხები). კოლხეთის რეგიონი ლითონის წარმოება-დამუშავების მხრივ ერთ-ერთ მსოფლიო ცენტრს წარმოადგენდა. აქ მოსახლეობის მიერ მადნეულის ნაყოფიერმა დამუშავება-გამოყენებამ კოლხური საზოგადოება უკვე ძვ. წ. II ათასწლეულში განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა. ანტიკურ ხანაში კოლხური მეტალის ექსპორტი მეზობელ ქვეყნებშიც ხდებოდა. ამდენად, კოლხეთში სასარგებლო მადნეულის არსებობა იწვევდა ძვრებს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, აქაური საზოგადოების დაწინაურებას და სახელმწიფოებრიობის განვითარების პროცესს აჩქარებდა.

ამგვარად, ძველი კოლხეთი მადნეულით მდიდარი ქვეყანა ჩანს, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო მომპო-

ვებელი და გადამამუშავებელი ხელოსნობა-წარმოების მთელი რიგი დარგების განვითარებას.

კოლხეთის რელიეფი, ტექტონიკური განვითარების თავისებურებების გამო, ორ ძირითად განსხვავებულ ნაწილად იყოფა: მთა-მთისწინეთად და ბარ-დაბლობად. ლიხის დიდი და მცირე კავკასიონის ქედების მთიანეთში გადიოდა ბილიკ-გზები (რიკოთის, ზეკარის, მეფისწყაროს, გოდერძის, მამისონის, ნაკრის, ქლუხორის და სხვა), რომლითაც კოლხეთის მოსახლეობა უკავშირდებოდა დანარჩენ კულტურულ სამყაროს. ეს გადასასვლელები ხელს უწყობდნენ ეკონომიკურ-კულტურული კონტაქტების გაღრმავებას. მთებით შემოსაზღვრული კოლხეთი თავისი რელიეფით (ქედები, ხეობები, სერები, ტაფობები, გორაკ-ბორცვები) მოსახერხებელ თავდაცვით და სამხედრო-ისტორიულ გარემოს ქმნიდა.

ზემოთ ხსენებულ მთათა მყინვარებიდან გამოედინება დიდი და პატარა მდინარეები. რომლებიც შავი ზღვის აუზში ჩაედინებიან. ისინი რაოდენობრივად დაახლოებით 16 000-ზე მეტია. მათ შორის წყალუხვობით უწინარესი ადგილი უჭირავს რიონს, ყვირილას, ცხენისწყალს, ტეხურს, ხობს, ენგურს, კოდორს, ბზიფს, ღალიძგას, ფიჩორს, სუფსას, ნატანებს, ჭოროხს. აღსანიშნავია, რომ აქედან ხობს, ტეხურს, ფიჩორს, სუფსას რიონ-ყვირილას სატრანსპორტო გადასაადგილებელ გზებად იყენებდნენ.

კოლხეთის დედა მდინარეა რიონი (ფასისი), რომლის ნაპირზეც განვითარდა კოლხური ცივილიზაცია. მდინარე რიონი კავკასიონის სამხრეთ კალთებიდან, ფასისის მთის მყინვარებიდან გამოედინება და თავის ფიზიკუ-

რ-გეოგრაფიული მდებარეობით მოხერხებულ სავაჭრო სატრანზიტო გზას წარმოადგენს.

შავმა ზღვამ დიდი როლი შეასრულა კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ზღვის სანაპიროზე მთელი რიგი ნაქალაქარები და სხვა დასახლებული პუნქტებია მიკვლეული (აფსაროსი, ციხისძირი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ურეკი, ანაკლია, ფიჩორი, გიენოსი, დიოსკურია...). ისინი გარკვეულ როლს ასრულებდნენ უცხოეთის სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობაში. პირველ რიგში, სწორედ ზღვისპირა ქალაქების მეშვეობით ხორციელდებოდა კონტაქტები შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან და ქალაქებთან.

დიდია შავი ზღვის როლი კოლხეთის კლიმატის ფორმირებაში, რაც, თავის მხრივ, დიდ გავლენას ახდენს დასავლეთ საქართველოს აგროკლიმატურ სიტუაციაზე და ადგილობრივი მცხოვრებლების სამეურნეო ყოფაზე. ზღვა კოლხეთში თბილი და ნოტიო კლიმატის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

როგორც აღვნიშნეთ, კავკასიონი, ანტიკავკასიონი, ლიხის ქედი და შავი ზღვა ქმნიან ბუნებრივად შემოზღუდულ ტერიტორიას, რომლის შუაშიც კოლხეთის ბარ-დაბლობი და მთისწინეთი ექცევა. ეს ტერიტორია კოლხეთის მთავარი აგრარული სამეურნეო რეგიონი იყო. კოლხეთის ბარ-დაბლობი და მთისწინეთი ხასიათდება დაბლობის ჭაობიანი და ეწერი. მთისწინეთის წითელ და ყვითელმიწა ნიადაგებით. მთისწინეთში და ზეგნებზე ხშირია ეროზიები. კოლხეთის დაბლობი სხვადასხვა სი-

ბრტყეზეა განლაგებული, ამიტომ დასავლეთ ზღვისპირა მონაკვეთში აღინიშნება განსაკუთრებული ჭაობიანობა, ხოლო აღმოსავლეთით უფრო ეწერი ნიადაგებია. ჭაობებში ძირითადად ტორფიანი ნიადაგები სჭარბობს. არის აგრეთვე ჭაობის ქვიშა-ლამიანი ნიადაგები და თიხნარი მონაკვეთებიც. აგრარულ სამეურნეო საქმიანობაში ყველაზე მეტად გამოყენებულია კოლხეთის დაბლობის შემაღლებული მონაკვეთი. სამეურნეო საქმიანობაში იყო ჩაბმული კოლხეთის მთისწინეთის გორაკ-ბორცვიანი ნაწილიც.

კოლხეთი მრავალფეროვანია თავისი მცენარეული საფარით. აქ ვხვდებით რელიქტურ სახეობებს, არის პურეულის ენდემური ჯიშებიც. ალპური სარტყელის ქვემოთ მთა-მთისწინეთი და. ნაწილობრივ ბარიც ძირითადად ტყითაა შემოსილი. კოლხეთის ბარ-მთისწინეთში გაბატონებულია ფოთლოვანი ხეები – მუხა, რცხილა, წაბლი, წიფელი, ცაცხვის ნეკერჩხალი და ა. შ.

შემორჩენილია აგრეთვე მესამეული პერიოდის ხეები – ლაფანი, ძელქვა, შქერი. დაბლობში ტყე ჩახლართულია ხვიარებით (სურო, ღვედკეცი). წინათ კოლხეთის დაბლობზე შემაღლებულ ადგილებში იზრდებოდა მუხა, რცხილა, წიფელი, რაც აქ ამჟამად თითქმის იშვიათობას წარმოადგენს. კოლხეთის ქვემო ნაწილი ტორფიან ჭაობს უჭირავს. ჭაობის და მისი მიმდებარე ადგილებისათვის მცენარეებიდან ძირითადად დამახასიათებელია ლელიანები, ისლიანები, ჩალიანები, გვიმრიანები, სელი, კანაფი და სხვა. ძველი კოლხეთის სამეურნეო ყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ისეთი მცენარეების გავრცელებას, როგორიც იყო მაგ., ხორბლის და ქერის მარცვალი,

ვაზი, ფეტვი, ჭვავი, წაბლი, ღომი, კაკალი, თხილი, ლე-ღვი, ზღმარტლი, ხახვი და სხვა.

კოლხეთის ბარ-დაბლობში უკეთესი მდგომარეობა იყო დასასახლებლად და სამეურნეო საქმიანობისათვის, ბუნებრივია, აქ ხდებოდა კულტურულ-სამეურნეო მცე-ნარეების ახალი ჯიშების შემოტანა-გავრცელება. ზოგ შემთხვევაში ახალი პროდუქციული ჯიშების შემოტანით ძველი ტრადიციული ჯიშები თითქმის ქრებოდა. მაგ., XVII საუკუნეში სიმინდის შემოტანამ თანდათან თითქმის მოსპო ისეთი ძველი კულტურული მცენარე, როგორიც ღომია.

ცხოველთა სამყაროდან კოლხეთში, ენდემურის გა-რდა, მრავლადაა გავრცელებული ევროპული და მცირე-აზიული სახეობები. მარტო კოლხეთის დაბლობზე მეც-ნიერ-მკვლევარების მიერ აღნუსხულია 380-მდე ხერხე-მლიანი ცხოველი. ცხოველთა სამყაროს სიმრავლეზე და მის მრავალფეროვნებაზე იყო გარკვეულწილად დამყა-რებული მოცემულ ტერიტორიაზე მოსახლეობის გამო-კვება. ამიტომ აქ შინაური ცხოველების მოშენება

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეურნეო საქმიანობა უნდა ყოფილიყო. კოლხეთში ნადირობდნენ ისეთ გა-რეულ ცხოველებზე, როგორიცაა არჩვი, ჯიხვი, ღორი, კურდღელი, ირემი, შველი, მურა დათვი. კოლხეთის მდი-ნარეებში ბევრია კალმახი, ლოქო, ორაგული, წვერა. სა-კვებად გამოსაყენებელ ფრინველთაგან გავრცელებულია ხოხობი, გარეული იხვი, ბატი, გნოლი, მწყერი, ამათგან არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო ბაზარზე თითქმის მთელ მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში სახელი მოხ-ვეჭა კოლხურ-ფასისურმა ხოხობმა.

დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში ხშირია ოსტეოლოგიური ნაშთები, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ძველი კოლხეთის მოსახლეობის მეცხოველეობა-მონადირეობის შესახებ. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში აქ მონადირეობას უკვე აღარ ექნებოდა ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობა, როგორც წინა ეპოქებში ჰქონდა. რაც შეეხება მეცხოველეობას, არქეოლოგიურ მასალაში მსხვილი და წვრილი რქოსანი საქონლის (ხარ-ძროხა. თხა, ცხვარი) ძვლები მრავლად არის დადასტურებული. გვხვდება აგრეთვე ღორის, ძაღლის, ცხენის ძვლებიც. ეს ოსტეოლოგიური მონაცემები დღევანდელ დასავლეთ საქართველოს დამახასიათებელ შინაურ ცხოველთა სახეობებს ჩამოჰგავს. საგულისხმოა, რომ არისტოტელე (ძვ. წ. IV ს.) ნაშრომში „ცხოველთა ისტორია“ კოლხეთის ტანმორჩილ ძროხეულს აღწერს. გამწევ სატრანსპორტო პირუტყვთაგან ძირითადად არქეოლოგიურ მასალაში დადასტურებულია ხარისა და ცხენის ძვლები. კოლხეთში ხარის სამეურნეო საქმიანობაში გამოყენების შესახებ აღნიშნავს აპოლონიოს როდოსელი (ძვ. წ. III ს.) „არგონავტიკაში“.

საერთოდ, კოლხეთში და, განსაკუთრებით, მის დაბლობ ნაწილში წვიმების სიუხვე, თბილი ზამთარი და ხანგრძლივი ზომიერად ცხელი ზაფხული ხელსაყრელ პირობებს ქმნის სამეურნეო-აგრარული საქმიანობისათვის. კერძოდ, მემარცვლეობის, მებოსტნეობისა და მევენახეობა-მეხილეობის განვითარებისათვის, რაც კოლხეთს ძველი სამიწათმოქმედო ქვეყნების რიგში აყენებდა.

კოლხეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული და აგროკლიმატური, აქედან გამომდინარე საწარმოო-სამეურნეო პი-

რობები უკანასკნელი ოცდასამი საუკუნის განმავლობაში დიდად არ შეცვლილა.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ XIX საუკუნიდან მოყოლებული საწარმოო ტექნიკის განვითარებამ, ადამიანის გაცხოველებულმა სამეურნეო საქმიანობამ, ტყეების დიდი რაოდენობით გაჩეხვამ, ჭაობების ამოშრობამ და ა.შ., ბუნებრივია, კოლხეთის გეოკლიმატურ პირობებზე უარყოფითად იმოქმედა.

ძველი კოლხეთის ბუნებრივ-გეოგრაფიულმა გარემომ წამყვანი როლი შეასრულა კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში. ნოყიერი ნიადაგი, მრავალფეროვანი რელიეფი, ზომიერი კლიმატი. ჰიდრორესურსების სიმრავლე. მადნეულის სიუხვე, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება საზოგადოების პროგრესისათვის კარგ საფუძველს იძლეოდა. უპირატესად კი ამაზე არის დამოკიდებული საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ინტელექტუალურ-ტექნიკური, სავაჭრო-კომუნიკაციური, სულიერ-კულტურული განვითარების მაღალი დონე.

# I თავი

# სამეგრელოს მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული ასპექტები

## §1. მსხვილფეხა მესაქონლეობის მომშენებლობის ტრადიციები სამეგრელოში

ცხოველთა მოშინაურებისა და მესაქონლეობის ჩასახვა-განვითარების საკითხებზე მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა. სამეცნიერო ლიტერატურაში დღესაც გრძელდება კამათი ამა თუ იმ ცხოველის მოშინაურების დროზე, ადგილსა და პირობებზე.

მესაქონლეობა მიწათმოქმედებასთან და მეთევზეობასთან ერთად ცნობილია ადრე ნეოლითის ეპოქიდან. უძველესი ხანის ოსტეოლოგიური მასალები აღმოჩენილია ჩრდილოეთ აფრიკის, მცირე აზიის, სამხრეთ ევროპის, წინა და შუა აზიის, ინდოსტანის და ინდოჩინეთის ნეოლითურ სადგომებში.

არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული ნივთიერი მასალების, აგრეთვე, წერილობითი წყაროების გამოვლენა-შესწავლასთან ერთად, XIX ს. II ნახევრიდან შინაურ ცხოველთა ადრეული ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილ ნაშრომებში გამოთქმულია სხვადასხვა შეხედულება ცხოველთა მოშინაურებისა და მესაქონლეობის ჩასახვის საკითხებზე. გერმანელი მეცნიერი ედუარდ პანი ხაზს უსვამს რელიგიურ მოტივს, რომ ცხოველთა მოშინაურება მთვარის კულტიდან მომდინარეობდა და საქონლის მოხრილ რქებს პირველყოფილი ადამიანი მთვარის

სიმბოლოდ მიიჩნევდა (Hahn 1896: 98). კარლ ვეილეს აზრით კი, პირველყოფილ ადამიანს მიდრეკილება ჰქონდა, მოეშინაურებინა და დაეახლოვებინა ცხოველები უფრო გართობისა და მოხმარების მიზნით (Веилэ 1923: 123).

XIX ს. დაგროვილი ფაქტობრივი მასალა კაცობრიობის მეურნეობის ფორმებისა და მისი განვითარების შესახებ ახალი არგუმენტირებული თეორიების წამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

ერნსტ გროსესა და ედუარდ ჰანის მიხედვით, თოხნითი მიწათმოქმედება, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის მიმთვისებლური ფორმების – შეგროვება-მონადირეობისგან უნდა განვითარებულიყო, წინ უსწრებდა მესაქონლეობას. ვინაიდან ცხოველთა მოშინაურების საფუძველს მოხეტიალე მონადირული ტომების ყოფა არ იძლეოდა, მას მიწათმოქმედების აღმოცენებასა და შედარებით ბინადარ ცხოვრებას უკავშირებენ (Гроссе 1898: 65), (Hahn 1909:78). არც ცხოველთა მოშინაურების საკითხია საბოლოოდ გადაწყვეტილი. ფიქრობენ, რომ ცხოველთა მოშინაურება ბალახისმჭამელ ცხოველებზე ნადირობის პროცესიდან უნდა დაწყებულიყო. მონადირემ დაიჭირა, მოათვინიერა ახალგაზრდა ცხოველები, გაეცნო და შეაფასა მისი სარგებლობა ადამიანისათვის, იწყო მისი გამრავლებაც.

ისტორიულეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ევროპაში ადრეული მესაქონლეობის რამდენიმე კერა დგინდება, რომელთაგან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად კავკასიაა მიჩნეული.

ცხოველთა მოშინაურებისა და ყესაქონლეოაის პირველადი კერების საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო

ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება პონტოს ისტორიულ პროვინციებსა და მის მომიჯნავე მხარეებს. ცხოველთა მოშინაურებისათვის აუცილებელი გეოკლიმატური და ეკოლოგიური პირობების მიხედვით, კავკასია, კერძოდ, ამიერკავკასია, აზოვისა და შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო, ანატოლიის ზეგანი და მათი მომიჯნავე მხარეები ძროხის, ცხენის და ზოგიერთი სხვა ცხოველის მოშინაურებისა და მომრავლების ერთ-ერთ ადრინდელ ცენტრადაა მიჩნეული (Kothe 1953: 148), (Боголюбский 1956: 80). კავკასიის მიმართ აღნიშნული გარემოება არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული ოსტეოლოგიური მასალებითაც დასტურდება.

კავკასიაში აღმოჩენილია აქ გავრცელებულ შინაურ ცხოველთა ველური წინაპრების – თხის, ცხვრისა და გარეული ხარის ე.წ. ტურის ძვლოვანი ნაშთები.

ხოლო, რაც შეეხება, საქართველოსა და ამიერკავკასიაში ცხოველთა მოშინაურების საკითხს, პროფ. გ. ნიორაძე „დევის ხვრელის" (მდ. ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირი)

პალეოლითურ ფენაში მოპოვებულ ოსტეოლოგიურ მასალას პირველყოფილ ტურს, გარეულ თხას, გარეულ ღორს და სხვა ადამიანთან დაახლოებულ ცხოველებს აკუთვნებს (ნიორაძე 1939: 27-28).

საგვარჯილეს გამოქვაბულის განათხარი მასალებიდან შეიძლება მსჯელობა საქართველოში ხელოსნობის, მონადირეობის, მეთევზეობისა და მიწათმოქმედების განვითარების შესახებ. აქ მოპოვებული პალეოზოოლოგიური მასალა, რომელიც ძირითადად მოშინაურებულ ცხოველებს: ძროხას (Bos Taurus brachycerus), ღორს (Sus scrofa), ცხვარს (0vis arier) და თხას (Capra hircus) ეკუთ-

ვნის, აშკარად მიუთითებს მესაქონლეობის ადგილსა და როლზე მეურნეობის ზემოთ ჩამოთვლილ დარგთა შორის (ციციშვილი 1953: 172-187).

ბურჩაკ-აბრამოვიჩი თრიალეთის ბრინჯაოს ხანის კომპლექსების შესწავლის საფუძველზე საქართველოში ორი სახის საქონლის პრიმიგენიუსისა და ბრახიცეროსის გავრცელებას ადგენს (Бурчак-Абрамович 1934: 157).

თანამედროვე მეცნიერებასაც ძროხის დღემდე არსებული სახეობანი სწორედ პრიმიგენიუსისა და ბრახიცეროსისაგან გამოჰყავს. აღნიშნული თვალსაზრისით, საინტერესოა ისიც, რომ პირუტყვის ამ ორ ტიპს შორის განსხვავება გამოხატული პირუტყვის ტანადობასა და ზომებში (პირველს ახასიათებს ტანის სიმცირე, მეორენი საწინააღმდეგო ნიშნებით ხასიათდებიან) თანამედროვე კავკასიურ მსხვილფეხა საქონელშიც შეიმჩნევა (Калантар 1890: 80).

სადღეისოდ ქართულ-კავკასიურ ძროხას ბრახიცეროსთა რასაში აერთიანებენ[1] და დიდ და მცირე კავკასიონის ჯგუფებად ჰყოფენ. მათგან პირველს ქართულ, ყარაჩაულ, ოსურ, ხოლო მეორეს ყაბარდოულ, კაზახურ, სომხურ და სხვა ჯილაგებს აკუთვნებენ (Калантар 1890: 89).

სამეურნეო-გეოგრაფიული ზონალობის შესაბამისად, საქართველოში გავრცელებული მსხვილფეხა საქონელი

---

[1] ქართული ძროხეულის ბრახიცეროსთა რასაში გაერთიანების იდეა კ. კელერის მიერ იქნა წამოყენებული (Keller K. Studrer uber die Haustiere der Kaukasuslander, გვ. 39-47). ნ. იოსელიანი კი რაჭულ, აჭარულ და ხევსურულ მასალებზე დაყრდნობით ქართული მთური საქონლის Bos taurus brachyceros Rut-ის რასაში გაერთიანებას ამტკიცებს (ნ. იოსელიანი, ქართული brachyceros-ების კრანიოლოგიური გამოკვლევა, გვ. 41-42).

ორ შტოდ: მთისა და ბარის ჯიშის საქონლადაა დაყოფილი. აღნიშნულ კლასიფიკაციაში მეგრული ძროხა ხევსურულ, აჭარულ, სვანურ, ფშავურ და სხვა მთური ჯიშის საქონელთან ერთად, გენეტიკურად ძველკოლხური მცირეტანიანი ძროხის უშუალო მემკვიდრედაა აღიარებული (ჯავახიშვილი, ჯანაშია, ბერძენიშვილი 1964:179), რომლის მაღალ საზონიტეტო თვისებებზე ცნობებს ჯერ კიდევ ფსევდო არისტოტელესთან ვხვდებით[1] (Латишев 1947: 325). ნ. იოსელიანის მართებული დებულებით, ქართული ბრახიცეროსების საუკეთესო მეწველი თვისებების ჩამოყალიბებაზე გარემო კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების ზეგავლენასთან ერთად, ერთ-ერთ გადამწყვეტ წინაპირობად ადამიანის აქტიური სამეურნეო მოღვაწეობაც უნდა იქნას გათვალისწინებული. აღნიშნული ძვირფასი თვისებების შექმნა-ჩამოყალიბება მხოლოდ და მხოლოდ ჯიშების ხანგრძლივი შერჩევა-გამოყვანისა და მოვლა-პატრონობის თავისებური ხერხების გამოყენებით იყო შესაძლებელი (იოსელიანი 1927 : 80).

ადგილობრივი ჯიშის უპირატესობას ეხება ტერ-მოსესიანი, რომელიც ადგილობრივი მესაქონლეობის პერსპექტივას მხოლოდ და მხოლოდ აბორიგენული პირუტყვის მოვლა-პატრონობის, კვებისა და შერჩევა-გამოყვანის აუცილებლობაში ხედავს. ვინაიდან, მისი აზრით, ადგილობრივი მესაქონლეობის განვითარება რენტაბელურია იმ მხრივაც, რომ აბორიგენული პირუტყვი პრო-

---

[1] კალანტარის ცნობითაც, ფაზისზე არის პატარა ძროხები, რომელთაგან თითოეული იძლევა ბევრ რძეს (Калантар А. О развитии молочного скотоводства на черноморском побережье, к. 1, 1911, გვ. 85).

ცენტულად გაცილებით ნაკლებ მიდრეკილებას იჩენს დაავადებისადმი, ვიდრე გამოყვანილი კეთილშობილური ან მეტისი საქონელი (Мосесян 1885: 396). მშობლიურ გარემოს შეგუებული ადგილობრივი ჯიშის შერჩევა-შეკეთებას ხაზს უსვამს ნ. პეტრიაშვილიც.

ადგილობრივი საქონლის შერჩევა-გამოყვანის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოსახლეობას ამიერკავკასიის აბორიგენული პირუტყვის ჯიშების გაუმჯობესებით დაინტერესებული დ. რუდნევი. აბორიგენული საქონლის შერჩევა-გამოყვანას იგი მთლიანად ადგილობრივ მესაქონლეებს ანდობდა, ვინაიდან ისინი შესანიშნავად იცნობდნენ თავიანთ საქონელს და ადვილად ამჩნევდნენ მის ღირსებასა და ნაკლოვანებას (Руднев 1910: 121).

ძნელია დაეთანხმო ნატროევს, რომელიც აბორიგენული ჯიშების შერჩევა-ჩამოყალიბების საქმეში ადამიანთა სამეურნეო-კულტურულ მოღვაწეობას მთლიანად გამორიცხავდა. ვისი აზრით, აღნიშნული პროცესები ამიერკავკასიაში მოხდა თავისთავად, უფრო მეტიც, ბუნებრივი პირობების ადგილმდებარეობის, კლიმატის,

საკვების, ნიადაგის ზეგავლენით. აქ ადამიანის ხელი არა მარტო უმნიშვნელოა, არამედ, შეიძლება ითქვას, სრულიად გამორიცხული იყო (Натриев 1891: 38). აღნიშნული შეხედულებისგან განსხვავებით, ამიერკავკასიაში აბორიგენული ჯიშების შერჩევა-გამოყვანის საქმეს ხალხში ხანგრძლივი და ღრმა ტრადიციები გააჩნდა. აკად. გ. ჩიტაიას აზრით, ხევსურული ძროხის მაღალი საბონიტეტო თვისებები სწორედ ხალხის შრომითა და ოფლით მოპოვებულ, ისტორიულად გამომუშავებულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს (ჩიტაია 2000: 59).

პროფ. ვ. შამილაძის აზრით, ადგილობრივ მესაქონლეთა საჯიშე-სანაშენე საქმიანობაში გარკვეული ჯიშების შერჩევა-შეჯვარების, ადგილობრივ კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების, საკვების შერჩევისა და სხვა დამახასიათებელი თვისებების გათვალისწინება მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობის ხანგრძლივი, ემპირიული ცოდნა-გამოცდილების ნიადაგზე შეიძლება აღმოცენებულიყო (შამილაძე 1964: 56).

სამეგრელოს სამთავროში მეურნეობის ამ დარგის გასაუმჯობესებლად ღონისძიებაც კი გაუტარებიათ. ი. მეუნარგიას ცნობით, დავით დადიანი პირადად დაინტერესებულა სამთავროში კეთილშობილური ჯიშის ძროხების გამრავლებით (მეუნარგია 1939:184).

დასავლეთ საქართველოში საჯიშე-სანაშენე საქმიანობა, მომდინარე ტრადიციასთან ერთად, ეკონომიკური მდგომარეობითაც იყო განპირობებული.

საქართველოში გავრცელებულ მომცრო ტანის მთის საქონელს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად არ იყო გამოსადეგი, ადგილობრივი მოსახლეობა ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოყვანილ დიდტანიან მუშა ხარებს არჩევდა. დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში ასეთი მოზვერების შემოყვანას ხელს უშლიდა არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებიდან დაშორება, არამედ კლიმატური პირობების თავისებურებაც, რაც შემოყვანილი ხარების აკლიმატიზაციას აძნელებდა. აღნიშნული ფაქტორები – მიწათმოქმედ კუთხეში მუშა საქონელზე გაზრდილი მოთხოვნილება და აკლიმატიზაციის სიძნელე – დღის წესრიგში აყენებდა საკუთარი

გაუმჯობესებული ჯიშის მუშა ხარის გამოყვანის აუცილებლობას, რასაც ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები – კოლხეთის დაბლობის მდიდარი საზამთრო, სუბალპური და ალპური ზოლის საზაფხულო საძოვრები, ხოლო, მეორე მხრივ, მოსახლეობის ღრმა ემპირიული გამოცდილება.

საქართველოში ტრადიციულად მომდინარე ხალხური სანაშენე საქმიანობას ღირსეული გამგრძელებლები გამოუჩნდნენ სამეგრელოში კვარაცხელიების სახით. მითითება მათ მიერ გამოყვანილი წითელი მეგრული საქონლის არსებობის შესახებ წერილობით წყაროებში XIX საუკუნიდან ჩნდება. ამ რაიონებში ადრე გავრცელებული ადგილობივი ძლიერ მომცრო ტანის ქართული მთის საქონელი (გოცირიძე 1962: 227) ჰყავდა. ალბათ, მხედველობაში ბოროზდინს, როცა მიუთითებდა სამეგრელოში საქონლის ჯიშის დაკნინებაზე (ბოროზდინი 1927:23).

კვებისა და შენახვის პირობები (ზამთარში ჭალადიდში, ზაფხულში ალპურ საძოვრებზე), ბუნებრივი და ხელოვნური გადარჩევის მიმართულება ხელს უწყობდა კარგი სამუშაო თვისებების მქონე ჯიშების ჩამოყალიბებას. იმ მეგრელ მეჯოგეთა შორის, რომლებმაც ამ ბუნებრივ და ეკონომიკურ პირობებს ალღო აუღეს და ძროხების მოშენებას მიჰყვეს ხელი განსაკუთრებით ძარგ შედეგებს მიაღწიეს ნიჭიერმა მომშენებლებმა ძმებმა კეარაცხელიებმა (გოცირიძე 1962: 230).

კვარაცხელიები და სხვა ძველი მეჯოგეები, რომლებსაც მუშაობის მრავალი წლის გამოცდილება ჰქონდათ, მიზანდასახულ შერჩევასთან ერთად, წითელი მეგრული საქონლის გამოყვანის საქმეში მთავარ მნიშვნელობას პი-

რუტყვის კვებისა და შენახვის პირობებს ანიჭებდნენ. მათ მიერ ჭალადიდის თვალუწვდენელი საზამთრო საძოვრების გამოყენების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა ფურების დღიური ნაწველი. უკეთესი საძოვრებით უზრუნველყოფამ ხელი შეუწყო აგრეთვე ცხოველთა სხეულის სიდიდის მატებას. ამითვე ხსნიან მეჯოგეები რქის სიგრძის მატებასაც.

კვარაცხელიების ჯოგის თვალი და მშვენება „კვარაცხელიას ჭითა“ (წითელი) დიდი ხნის დაკვირვების ცდისა და ზრუნვის შედეგად იქნა გამოყვანილი. უსწავლელმა

მწყემსებმა (კვარაცხელიებმა) შეძლეს შეემჩნიათ სელექციის შესაძლებლობანი, ალღო აუღეს მას და მოსალოდნელ შედეგებსაც მიაღწიეს. მათ ჯოგში დაიწყეს წითელი ფერის პირუტყვის ამორჩევა, სხვა ფერის საქონელი ნახირიდან გაჰყავდათ. ასე გამოყვანილ იქნა ჯერ ღია წითელი ფერის ძროხა, შემდეგ მუქი წითელიც გავრცელდა. დიდი ზრუნვითა და რუდუნებით გამოყვანილ ამ ჯიშს ახასიათებდა კარგად განვითარებული ძვლეული, განიერი სწორი გავა, მაღალი ბეჭი. იყო მსუბუქი, მოძრავი და ენერგიული, რითაც მაქსიმალურად იყენებდა, როგორც ჭაობის, ისე მაღალი ციცაბო მთის საძოვრებს. მუდმივად საძოვარზე ღია ცის ქვეშ ყოფნა და ამასთან დაკავშირებით მკაცრი პირობების ატანის აუცილებლობა ხელს უწყობდა პირუტყვის ჯანმრთელობასა და კარგი სამუშაო თვისებების გამომუშავებას აღნიშნულ გარემოებათა გარდა, სანაშენე საქმიანობაში საკმაოდ სერიოზული იყო კუროს ფაქტორი, რომლის შერჩევა-გამოზრდაზე დიდად იყო დამოკიდებული ჯოგის სისაღე-გამრავლება. ამიტომ მეჯოგეებიც განსაკუთრებულ ყურადღე-

ბას მის მოვლას უთმობდნენ. კუროდ არჩევდნენ დიდტა-ნიან, კარგი მეწველი ფურებისგან მოგებულ ლამაზი აღ-ნაგობის მოზვრებს, რომლებსაც არც დედას უწველიდნენ და რძის მიცემასაც არ უწყვეტდნენ დედის ლაქტაციის დამთავრებამდე. ზოგჯერ მათ ერთდროულად ორ ფურს აწოვებდნენ ხოლმე, ასე ნებიერად გაზრდილ კუროებს, რომლებიც უკვე მესამე წელს ბუღად გამოდგებოდნენ, ყიდდნენ. საკუთარი ჯოგისათვის კი სხვის ჯოგში იგივე პრინციპით არჩევდნენ მოზვრებს და თვალ-ყურს ადევ-ნებდნენ მათი წოვება-წველისა და ზრდა-განვითარების პროცესებს. ჯოგში სისხლის აღრევის აკრძალვა, მთხრო-ბელთა ცალსახა მოწმობით, ჯოგის ჯანმრთელობის აუ-ცილებელი გარანტი იყო (ადგილობრივი კურო თავისსავე ჯოგს მოაბიჭებსო – გადააჯიშებსო).

კვარაცხელიების ნახირი წარმოადგენდა ერთგვარ სა-ნაშენე ბირთვს, საიდანაც წითელი მეგრული საქონელი დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში გავრცე-ლდა. ისინი სანაშენედ ჰყიდდნენ სულ ცოტა 30 ახალგაზ-რდა კუროს. რომლებსაც

სხვა მეჯოგეები ყიდულობდნენ თავიანთი ნახირის გა-საუმჯობესებლად. განსაკუთრებით ბევრი კურო გაჰყა-ვდათ ოზურგეთის მაზრაში (გოცირიძე 1962: 232), აჭა-რაში (შამილაძე 1964: 243)[1]. ამ ნახირიდან გამოყვანილი მუშა ხარებიც უფრო ფასობდნენ, ვიდრე სხვა მეჯოგეთა პირუტყვი.

[1] ეს გარემოება გამოხმაურებაა, ალბათ, იმ შორეული წარსულისა, როცა მეცნიერთა ვარაუდით, ბერძენ კოლონისტებს სხვა საალებმი-ცემო საგნებთან ერთად პირუტყვიც უნდა გაეყვანათ შავიზღვისპი-რეთის ახალშენებიდან (შინამრეწველობის მასალები, № 7, გვ. 158.

ამ ჯიშის მოშენებით მეგრელი მეჯოგეები უნარიანად იყენებდნენ მაღალი ციცაბო მთების საძოვრებსა და შავი ზღვის სანაპიროზე დარჩენილ დაჭაობებულ მასივებს, რასაც სხვა ჯიშის პირუტყვი ვერ გამოიყენებდა. ამ რთულ გეოგრაფიულ პირობებს შეგუებული საქონელი მაღალი წველადობითაც გამოირჩეოდა (8-10 ლიტრს იწველიდა). წითელი მეგრული ძროხის გავრცელების რაიონებში (წალენჯიხა, ჩხოროწყუ, მარტვილი, ზუგდიდი, სენაკი, ფოთი, ხობი, აბაშა, ლანჩხუთი, ჩოხატაური, ვანი, ცაგერი, ბაღდადი, ხონი) მას, აგრეთვე, „მეჯოგეთა საქონელსა“ და „კვარაცხელიას ჯიშსაც“ უწოდებდნენ. ამ სახელწოდებით პირუტყვის აღნიშნულ ჯგუფს, რომელსაც საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე მომთაბარეობის პირობებში აშენებდნენ, განასხვავებდნენ „სოფლის საქონლისაგან“, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში ადგილზე სამომხმარებლო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ტოვებდნენ.

კვარაცხელიების მიერ გამოყვანილი ეს ჯიში და მათი მოვლის მეთოდები შემდეგ სანიმუშო მაგალითად გადაიქცა სამეგრელოს მესაქონლეთა შორის. გ. ელიავა იხსენებს კოლმეურნეთა შორის ჩამჯდარ ჭარმაგ მოხუცს, დარბაისელ ქართველს, რომელიც თავისი გამოცდილების პროპაგანდას ეწეოდა, თავისი გვარის თავკაცებს პირადი გამოცდილების შედეგებს გადასცემდა და მოითხოვდა ეს მეთოდი კვლავაც განეგრძოთ (ელიავა 1989: 59). კვარაცხელიების კვალდაკვალ ჯიშების გამოყვანის და გამრავლების საქმეს ხელი მოჰკიდეს ნაჭყებიებმა, ბერულავებმა და თოდუებმა.

მეგრელ მეჯოგეთა სანაშენე საქმიანობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებულ თვალსაზ-

რისებს ვხვდებით. ნ. გოცირიძეს მოაქვს ვეტექიმ ჩელემისის შეხედულება, რომლის თანახმადაც, მეჯოგეთა პირუტყვის საფუძველს წარმოადგენს უბრალო მეგრული პირუტყვი, რომელიც გაუმჯობესებულია კოლონისტების საქონლის სისხლის ჩართვით, შერჩევით, მოვლის და ნამატის გამოზრდის გაუმჯობესებული პირობების შექმნით. მეორე მხრივ, ა. თამაშევი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს ჯიში მხოლოდ და მხოლოდ შერჩევის გზით ადგილობრივი მთავარკავკასიური პირუტყვისაგან არის გამოყვანილი. მისი აზრით, ყუბანში გადასახლებული მეგრელი მეჯოგეები, საფიქრებელია, ახდენდნენ შეჯვარებას ადგილობრივ ველის წითელ, აგრეთვე ასტრახანულ, ყირგიზულ და სხვა ჯიშებთან, რის შედეგადაც მოსალოდნელი იყო მიეღოთ ისეთი თვისებები, როგორიცაა დიდტანიანობა, წითელი ფერი, დიდრქიანობა და მაღალი პროდუქტიულობა. ნ. გოცირიძე თვლის, რომ მეგრული საქონელი გამოყვანილია ცხოველთა მიზანმიმართული შერჩევა-გამოზრდითა და რამდენადმე გაუმჯობესებული საძოვრული შენახვით მთაბარობის მკაცრ პირობებში. ის. ამავე დროს, არ გამორიცხავდა სხვა ჯიშის ცხოველებთან შეჯვარებასაც (გოცირიძე 1962: 133).

## §2. მესაქონლეობის ფორმები დასავლეთ საქართველოში

**მთაბარული ჯოგური მესაქონლეობა „ტრანსჰუმანსე“ დასავლეთ საქართველოში**. ქართველი ხალხის მეურნეობის ფორმები, რომლებიც საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე იქმნებოდა, წარმოშობისა და განვითარების მრავალმხრივი თავისებურებებით ხასიათდება.

კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებთან ერთად მეურნეობის ფორმათა მრავალგვარობას კავკასიის რთული ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოც განაპირობებდა, რომელიც ზღვისპირეთის სუბტროპიკული ზონიდან თუ უდაბნოსმაგვარი ველებიდან მაღალმთიან ალპურ ზონამდე ხშირად ერთი ხეობის ფარგლებშია წარმოდგენილი.

აღნიშნულ გარემოებათა გამო საქართველოში აღმოცენდა და ჩამოყალიბდა ბარული და მთური მესაქონლეობის ტრანსჰუმანსესა და მომთაბარეობის ყველა ფორმა, რომელიც დამახასიათებელი იყო მსოფლიოს სხვა მთიანი ქვეყნებისთვისაც (Шамиладзе 1979: 89-102).

საქართველოში მესაქონლეობის ფორმათა კლასიფიკაციის საკითხზე განსხვავებულ თვალსაზრისსაც ვხედებით. მ. მაკალათია უარყოფს ზემოთ აღნიშნულ კლასიფიკაციას და საქართველოში ორ ძირითად – ბარულსა და მთურ ფორმას ხედავს (მაკალათია 1985; 11).

აღნიშნულ საკითხზე არც ამიერკავკასიის მასშტაბით შეიმჩნევა ერთსულოვნება. მკრტუმიანის კლასიფიკაციას, ამიერკავკასიაში ოთხი ფორმის – ბინადარი, მომთაბარე, ნახევრად ნომადური და ნომადური (Мкртумян

1971: 123) – მესაქონლეების არსებობის შესახებ, აკრიტიკებს მარკოვი. იგივე ავტორი ვ. შამილაძის მიერ საქართველოსა და კავკასიისათვის გამოყოფილ ოთხი ფორმის მესაქონლეობას მხოლოდ მთური ტიპის მესაქონლეობაში აერთიანებს მ. მაკალათია ეთანხმება მარკოვს მომთაბარე, ნომადური და მთური ტიპების ერთ მოძრავ ტიპად მიჩნევაში, მხოლოდ ბარულის იგივე ფორმასთან მიკუთვნებაში განსხვავებული შეხედულებისაა. ის ვ. შამილაძის მესაქონლეობის ორ ფორმას – ნომადურს – ნომადების ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლასთან დაკავშირებით – და მომთაბარულს (მომთაბარეობას ხმარობს მთური და ბარული მესაქონლეობის, ე. ი. მთაბარობის აღსანიშნავად), მესაქონლეობის მთური ფორმის ქვეტიპად განიხილავს (მაკალათია 1985: 11).

მ. მაკალათია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მონაცემებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ მთური ხასიათის მესაქონლეობა თავის თავში პოტენციურად ატარებს მომთაბარე მესაქონლეობის განვითარების შესაძლებლობებს, როგორც კი საამისო პირობები იქმნება ბარში. საქართველოში გავრცელებული მესაქონლეობის ფორმების კლასიფიკაციას ის საფუძვლად უდევს მოსახლეობის ცხოვრების წესს. კერძოდ, იმ გარემოებას, რომ ორივე ფორმის მესაქონლეობას მისდევდა ბინადარი მოსახლეობა. ამგვარი დასკვნისათვის ამოსავალია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ერთი და იგივე ოჯახები აწარმოებდნენ როგორც მთურ ასევე მომთაბარე მესაქონლეობას (მაკალათია 1985: 11-13), რასაც ეერ განვაზოგადებთ სამეგრელოს რეგიონზე. აღნიშნული რეგიონის საველე მასალები საქართეელოში

გამოვლენილი მესაქონლეობის ფორმებიდან (ბარული, მთური // ალპური, მთაბარული, ნომადური // მომთაბარე) მთაბარული და ბარული ფორმების არსებობას ადასტურებს.

მესაქონლეობის ფორმათა განმსაზღვრელი ძირითადი კომპონენტებით[1] „ტრანსჰუმანსეს" სახელწოდებით ცნობილი[2] ე. წ. „მთაბარული" ფორმისთვის დამახასიათებელია საქონლის ჯოგისა და მომვლელი პერსონალის მუდმივი მოძრაობა საზამთრო, საგაზაფხულო, საზაფხულო და საშემოდგომო საძოვრებზე, რომლის დროსაც საქონლის მოვლა-პატრონობის წლიური ციკლიდან ტერიტორიულად გამორიცხულ ძირითად დასახლებებს შენარჩუნებული აქვთ სამეურნეო ეკონომიური და ორგანიზაციული გაძღოლის ფუნქციები (Шамиладзе 1964 :46). ამ უკანასკნელი თავისებურების გამო „ტრანსჰუმანსე" მიიჩნევა ალპური და მომთაბარე მესაქონლეობის გარდამავალ საფეხურად. თუ ალპური // მთური მეურნეობის წარმოებისას საქონლის

---

[1] მესაქონლეობის ფორმათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის სისტემური კომპლექსიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმსაზღვრელ ფორმაშემქმნელ კრიტერიუმებს, კერძოდ, დასახლებისა და სეზონური სათიბ-საძოვრების ტერიტორიულ განლაგებას, მათ მეურნეობრივ ურთიერთობასა და, აქედან გამომდინარე, საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის დამახასიათებელ თავისებურებებს, რაც მესაქონლეობის ამა თუ იმ ფორმის ორგანიზაციულ გაძღოლასთან იყო დაკავშირებული (Шамиладзе В. დასახ. ნაშრომი, გვ. 58)

[2] ტერმინი Transhumance ცხვრის გადარეკვა საზაფხულო საძოვრებზე (Французско-русский словарь, М. 1967, გვ. 804) ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებულია მესაქონლეობის ისეთი ფორმის აღსანიშნავად, რომლის დროსაც წლის სხვადასხვა სეზონში მწყემსის ზედამხედველობით საქონელს მიერეკებიან დაბლობის, მთის საძოვარზე და პირიქით (საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1986, გვ. 20).

ჯოგი და მომვლელი პერსონალი დაკავშირებულია (ძირითად ბაზებში ხდება საქონლის ბაგური მოვლა-პატრონობა), „ტრანსჰუმანსეს“ პირობებში კოლხეთის დაბლობის ზამთრის საძოვრების ფართო გამოყენების გამო კავშირი ძირითად დასახლებასთან მხოლოდ ეკონომიურ და ორგანიზაციულ ხასიათს ატარებს. ძირითად დასახლებასთან აღნიშნული სამეურნეო კავშირი განასხვავებს ტრანსჰუმანსეს მომთაბარე // ნომადური მესაქონლეობისაგან, რომელიც რამდენადმე ბინადრობას და მეურნეობის სხვა დარგების წარმოებას გულისხმობს (ატლასი 1986: 20).

დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, სამეგრელოს ხელსაყრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები ხელს უწყობდა მსხვილი მესაქონლური მეურნეობის ინტენსიურ განვითარებას.

კოლხეთის დაბლობის გამოუყენებელი თვალუწვდენელი საზამთრო, სუბალპური და ალპური ზონის საძოვრების, გარდამავალ ზოლში კი მთის ფერდობებზე დარჩენილი მდელოების, ხოლო შემოდგომით საყანე ფართობების თანმიმდევრული გამოყენება შესაძლებლობას ქმნიდა, შრომისა და მატერიალური რესურსების მნიშვნელოვანი ხარჯების გარეშე, მთელი წლის განმავლობაში საძოვრულ პირობებში პირუტყვის საკმაოდ დიდი რაოდენობა შეენახათ.

სამეგრელოში მთაბარულ მეურნეობაზე, კერძოდ, მთასა და ბარში მესაქონლეობის სეზონურ ადგილმონაცვლეობაზე თავის დროზე არქ. ლამბერტიც მიუთითებდა. მისი ცნობით, მეგრელი ზამთარში თავს აფარებს ტყეს, სადაც მათი წვრილფეხი და მსხვილფეხი საქონელი სიცივისაგან თავს იფარავს და მშვენირ საბალახოსაც შო-

ულობს. ზაფხულობით კი მიდიან მთა ადგილებში, გაზაფხულსა და შემოდგომაზეც შესაფერის ადგილს არჩევენ (ლამბერტი 1938: 32).

სამეგრელოს მესაქონლეობის მასშტაბურობაზე, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის მეგრელ მეჯოგეთა მიერ ექსპლუატაციასა და მათი გავლენით ცალკეულ რაიონებში მესაქონლეობის განვითარებაზე ცნობებს არაერთ ავტორთან ვხვდებით.

ე. ნაკაშიძის ცნობით, ახალციხის, აჭარის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთისა და გურიის საზაფხულო საძოვრები გამოიყენებოდა მეგრელი მეჯოგეების მიერ (Накашидзе 1891: 250).

გურიის საზაფხულო საძოვრების მეგრელთა მონოპოლიად ქცევას თ. სახოკიაც აღნიშნავს. მისივე ცნობით, გურიაში ბახმაროს სააგარაკო ადგილად აღმოჩენა მეგრელ მწყემსებს მიეწერება (სახოკია 1985: 101-127).

მესხეთის მთების მეგრელთა მიერ გამოყენებასა და კურცხანის ხეობაში მეგრული ტოპონიმების არსებობაზე ცნობებს კ. თორდიასთან ვხვდებით (თორდია 1989).

წ. ბჟანია მეგრელ მეჯოგეთა გავლენით ხსნის აფხაზების მიერ საზაფხულო საძოვრებად ალპური ზოლის გამოყენებას (Бжания 1979: 128).

დ. ბაქრაძის ცნობით, კავკასიის ყველაზე მდიდარ – აჭარა, ახალქალაქისა და არსიანის – საძოვრებზე მრავალრიცხოვან ცხვრის ფარას და მსხვილფეხა საქონელს ერეკებიან დასავლეთ საქართველოდან (Бакрадзе 1878:73).

ზ. ჭიჭინაძის ცნობითაც, აჭარის მომიჯნავე საძოვრებით სარგებლობდა ქუთაისის გუბერნიის, ზუგდიდის, სენაკის მაზრების მოსახლეობა (ჭიჭინაძე 1913: 167).

XIX-XX სს. სამეგრელოს მესაქონლეობის ინტენსიური განვითარებით გამოირჩეოდა ენგურის – ლია, მუჟავა, ჭალე, ფახულანი, ჩქვალერი, ჯვარი (შამილაძე 1964: 59-60) – ჭანისა და ხობისწყლის – ჯგალი, ნაკიფუ, ხაბუმე, მუხური[1], ნაფიჩხოვო, თაია – და ტეხურის ხეობის[2] – სალხინო, დიდიჭყონი, ტალერი, კურზუ, ბალდა – სოფლები.

აღნიშნულ ხეობათა სოფლების საზაფხულო საძოვრები – ყვირა, კერნახონა, ჯარალა, მაგანა, ტობოვარჩხი, ხობწყარი, დიდვე, ურაში, გვანდრა, უსკური დვირა, კემლაკესარი[3], ლაბრახი, ოხაჩქუე, ჩეგვალა, ლებარდე, ასხი[4], საცილო, საკონდახო – საძოვრები იწყებოდა სამეგრელოს ტერიტორიიდან და გრძელდებოდა სვანეთის მთებზე, თვით ყარაჩაის საზღვრამდე.

აღნიშნულ პერიოდში სამეგრელოს მთიანეთის ზოგიერთ სოფლების მსხვილი მეჯოგენი – ნაკიფუელი ძიკი კვარაცხელია, მუჟაველი ჯარნაზ არქანია, მარტვილელი სამსონ ბერულავა და სხვები, რომლებიც აშენებდნენ და-

---

[1] ხობისწყლის და ტეხურის ხეობის სათავეებში მესაქონლეობით დაწინაურებულ სოფელთა შორის ჯგალს, მუხურს, ჯვარს, ბარდავს და კურზუს ხაზს უსვამდა ს. მაკალათიაც (ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1964, გვ. 191).

[2] წარსულში ტეხურის ხეობაში მესაქონლეობის დაწინაურებული ხასიათი მდ. ტეხურისა და მისი შენაკადების სათავეებში შეკრებილი ტოპონიმიკური მასალების ანალიზითაც დასტურდება (გ. ელიავა, გ. ფარულავა, ვ. კირთაძე, ოკაცეს ხეობის საიდუმლოებანი. გაზეთი სოციალისტური სოფელი, 1911, № 135, 4).

[3] დვირა და კემლაკესარი აგრეთვე ოცალუე მეგრელ მეჯოგეთა საძოვრებად დასახელებული აქვს ს. მაკალათიასაც (ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 192).

[4] ასხისა და ლებარდეს მთის უბნების ცალკეული თემების მიხედვით განაწილების შესახებ ცნობებს ვ. შამილაძესთან ვხვდებით (ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13).

ახლოებით 1000-მდე მსხვილფეხა და 3000-მდე წვრილფეხა საქონელს – საზაფხულო და საზამთრო საძოვრებს ქირაობდნენ დასავლეთ საქართველოს და კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში, დაწყებული კოლხეთის დაბლობიდან ადლერის სანახებამდე[1]. საშუალო კატეგორიის მეჯოგე-მესაქონლეებად ითვლებოდნენ 300-400 სული მსხვილფეხი და 200-300 წვრილფეხი საქონლის მფლობელნი – არქანიები, ფიფიები, შამუგიები, არონიები, ნაჭყებიები, ახალაიები, ჩიქოვანები, პაპავები, შენგელიები, სიჭინავები, ბელქანიები. მესაქონლეთა დაბალი კატეგორია 20-30-მდე სული საქონლით იყო განსაზღვრული.

მეგრელ მეჯოგეთა მიერ გამოყენებული მთავარ და მცირე კავკასიონის მთის კალთებზე მდებარე სუბალპური და ალპური საძოვრების დაშორება საზამთრო საძოვრებიდან, რომელიც 50-180 კმ-ით ცვალებადობდა, დაკავშირებული იყო საქონლის გადარეკვის ორგანიზაციულ სირთულესთან. შორ გზაზე მდებარე საზაფხულო საძოვარზე საქონლის გადარეკვისას სერიოზული ყურადღება ექცეოდა ჯოგის მომზადებას, რისთვისაც საქონელს საგაზაფხულო-სააფუნო საძოვრებზე გადარეკავდნენ, საზაფხულო საძოვარზე გადარეკვის პროცესში შემუშავებული ჰქონდათ საქონლის თანმიმდევრული გადარეკვის პრაქტიკა. ჯოგის თავში მიმავალ მსხვილფეხა და ბოლოში მიმავალ წვრილფეხა საქონელს სათავეში ედგა

[1] ყუბანის მდიდარ საძოვრებზე (საზაფხულო კრასნაია პალიანა, საზოთო – სალიონი) საქონელს მიერეკებოდნენ მუჟავადან ლადიკო, ანტონი, ბუჯა ფიფიები, კოლა, უშა, პეტრე, დიანოზი, ელიზბარი, ბექა, სიდო, ჩონთო, ძამი არქანიები, ჯაღრა-ობუჯიდან ივლიონი და გულვარდი კაკაჩიები.

ანალოგიურ გადასვლებში გაწაფული ძროხა და ვაცი. ცხენზე აკიდებულ ბარგს მეთვალყურედ ხანშიშესული მწყემსი ჰყავდა მიჩენილი.

საქონლის გადარეკვისას მეჯოგეებს სამარშრუტო გზებზე წინასწარ ჰქონდათ შერჩეული ღამისსათევი და ჯოგის დასაყენებელი, საქონლის დასალევი წყალი და კოცონის დასანთები ადგილი[1].

ალპური საძოვრების რაციონალური გამოყენების მიზნით მეგრელი მეჯოგეები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ცალკეულ საქონელზე საძოვრის უბნების გამოყოფას. მთის მაღალ სერებზე აძოვებდნენ ცხენებსა და ხარებს. ჩვენს მიერ დაფიქსირებული საზაფხულო საძოვარი სვანეთის მთაზე „ოჭაკე" ცხენებისთვის ყოფილა განკუთვნილი. თუმცა ტოპონიმი დედალი ცხენი – ჭაკიდან მომდინარე ჩანს, აქ საძოვრის ცალკეული უბნები სხვა ცხენებსაც ეთმობოდა. ცხენების საუკეთესო საძოვრად მიჩნეული „ოჭაკე" დიდ ტერიტორიასაც მოიცავდა. მთხრობელები აღნიშნულ საძოვარზე 2000-მდე ცხენს ასახელებენ. მთის მეპატრონე // მენარდე პეტრე როგავას უჩაშონადან (ზუგდიდის რაიონი) ჰყავდა ოცამდე მწყემსი, ჰქონდა ხუთი **საკოჩე** (ცხენის მწყემსის კარავი) და აბარებული ცხენის პატრონისგან 10 მანეთს ღებულობდა.

ს. მაკალათია ცხენების საუკეთესო საძოვრად ასხის მთას ასახელებს, სადაც მეცხენეებს ქოხები ჰქონდათ

[1] საველე მასალებით, ჩვენს მიერ დაფიქსირებული იქნა ცალკეულ მეჯოგეთა მარშრუტები, ღამის სათევი ადგილებისა და საძოვრების ტოპონიმიკური მასალა. სვანეთ-აფხაზეთისაკენ მიმავალ რთულ გზებზე ცნობებს თ. სახოკიასთანაც ვხვდებით (თ. სახოკია. დასახ. ნაშრომი, გვ. 275).

აშენებული და აბარებული ცხენის პატრონისაგან ხუთ მანეთს ღებულობდნენ (ს. მაკალათია 1964: 29).

ბოროზდინის ცნობითაც, ასხის მთაზე გარეკილი ცხენები იმ ზომამდე ველურდებოდნენ, რომ შემოდგომაზე მათ ქამანდით იჭერდნენ ხოლმე (ბოროზდინი და სხვ. 1927 : 23).

ალპური საძოვრების ზოლში ცალკე საძოვარი ეთმობოდა ცხვარსაც. სუბალპურიდან ალპური ზოლისკენ გარდამავალ ტყიან-ბუჩქნარ ზოლს უყოფდნენ თხას. საძოვრის ყველაზე ხარისხიანი უბანი მეწველ საქონელს ეთმობოდა. ხბოები და მშრალი საქონელიც ცალკე იყო გამოყოფილი.

ნ. გოცირიძე აღნიშნავს წითელი მეგრული საქონლის მთაგორიან რელიეფთან შეგუების უნარს. მისი ცნობით, ალპური საძოვრების გამოყენების დროს წითელი მეგრული საქონელი ხშირად ისეთ მაღალ და მიუვალ მთებში ჰყავთ ხოლმე დაბინავებული, სადაც ადგილობრივი მთის ძროხა ვერ აღწევს (გოცირიძე 1962: 189).

საქონელი მალევე დაიტყობდა კავკასიის მთის სუფთა ჰაერისა და ნოყიერი ბალახის კეთილისმყოფელ გავლენას, სწრაფად იწყებდა გამოჯანსაღებას და წველაშიც

საგრძნობლად მატულობდა. კავკასიური ალპური ბალახეულის განსაკუთრებული სარგებლობა თავის დროზე ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ კავკასიის მესაქონლეობის მკვლევართ. ა. კალანტარის აზრით, კავკასიური ალპური ზოლის ბალახს შეუძლია მაღალი ხარისხის ყველის და კარაქის მოცემა, რომელიც შესაძლოა არა მარტო ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო ვაჭრობის საგნადაც იქცეს (Калантар 1891:3).

ი. ანდრონიკოვს კავკასიური რძის წარმოების მთავარ წყაროდ ასევე იალაღების ბალახეულის ყუათიანობა და არომატულობა მიაჩნია (Андроников 1888 : 267).

მეგრული მეჯოგეები კარგად ერკვეოდნენ ბალახეულის ცალკეული ჯიშების მარგებლობა-ყუათიანობაში. მათივე დახასიათებით, „სამყურა" საქონელს სიმსუქნესთან ერთად წველადობასაც უმატებდა, „იონჯა" კი რძეს ცხიმიანობას ანიჭებდა. აღნიშნული ბალახეული მცენარეების განსაკუთრებული ყუათიანობა დადასტურებულია სპეციალურ ლიტერატურაშიც (ანდრეევი 1956: 382-385) (Буазин 1915: 92). ასევე საქონლის საუკეთესო საკვებ ბალახად ითვლებოდა თვაზა, ჩიქი, ზორმეხი, შქერი, ისლი, ხაია, ღოლე, შვინშკილა, მუხვატელა, ჯოლოკეტი და სხვა. მეჯოგეთა დაკვირვებით, ბალახეულის მარგებლობა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო საქონლის მიერ ბალახის ნედლი სახით მიღების დროს. სპეციალურ ლიტერატურაშიც ცნობილია, რომ საძოვრის ბალახში საკვებ ნივთიერებათა რაოდენობა (ცილები, ნახშირწყლები, ვიტამინები...) გაცილებით მეტია ვიდრე თივაში, რომელიც ამავე ბალახიდანაა დამზადებული (ანდრეევი 1956: 382-385.

სექტემბრიდან ალპურ საძოვარზე აცივებასთან ერთად მეჯოგეთა საკარვო მეურნეობა იშლებოდა, ამხანაგობის წევრები ნაწილდებოდნენ და თავიანთი ჯოგით მთისძირა საშემოდგომო საძოვრებზე ინაცვლებდნენ.

საკმაოდ რომანტიკულ მოვლენას უკავშირებს მეგრელი მეჯოგე ალპური საძოვრების დატოვებას. მთის ყვავილი „**გვალაში მოჭყუდუ**" (მთის პატარძალი) ამოვა თუ არა, მწყემსი იწყებს ბარად ჩამოსვლის თადარიგს. თითქოს „მთის პატარძალი" მწყემსს ეუბნება: მთა უკვე

ჩემია და დროა ბარად ჩახვიდეო. **ჯალონა** // **ლეხურა**ში ჩასულ მწყემსს კი სხვა ყვავილები – „მოვარიეები“ ეგებე-ბიან.

სამეურნეო დანიშნულების შესაბამისად ორ ნაწილად გაყოფილი მთის ალპური საძოვრების ზოლს ტიტველას **შუშელ**ს, ხოლო მეორე ზოლს **ჯალონა** // **ლაკადა**ს **ლეხე-რა**ს ეძახიან[1].

**ჯალონა** // **ლეხერა**ში მსხვილფეხა საქონელი ძოვებისა თუ შრომის ორგანიზაციის დანაწილების გარეშე იყო გა-რეკილი, საძოვრების ცალკეული უბნების გაძოვნასთან ერთად მესაქონლეები კარავს შლიდნენ და გადაჰქონდათ ახალ უბანზე.

შემოდგომაზე მთისძირა ჯალონა-ლაკადებიდან სა-ქონლის ბარში გადარეკვისას მეგრელი მეჯოგეები თხისა და ცხვრის ფარას მსხვილფეხა საქონლისგან აცალკავებ-დნენ და სოფლის ახლოს ტყეებში გამართულ **კარე** // **სა-კარე**ებში გადაჰყავდათ.

სამეგრელოს მთიანეთში, ხელსაყრელი ბუნებრივ-გე-ოგრაფიული პირობების შემთხვევაში, **კარე** // **საკარე-**ებში მესაქონლეობის პარალელურად მეურნეობის სხვა დარგების ინტერესებიც იყო გათვალისწინებული (თო-ფურია 1970: 29). აღნიშნულ საშემოდგომო კომპლექსში მეგრელი მეჯოგეები მისდევდნენ სამიწათმოქმედო კულ-

---

[1] მთიანი სამეგრელოს ლანდშაფტის ვერტიკალური ზონალობის დახასიათებისას ი. ძიძიგური გამოჰყოფს ორ ზონა:ს მთა-მდელოს ზონა, რაც, ხალხური გაგებით, ტიტველას // შუშელს შეესაბამება და მთა-ტყის ზონა, რომელიც ასევე ჯალონა // ლაკადის ზოლს ემთხვევა (ი.ძიძიგური, მთიანი სამეგრელოს რელიეფისა და ლანდშაფტური ტიპების დადგენისათვის. ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედ. ინსტ. შრომები ტ. VI, თბ., 1960, გვ. 58).

ტურების – სიმინდის, ღომის, ლობიოს – დამუშავებას. აქვე გამართული სათიბებიდან აღებული მოსავალიც ზამთრისთვის იყო განკუთვნილი. ვ. შამილაძის მასალებით, სოფლის ახლოს **კარე** // **საკარე**ებში მეჯოგეებს მოშენებული ჰქონიათ მაღლარი ვენახიც (შამილაძე 1964 :82).

მთაბარული მესაქონლეობის მნიშვნელოვანი ეტაპი საქონლის გამოზამთრება იყო. სამეგრელოს მესაქონლეობისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო – საზამთრო სამეურნეო კომპლექსები კოლხეთის დაბლობზე – მწყემსებს უხსნიდა საქონლის ბაგურ მოვლა-მოშენებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

სამეგრელოს მთიანეთის ზემოთ დასახელებული ხეობებიდან მეგრელი მეჯოგე-მესაქონლეები ძირითადად სარგებლობდნენ კოლხეთის დაბლობის, აგრეთვე, შავიზღვისპირეთის იმ ძირითადი საძოვრებით, რომლებიც გადაჭიმული იყო ფოთიდან ადლერის სანახებამდე[1].

მეგრელი მეჯოგე-მესაქონლეები კოლხეთის საზამთრო საძოვრებისაკენ ჯალონა // ლაკადებში ჩამოთოვებასთან (ნოემბრიდან) ერთად იღებდნენ გეზს და საზოთოებზე უკვე დეკემბრის დასაწყისში იყვნენ. ვინაიდან ამ პერიოდისთვის კოლხეთის დაბლობზე თავს იჩენდა ე.წ. წვიმის პეპელა, რომელიც ახალმოზარდი საქონლის, უმეტესად **ქაბულ**ებისათვის ღვიძლის დაავადებათა **პეპელა** // **ფარფალ**ის გამომწვევი იყო. მათ ჯალონა // ლაკადებიდან სოფლებში მიერეკებოდნენ და ბაგურ კვებაზე ჰყავდათ.

---

[1] ენგურის, ჭანისწყლის, ხობისწყლის და ტეხურის ხეობების მეჯოგეთა საზამთრო საძოვრებზე იხილეთ ვ. შამილაძის დასახ. ნაშრომი, გვ. 84. მეგრელ მეჯოგეთა საზამთრო საძოვრებზე ცნობებს ს. მაკალათიასთანაც ვხვდებით (ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 132).

მეგრელი მეჯოგეები საზამთრო საძოვრების რაციონალურად გამოყენების მიზნით, მსგავსად საზაფხულო საძოვრებისა, აქაც იყენებდნენ საძოვარზე გაძოვების გარკვეულ წესს. ზამთარში პირუტყვს უფრო მშრალ ადგილას აყენებდნენ და მორიგეობით სადგომის სხვადასხვა მხარეს აძოვებდნენ. მარტიდან, ჭაობის მცენარეულობის აღმოცენებიდან, კი პირუტყვი ამ მასივზე გადაჰყავდათ და საზამთრო საძოვრებიდან წასვლამდე იქ აჩერებდნენ. საზოთოზე საქონელი ძირითადად ტყის ბალახეულით (ისლი, ლაქაშა, იონჯა, მუხვატელა, ხაია ჯოლოკეტი) იკვებებოდა. იშვიათ შემთხვევაში, როცა საზოთოებზე თოვლი მოდიოდა (თოვლიანი დღეების საშუალო რაოდენობა წელიწადში მხოლოდ 7 დღეა), მეჯოგეები პირუტყვს ტირიფის, იფნის, თელის, ნეკერჩხლის, წიფლის და სუროს ტოტებით კვებავდნენ.

საზოთოებში საქონელი დღე-ღამის განმავლობაში საძოვარზე იყო გარეკილი და მის მიერ შერჩეულ ბუნებრივ საწოლზე იწვა. საქონლის გამოზამთრების პერიოდს მეგრელი მეჯოგე-მესაქონლისათვის ძირითადად კვლავწარმოების მნიშვნელობა ჰქონდა. მეგრელ მესაქონლეებს შესანიშნავად ჰქონდათ ორგანიზებული მწარმოებლური ბუღის ჯოგში გაშვებისა და ფურების დაგრილების საქმე. ბუღებს დეკემბრის დასაწყისიდან საზოთოზე აცილებდნენ ჯოგს და მარტამდე ტყეში ჰყავდათ შერეკილი. მარტიდან როცა საქონელი მთისკენ ილებდა გეზს, ბუღას ჯოგში უშვებდნენ და მთის პერიოდში ჯოგთან ერთად ატარებდნენ. საქონელს იზვებაც საზოთოზე იანვარ-თებერვალში უწევდა.

მეჯოგეთა დაკვირვებით, ცივად გამოზრდილი ხბო უზრუნველყოფდა ჯოგის სისაღეს. ახალმოგებული ხბო გა-

ზაფხულამდე მომაგრდებოდა და საზაფხულო საძოვრებისაკენ მოძრაობისას არ აბრკოლებდა ძროხასა და ჯოგს.

მესაქონლეობა-მიწათმოქმედების ინტერესების სიახლოვე დამახასიათებელი ჩანს არა მარტო კარე // საკარეებში, არამედ საზამთრო სამეურნეო კომპლექსშიც. კოლხეთის დაბლობის საზამთრო საძოვრებზე მისდევდნენ მეფუტკრეობას, რაზეც აქ დაფიქსირებული ტოპონიმი „**ნასკალი**“ (ნაფუტკრალი) მეტყველებს. აქვე დასაქმებული ნადირობითა და მეთევზეობითაც.

ისევე როგორც სუბალპური და ალპური საძოვრები, კოლხეთის დაბლობის საზამთრო საძოვრების ცალკეული უბნებიც, თავისი სამეურნეო დანიშნულების მიხედვით, ორ ნაწილად იყო დაყოფილი: საზამთრო ტყიანი საძოვრები და საგაზაფხულო ეწერნიადაგიანი საძოვრები – სააფუნოები.

ბარიდან საქონლის საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვის დროს გარდამავალ საფეხურად სააფუნო საძოვრები გვევლინება[1]. დაახლოებით მარტის ბოლოდან (ხარების დღესასწაულიდან, 25 მარტიდან), სითბოს მატებასთან ერთად მეგრელ მეჯოგე-მესაქონლეებს საქონელი საზოთოებიდან სააფუნოებში გადაჰყავდათ[2].

---

[1] „აფუნი“ თ. სახოკიას განმარტებული აქვს როგორც მთაში წასვლის დრო (თ. სახოკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 363). მ. მაკალათიას მასალებით, ხევსურეთშიც მესაქონლეობასთან დაკავშირებული წლიური სამეურნეო კალენდრის მეორე ეტაპის დასაწყისად „ოცობა“, „ხარებობაა“ მიჩნეული (მ. მაკალათია, მსხვილფეხა მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1964, გვ. 74).

[2] ბარიდან საქონლის მაღალმთიან საძოვარზე და პირიქით მოძრაობის დროს მესაქონლეობის გარდამავალ საფეხურად აჭარაში ყიშლური მეურნეობა გვევლინება (ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969, გვ. 92).

**ბარული მესაქონლეობა**. დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი გარემო დამახასიათებელი თავისებურებებით გამოირჩეოდა ბარული მესაქონლეობის განვითარებისთვისაც. კოლხეთის დაბლობის ჭაობიანი ნიადაგი ზღუდავდა საძოვრებისა და სახნავ-სათესი სავარგულების ფართობებს. ჭარბი ნალექები, რაც ხელს უწყობდა მცენარეულის სწრაფ ზრდას, იწვევდა საძოვრად გამოყენებული მიწების გატყიურებას, რის გამოც კოლხეთის დაბლობის უდიდესი ნაწილის, კერძოდ, ენგურის, ხობის, რიონის და სუფსა-ნატანების აუზების ბარის სოფლები (ნაბაკევი, კახათი, კოკი, ანაკლია, ნარაზენი, ხეთა, ხობი, თორსა, დღვაბა, თეკლათი...) საქონლის საძოვრებად სახნავ-სათეს მიწებთან ერთად ტყიან-ბუჩქნარ სავარგულებს იყენებდნენ.

ბარული მესაქონლეობა, რომლის განვითარება-გენეზისის პროცესები მეტნაკლებად ჩამოყალიბებულ სახეს ანტიკურ ხანაში გუთნითი მიწათმოქმედება-მესაქონლეობის შერწყმული ფორმის სახით აღწევს, გულისხმობს სასოფლო მენახირეთა ზედამხედველობის ქვეშ გაერთიანებული საქონლის ჯოგისა და ცხვრის ფარების სეზონურ მონაცვლეობას სოფლის შიგა და ახლომდებარე საძოვრებზე, ტყეებში, სახნავ-სათესებზე, ანეულებსა და სხვა გასადევარზე ზამთრის გარკვეულ თვეებში სოფლად ბაგური კვების პირობებში შენახვით (Шамиладзе 1979 :63).

დასავლეთ საქართველოში ბარულ მესაქონლეობას განაპირობებდა ერთი მხრივ, ზემოთ აღნიშნული ხელსაყრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, მეორე მხრივ, დაწინაურებული მიწათმოქმედება-მემიდვრეო-

ბის არსებობა, რაც მუშა ძალის ფართო გამოყენებას მოითხოვდა, რის გამოც ბარულ მესაქონლეობაში წამყვანი როლი მსხვილფეხა მესაქონლეობას ენიჭებოდა.

ბარულ მესაქონლეობაში მეურნეობის წარმოების წლიური ციკლის რთული ეტაპი ბაგური კვების პერიოდი, რომელიც ნოემბრიდან მარტამდე გრძელდებოდა[1], განსაკუთრებულ სამზადისს ითხოვდა. ბაგური კვებისათვის იყენებდნენ მცენარეულს, მარცვლეულს და ხელოვნურად შემზადებულ საკვებს. წარსულში გამოუყენებიათ ღომის, პურის და ჭვავის ბზეც[2]. მოჭრილ ღომის ჩალას მზეზე ახმობდნენ, კონებად კრავდნენ და ზვინებად აკეთებდნენ. ეზოში მიწაში ჩაარჭობდნენ გრძელ კოჭს, რომელზეც 2-3 მეტრ სიმაღლეზე აწყობდნენ ჩალის კონებს. როდესაც ჩალის კონების დაწყობა დამთავრდებოდა, მას წვიმის დასაკავებლად ჩალისავე „ქუდს“ უკეთებდნენ (რუხაძე 1979: 85). შემდგომში სიმინდის ჩალა, რომელმაც ღომის კულტურა შეცვალა, საქონლის საზამთრო საკვების ერთ-ერთ გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა. საქონლის ძირითად საკვებს წარმოადგენდა, აგრეთვე,

---

[1] ხევსურულ მასალაზე დაყრდნობით მ. მაკალათია მეურნეობის წარმოების წლიური ციკლის პირველ ეტაპად, სამეურნეო წლის დასაწყისად მიიჩნევს საქონლის ბაგური კვების პერიოდს, რომელიც იწყება გიორგობით და მთავრდება 25 მარტს ხარებობით (მ. მაკალათია, დასახ ნაშრომი, გვ. 50-94).

[2] ღომის ჩალის გამოყენებას ცხენის გამოსაკვებად კ. ბოროზდინიც აღნიშნავს (კ. ბოროზდინი, რაფ. ერისთავი, ჟ. მურიე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96). ი. მეუნარგიას ცნობითაც, „ღომის ჩალასა თივისა წილ ხმარობენ საზამთრო საკვებად უსიტყვოსათა“ (ი. მეუნარგია, დასახ. ნაშრომი, გვ. 94). თ. სახოკიას ცნობით, ღომის ჩალა საქონლის საუკეთესო საკვებად ითვლებოდა და ძვირადაც იყიდებოდა (თ. სახოკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 46).

თივა[1]. ითიბებოდა სათიბები, ნაყანურები აგრეთვე საკარმიდამო სავარგულები, საქონლის საკვებად გამოიყენებოდა ნაქერალი (ქერის ბზე), ნაპურალი, ნალობიერი, ნაძაძარი (ძაძა-სოიოა). გაზაფხულზე ხე-მცენარეთა – წიფლის, თელის, მუხის, ცაცხვის – ნედლი რტოები და აკაციის ყვავილი მეწველი საქონლისათვის განსაკუთრებული მარგებლობით გამოირჩეოდა. მეწველი და მუშა საქონლისათვის გამოყენებული იყო აგრეთვე სიმინდი, ჭვავი (ჭვე), ქერი, მუხუდო, დამატებით საკვებად სიმინდის ფუჩეჩი. დადოლებული თხებისათვის ინახავდნენ შქერის კონებს. ხარს, ცხენსა და კამეჩს შვრიას აძლევდნენ.

შემოდგომით ბაგაზე ახლად დაბმულ მოღონიერებულ საქონელს გაზაფხულამდე, „ბალახზე გასვლამდე“ დილა-საღამოს უხეშ საკვებს ჩალას (**ჶა**ს) აძლევდნენ. გაზაფხულისათვის დასუსტებული საქონელი ნაზი მჭამელი ხდებოდა, უხეშ საკვებს აღარ სჭამდა და კვების რაციონს ემატებოდა ამ დროისათვის შენახული თივა. კარგად კვებავდნენ გუთანში გასაყვან საქონელს – ხარებს, ცხენს, აგრეთვე, ფურებს, რომელთაც დამატებით ცხელ წყალში აზვლილ ღერღილს (მსხვილად დაფქვილი სიმინდი), მუხუდოს ან ქატოს აძლევდნენ. მშრალ საქონელს, ვინაიდან მათ გასუქებას არ ცდილობდნენ, მხოლოდ ჩალაზე გადაატარებდნენ. ზამთარში ახალ წლამდე საქონელს ორჯერ, შემდეგ კი დღის მატების კვალობაზე სამჯერ აჭმევდნენ.

[1] ძველ ქართულში მოუთიბავ ბალახს თივა, მოთიბულ ხმელ ბალახს ხმელი თივა ეწოდება (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. V, თბ. 1986.) საბასთან თივა მოთიბული ხმელი ბალახის მნიშვნელობით იხმარება. (ს.ს. ორბელიანი, ტ. I, თბ., 1991, გვ. 306).

გაზაფხულზე მცენარეული საფარის ზრდასთან ერთად იცვლებოდა პირუტყვის ბაგური კვების რეჟიმიც. მას თივა მხოლოდ დილით ეძლეოდა. ზაფხულში კი საქონელი სულ საძოვარზე იყო გარეკილი.

ბარული მესაქონლეობის საზაფხულო საძოვრების ერთ კატეგორიას ძირითადად სოფელთან ახლო მდებარე საძოვრები, ტყეები შეადგენდა. მეორე კატეგორია, რომელიც განსაკუთრებული მოსავლიანობით გამოირჩეოდა, სახნავ-სათესად იყო გამოყენებული, რომლის საერთო სარგებლობა მხოლოდ ადრე გაზაფხულზე და მოსავლის აღების შემდეგ შეიძლებოდა.

სამეგრელოს ბარულ მესაქონლეობაში, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო, საქონელი საძოვარზე გარეკილი. გაერთიანებას ადგილი ჰქონდა ცალკეულ რაიონებში საქონლის მთის საძოვარზე გარეკვის დროს.

## §3. შრომის ორგანიზაციის ფორმები მთაბარულ მესაქონლეობაში

XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისისათვის სამეგრელოს მესაქონლურ მეურნეობაში მეჯოგე-მესაქონლეთა კატეგორიებიდან გამომდინარე შეინიშნება საძოვრების დაქირავება-ექსპლუატაციისა და შრომის ორგანიზაციის განსხვავებული ფორმები და მეთოდები.

აღნიშნული პერიოდისათვის მსხვილი მეჯოგე-მესაქონლენი, რომლებიც სახელმწიფო კუთვნილებაში არსებულ საძოვრებს ხაზინისგან ქირაობდნენ, არენდატორებადაც გვევლინებოდნენ. თ. სახოკია არენდატორებად ადგილობრივ თავადიშვილებს ასახელებს, რომლებიც ხაზინისგან იჯარით აღებულ მთებს თავის მხრივ მწყემსებს აძლევდნენ (სახოკია 1985 :289).

ე. ნაკაშიძის მასალებით, მსხვილი მეჯოგენი ქირაობდნენ აგრეთვე მემამულეთა საკუთრებაში არსებულ საზამთრო და საზაფხულო საძოვრებს (Накашидзе 1892 :250).

ვ. შამილაძის ცნობით, ჭალადიდის საძოვრებს ხშირად 3-5 წლის ვადით „ტორგით“ იღებდნენ ჯგალელი კვარაცხელიები, რომლებიც შემდგომ საძოვრების ცალკეულ უბნებს არენდით გასცემდნენ თანასოფლელ, ზოგჯერ კი სხვა სოფლების და ხეობების მესაქონლეებს (შამილაძე 1964 :85).

აღნიშნული კატეგორიის მესაქონლენი, რომელთაც ათასობით წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი ჰყავდათ, მრავალრიცხოვანი ჯოგის მოვლა-პატრონობისათვის იყენებდნენ დაქირავებულ შრომას. ნაქირავებ მწყემსს გარკვეული ვადით (ძირითადად 5 წლით) მოსა-

ვლელად აძლევდნენ წვრილფეხა თუ მსხვილფეხა საქონლის განსაზღვრულ რაოდენობას **საშელოდ** // **საშულოდ** // სანახევროდ მონაგებითურთ. გასაცემი საქონლის რაოდენობა დამოკიდებული იყო როგორც ჯოგის რიცხოვნებაზე, ასევე ნაქირავები მწყემსის ასაკსა და სამეურნეო გამოცდილებაზე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დაქირავებულ მწყემსს, რომელიც საკუთრებაში მიიღებდა კუთვნილ წილს, შეეძლო დამოუკიდებლად ეწარმოებინა მეურნეობა. ვადის გახანგრძლივების შემთხვევაში იგივე პრინციპი რჩებოდა ძალაში. ს. მაკალათიას მიხედვით, ბევრი ცხვრის პატრონი მოჯამაგირედ 5 წლით აყვანილ ახალგაზრდა მწყემსს საშელოდ აძლევდა 25 სულ თხა-ცხვარს, გამოცდილს კი 60 სულს (მაკალათია: 193).

კალანტართან კი მწყემსთა დაქირავების ორგვარ პრინციპზეა საუბარი. პირველის მიხედვით, შრომის ანაზღაურება ხდებოდა ნატურით – მწყემსს ეძლეოდა საქონლის გარკვეული რაოდენობა ნამატისა და ნაწველის წილით. მეორე შემთხვევაში დაქირავება ხდებოდა ფულზე (80-100 მან. წელიწადში), რომელსაც ემატებოდა კვირაში მისთვის დანიშნულ დღეს გაჩენილი ნამატიც (Калантар 1891 :145).

აფხაზური მასალებით კი, ნაქირავებ მწყემსს, კუთვნილ წილს გარდა, დამატებით აძლევდნენ ერთ მეწველ თხა-ცხვარს (Бжания 1962: 77).

ნაქირავები მწყემსები დამოუკიდებლად გასვლის შემდეგ, უკვე მეპატრონედ ქცეულნი, ურთიერთობას როდი წყვეტდნენ ნაამაგარ დამქირავებელთან, მასთან ერთგულება სიყვარულს ნათელ-მირონობით განამტკიცებდნენ.

ნ. ბჟანიას მასალებით, ფარის გამოყოფის შემდეგ დაქირავებული მწყემსი საკუთარი ჯოგიდან ამორჩეულ თხას ან ცხვარს ჩუქნიდა მეპატრონეს. ის დაკლავდა მას, დალოცავდა ახალგაზრდა მწყემსს და დაკლულის სანაცვლოდ თავისი ჯოგიდან აძლევდა სამაგიეროს, რომელსაც „ლოცვის საფასური“ ერქვა. ყოველ დღესასწაულზე მწყემსი მეპატრონეს ნახულობდა, ტრაურის დღეს კი სამსხვერპლო საქონელი მიჰყავდა (Бжания 1962: 78).

სამეგრელოს მთიანეთის საშუალო მეჯოგეთა კატეგორია ცალკეულ ჯგუფებად ერთიანდებოდნენ, რომელსაც „**ოკათური**“ (კათაფა-გარევა) ეწოდებოდა.

თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დამყარებული მეგრელ მეჯოგეთა სეზონური გაერთიანება „ოკათურის“ მსგავსი ფორმები აფხაზეთში „**აგუპი**ს“, თუშეთში „**დარევის**“, ქიზიყში „**მონარევის**“, აჭარაში „**მენახირეობის**“ და ფშავში „**შენამგლავების**“ სახელითაა ცნობილი (შამილაძე 1964: 64), ( გამყრელიძე 1988: 124).

ოკათურის აუცილებლობას განაპირობებდა საზამთრო საძოვრების დაცილება საზაფხულო ალპური საძოვრებისაგან, საქონლის გადარეკვის შორეულ მარშრუტებთან დაკავშირებული სირთულეები და ამხანაგობის მრავალრიცხოვანი ჯოგისათვის საძოვრის გარკვეული ფართობის დაქირავება-ექსპლუატაციის ეკონომიკური მხარეც.

**ოკათურ**ში, თანასწორუფლებიანობის პრინციპის მიუხედავად, ირჩევდნენ სამეურნეო გამოცდილების მქონე **დუდი კოც** (ბინის თავს), რომელსაც აგრეთვე **დუდი ჭყიში**ს (მეთაური მწყემსი), **უნჩაში ჭყიში**ს (უფროსი მწყემსი), **კარეში უნჩაში**ს (სამწყსოს მეთაური) სახელებით მოიხსენიებდნენ.

სამურზაყანოში მესაქონლეთა გაერთიანებას თ. სახოკია შემდეგნაირად აღწერს: „გაზაფხულზე რამდენიმე მწყემსი ერთმანეთს შეჰპირდება, **ფანიად** (ერთ ოჯახად, ერთ კარვად) შევერთდეთო. მერე ერთიმეორეს თავიანთ საქონელს ასინჯვინებენ. ნახეთ, მთელი საქონელი მყავს, თუ გასარევი ვარ გამირიეთო. რაკი ერთ ფანიად შედგებიან, ირჩევენ სარქლად ერთ გამოცდილ სიტყვა-პასუხიან მწყემსს, რომელსაც მთიდან ჩამოსვლამდე დანარჩენები ყველაფერში ემორჩილებიან, როგორც უფროსს. უიმისოდ ფეხს ვერ გადადგამენ, ის არის მათი ხელმძღვანელი, გზის მაჩვენებელი“ (სახოკია 1985 :365).

წ. ბჟანიას მასალების მიხედვით, **დუდი კოჩი** //აგუპის თავი // „აცემიში“ უნდა ყოფილიყო ხანშიშესული ავტორიტეტული კაცი, რომელიც, სხვა მეზობელი მწყემსების მეთაურებთან ერთად, განსაზღვრავდა თავისი და სხვისი საძოვრების საზღვრებს, თვალ-ყურს ადევნებდა შრომითი მოვალეობის შესრულებას, საჭიროების შემთხვევაში სჯიდა ან ათავისუფლებდა მწყემსებს თავისი მოვალეობისაგან, მასვე ევალებოდა სტუმრის მიღება-გამასპინძლების ორგანიზება და ა. შ. აგუპის უფროსს ჰქონდა განცალკავებული სკამი, რომელზეც მხოლოდ მასზე უხუცესს ან ცნობილი გვარის წარმომადგენელს თუ დასვამდა. ის სიბერემდე წარმოადგენდა აგუპის უცვლელ მეთაურს და გადაირჩეოდა მხოლოდ ხანდაზმულობის გამო. ახალი აგუპის თავის არჩევაც მისი ხელდასმით ხდებოდა, რომელსაც ის საუფროსო რეგალიებს – კვერთხს და არგანს თვითონ გადასცემდა (Бжания 1957 :68).

მეგრელ მეჯოგე-მესაქონლეთა ძირითადი ორგანიზაციული საქმიანობა მთაში ასვლასთან ერთად წყდე-

ბოდა. საზაფხულო საძოვარზე ასვლის პირველ დღესვე ხდებოდა ამხანაგობის მოწყობა-დაბინავება, მწყემსთა განაწილება ცალკეული სახის საქონელზე და კარვის მომსახურე პერსონალის თუ რძის მეურნეობის გამძღოლი პერსონალის გამოყოფა.

საძოვრის დანაწილების ვერტიკალურ-ზონალური პრინციპი, რომელიც სხვადასხვა სახის საქონლის გამოცალკავებას გულისხმობდა, სამეგრელოს მთიანეთში პირდაპირ კავშირში იყო მესაქონლეობის გაერთიანებ-ამხანაგობის შრომის ორგანიზაციის ფორმებთან (შამილაძე 1964: 79). ამხანაგობის ცალკეულ წევრთაგან, ამა თუ იმ პირის მესაქონლეობაში კონკრეტული გამოცდილების მიხედვით, გამოიყოფოდა **მეხელე** ყველისა და საჭმლის დასამზადებლად, რომელსაც **კარეში მადიარაფალ**ს // კარვის დამპურებელსაც ეძახდნენ, **ნაცვალი** – მეხელეს დამხმარე პირი შეშის მოსატანად, ჭურჭლის დასარეცხად, **მეუხაფუე** – ბერწი // მშრალი და ახალმოზარდი საქონლის მწყემსი, **მეშხურე** – ცხვრის მწყემსი, **მექაცარე** – თიკნების მწყემსი, **მეთიე-მეკერძე** – მწყემსთათვის, განსაკუთრებით ცხვრის მწყემსთათვის, კერძის მომტანი და **მაჯინუ** – მონადირე.

აღნიშნულ პირთაგან ყველაზე საპატიო და საპასუხისმგებლო **მეხელე** // მოხელეს მოვალეობა იყო. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისაგან განსხვავებით, სადაც რძის მეურნეობის წარმოებას ქალი **მემთე** // **მემთევრი** უძღვებოდა, სამეგრელოს მთაბარული მესაქონლეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს საქმიანობა უკვე ქალის სფეროდან გამოდიოდა და მეურნეობრივად გამოცდილ და ფიზიკურად ძლიერი მამაკაცის მარჯვენას მოითხოვდა.

მაღალხარისხოვანი ყველის დამზადების უმთავრესი პირობა სისუფთავის დაცვა რომ იყო, ეს მეხელის სისუფთავისადმი დამოკიდებულებაში (ის გარეთა ტანსაცმლით სარძიეში არ შევიდოდა) და მის ჩაცმულობაშიც (ჰქონდა სპეციალური ქუდი, წინსაფარი და ულვაშის ასაკრავი – **იზგვინჯი**) ჩანდა.

ბარად სტუმართმოყვარე მეგრელი არც მთაში გაქცევია ამ ტრადიციას. კაცს დანატრებული მწყემსები სტუმრის მოსვლას განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივით ხვდებოდნენ[1]. მათ მიერ შემუშავებული „კარვის წესები" სიყვარულით გაჯერებული იუმორია. სტუმარს, რომელიც შეთავაზებულ მაწონს ვერ გაათავებდა, შეშის მოტანით აჯარიმებდნენ. მაწვნის დამატების მსურველს, რომელიც ჯამს კოვზსაც გაატანდა, სავსე ჯამთან ერთად ტარდასველებულ კოვზს უბრუნებდნენ და ა.შ.

უძღვებოდა რძის მეურნეობის წარმოებას, მეხელე რძის ნაწარმთა განაწილებისას ორგვარი პრინციპით ხელმღვანელობდა. თითოეული მეჯოგის ყველს (რძეს ზომავდნენ **კაიხინტკა**თი) შესაბამის ნიშანს **კაკ**ს // **ხნწრ**ს ადებდა – **ხნწრანდ**. ხშირ შემთხვევაში რძის ნაწარმს დღეების მიხედვითაც ანაწილებდა.

თუ ტრანსჰუმანსეს დროს შრომის გაერთიანების ფორმა **ოკათური** რძის მეურნეობაშიც შესაბამის გაერთიანებას განაპირობებდა, ბარულ მესაქონლეობაში რძის მეურნეობის გაერთიანებას ეკონომიური დაინტერესება ედო საფუძვლად.

---

[1] მთაში სტუმრობის საინტერესო აღწერილობას თ. სახოკიასთან ვხვდებით (თ. სახოკია, დასახ. ნაშრომი. გვ. 359)

საველე მასალებით, სამეგრელოს ცალკეულ სოფლებში დასტურდება საქართველოსთვის ნიშანდობლივი „ხანულობის“ სახელით ცნობილი[1] რძის გასესხების წესი, რომელსაც გარე კახეთში „**ჯერით წველა**ს“ (ცაგარეიშვილი 1987:9), მესხეთ-ჯავახეთში „**ხარგაობა**ს“, სამეგრელოში კი „**ალადგმა**ს“ (გვერდით დადგმას) ეძახიან.

სამეგრელოს ბარში 2-3 მცირერიცხოვანი მეწველი პირუტყვის პატრონნი რამდენიმე დღით ერთმანეთს უთმობდნენ თავიანთი ძროხის რძეს, რათა ყველის გარკვეული მარაგი მოეგროვებინათ.

სამეგრელოსგან განსხვავებით, საქართველოს სხვა კუთხეებში მას უფრო ორგანიზებული სახე ჰქონდა. კარაპეტიანის ცნობით, 3-4 მეზობელს, რძის სესხების მიზნით, მოწველილი რძე მიჰქონდა ჯერ ერთ წევრთან 5-10 დღე, მერე – მეორესთან (Карапетян 1987:153). ხანულის ყოველ წევრს მეტი რაოდენობის რძის მისაღებად სურვილისამებრ შეეძლო გაერთიანება სხვა ხანულის წევრთანაც. ხანულობას ასეთი ორი წევრისგან ერქვა „**ხარგა**“, მათ ურთიერთდამოკიდებულებას კი „**ხარგაობა**“. ხანულობა სომეხი მოსახლეობისთვის „ხაბ“ის სახელითაა ცნობილი (Карапетян 1987: 153).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთაბარული მეურნეობის დროს მესაქონლეთა განსხვავებული კატეგორიებიდან

---

[1] ხანული რძის მოზიარენი დიაცნი (ს.ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 1993, გვ. 416.) ხანული რძის მოზიარე მსოფლიონი დედაკაცნი, მწველელთა ფურთა პატრონნი, ორნი, სამნი (ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ., 1961, გვ. 467). Абазадзе Н., Ханулоба – обычай соучастия в молоке. ЭО, № 1, 1898.

გამომდინარე, შრომის ორგანიზაციის განსხვავებული ფორმებიც გამოიკვეთა. თუ მსხვილი მეჯოგენი მწყემსებს ქირაობდნენ, საშუალონი ოკათურში ერთიანდებოდნენ, მათგან განსხვავებით მცირერიცხოვანი საქონლის მფლობელნი, საქონლის ბარული მოვლა-პატრონობის წლიურ ციკლში, ზაფხულობით მშრალ საქონელს **მენარდე** // მეარეენდეებს აბარებდნენ. წერილობით წყაროებში კი ცნობებს მხოლოდ ცხენის აბარებაზე ვხვდებით (ს. მაკალათია: 1964: 190) საქართველოს სხვა კუთხეებში საქონლის გაბარება საზაფხულო საძოვრებზე საკმაოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა. აჭარაში საქონლის გაბარებისა და ქესუმად აყვანის ფორმები დასჭირდება (შამილაძე 1969: 115).

სამეგრელოს ბარულ მესაქონლეობაში შრომის გაერთიანების განსხვავებულ ფორმებსაც ვხვდებით. ცალკეულ სოფლებში მშრალი საქონლის ალპურ საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვასთან დაკავშირებით იკრიბებოდნენ მენახირეები თითოეული ოჯახიდან, რომელთაც მორიგეობით უწევდათ მთაში საქონლის მწყემსვა. ჭირში თანადგომა არც სამეგრელოსთვის ყოფილა უცხო. საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, სტიქიური უბედურების თუ სხვა გარემოებების გამო, საქონლის ჯოგის განადგურების შემთხვევაში მიმართავდნენ დაზარალებული მწყემსის ფეხზე წამოყენება-დახმარებას[1].

ასე ერთმანეთის შეწევნითა თუ საკუთარი შრომისმოყვარეობით ძლიერი მეჯოგე-მესაქონლენი 30-40-იან წლებში განკულაკების მსხვერპლნი შეიქმნენ. ახალი წყო-

[1] „აზარაზე“ იხ. ს. მაკალათია (ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 190).

ბისათვის მიუღებელი კულაკებად მონათლული მსხვილი მეჯოგენი, რომელთაც ნება დართეს საკუთრებაში ჰყოლოდათ 3 მსხვილფეხა და 25 წვრილფეხა საქონელი, თავიანთ ნაამაგარს თვითონვე ანადგურებდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დასავლეთ საქართველოში ცალკეულ მეჯოგეთა პირუტყვი გაერთიანებულ იქნა მეჯოგეთა კავშირში, რომლის მიზანს საძოვრების სარგებლონის მოწესრიგება, მეჯოგეთა პროდუქტების რეალიზაციის ორგანიზება და მეჯოგეობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოგვარება შეადგენდა. ცოტა მოგვიანებით კოლმეურნეობის ფერმის საქონლის ბაგურ კვებაზე გადაყვანასთან დაკავშირებით, მთაბარულ პირობებს მორგებულ „მეჯოგეთა საქონლის" ჯიშს კონკურენცია გაუწია მეწველი ჯიშის შემოყვანილმა პირუტყვმა და დიდი რუდუნებითა და მცდელობით გამოყვანილი „კვარაცხელიას ჭითა" საქონელი გადაშენების პირამდე მივიდა.

## §4.მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი სამეგრელოში

**მეწველი საქონელი**. თუ გავითვალისწინებთ სამეგრელოში მესაქონლეობის ხვედრით წილს მეურნეობის დარგთა შორის, ბუნებრივად მოგვეჩვენება ის სიყვარული და მზრუნველობა საქონლისადმი, რომელიც მეგრელ მეურნეს ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. სიყვარულისა და დიდი ტრადიციების შედეგია მათზე თავდადებული ზრუნვა, სანაშენე საქმიანობასთან დაკავშირებული მდიდარი გამოცდილება, ხბოების გამოზრდისა და მოვლა-პატრონობის ემპირიულ ცოდნაზე დამყარებული დახვეწილი მეთოდები. საქონლის შინაგან და გარეგან თვისებებზე დაკვირვებიდან გამომდინარე მათი დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის მრავალფეროვანი საშუალებანი, მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, რაც საქონლის დაცვას, მის გამრავლებასა და რძის პროდუქტთა სიუხვეს ემსახურებოდა. საინტერესო ლინგვისტურ მასალას იძლევა სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნის მიხედვით საქონლის დაყოფასთან, რძესა და რძის პროდუქტებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია.

მსხვილფეხა საქონელი სამეგრელოში **საქონლ**ის სახელწოდებითაა ცნობილი[1], წვრილფეხს, რომელსაც საქო-

---

[1] აჭარაში მსხვილფეხა საქონლის აღსანიშნავად დიდფეხა, მსხვილფეხა საქონლის გარდა, ბოხრიკის და ძროხის ხმარებაც დასტურდება (ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.); ხევსურეთში მსხვილფეხა საქონელს ზგელფეხა საქონელს უწოდებენ (ლ. ლეონიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925, გვ. 23); ფშავში ორივე სქესის მსხვილფეხს ძროხანი / ძროხები ეწოდება. წვრილფეხი და მსხვილფეხი ერთად შემდეგნაირად მოიხსენიება: ცხვარ-საქონი (ხევს.), ცხვარ-ძროხა

ნელს არ აკუთვნებენ (**საქონელს ვემიაჭარუ**) **ჭიფეშურდ-გმა**ს (წვრილი არსება) ეძახიან. თანამედროვე ქართულში სიტყვა **საქონელი**, როგორც სულდგმული (პირუტყვი), ასევე უსულო (ნიეთეული) ქონების აღმნიშვნელად იხმარება.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ძველ ქართულში სიტყვა საქონელი მოძრავი, სულდგმული ქონების, კერძოდ, პირუტყვის აღმნიშვნელიც უნდა ყოფილიყო (ჯავახიშვილი 1929: 206). სადღეისოდ მიჩნეულია, რომ საქონელი შინაური პირუტყვის, კერძოდ, მსხვილრქოსნის აღმნიშვნელ სიტყვად ლიტერატურულ ქართულში მხოლოდ X1Xს-დან ვრცელდება (გუგუშვილი 1959: 439)[1]. საერთოდ, მსხვილფეხა პირუტყვის მნიშვნელობით გ. მთაწმინდელთან **ზროხა** // **ძროხა**ა ნახმარი[2]. ს. ს. ორბელიანის განმარტებითაც, „ზროხა ზოგადი სახელი არს ყოველთა ძროხათა, მამალსა ძროხას ეწოდების ხარი, დედალს ფური, ხოლო შვილთა მათთა ხბო“ (ს.ს. ორბელიანი, დასახ, ნაშრომი 1991: 286). ძროხის **ჩხოუ** // **ჩხუ**ს (მეგრ.) შვილს ერთ წლამდე ზოგადად ორივე სქესისას **გინი**[3] ჰქვია, რო-

---

(ფშავ., თუშ.). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ცხვარ-საქონლის ეპითეტად „ჭლიკბმული და ოთხით მავალიც“ იხმარება (მ. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 13).

[1] ლ. ლეონიძის მიხედვით, „საქონელი ოთხფეხა შინაური პირუტყვის ზოგადი სახელია“ (ლ. ლეონიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 131) ს.ს. ორბელიანის განმარტებითაც, საქონელი უსულო ხვასტაგია, ხვასტაგი კი საქონელი და საყოლელია (ს.ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, ტ. II. 1993. გვ. 611).

[2] მ. კახაძის პუბლიკაცია გ. მთაწმინდელის თარგმანი ბასილი დიდის „ექუსთა დღეთა“, თბ., 1997

[3] მეგრ. **გენი // გინი,** ჭან. **გენი // ჯენი // ნ-ჯენი,** სვან. **ღუნ,** ქართ. **ხბო,** ქართულში შესატყვისი ძირი არ გაგვაჩნია, **ხბო** სულ სხვა ძი-

მელსაც სქესის აღსანიშნავად ემატება სიტყვები **ფუჯი** (მდედრი) და **ხოჯი** (მამრი). 2 წლიდან მდედრი **ქაბულა** // **უხაფუ**[1] // **ჯაკელაა**, მამრი **მოზვერი**[2] // **ბუღა** და კურატია. **ჯაკელა**ს პირველ და მეორე მაკეობაზეც **ჯაკელა**ს // **ახალ ჩხოუ**ს (ახალ ძროხას), მესამე ხბოდან კი **გორინელი** (და-

---

რია (არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 71); იმერეთში მცირე ასაკის მსხვილფეხს **ხბოს // ბოჩოლას // კოტინას** ეძახიან (მ. მაკალათია, მეცხოველეობა ზემო იმერეთში, კრებული იმერეთი, თბ., 1978, გვ. 82); აჭარაში 1 წლამდე ხბოს **საფურე ხბოს** ეძახიან (ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 89); ქიზიყში წლამდე ხბოს **ბოჩოლა,** ფშავში **წელგამოვლილი** ჰქვია (შინამრეწველობის მასალები, თბ., 1975, №7).

[1] **ჯაკელას** შესატყვისია სამწერლობო ქართულში **დეკეული,** ინგილოურად **დეკვლ** (მ. ჯანაშვილი, საინგილო, თბ., 1961, გვ. 85), ფშავურად **დეკნა** (ლ. ლეონიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45). **ქაბულას** შესატყვისია ქართული **კვებულა. უხაფუს** აჭარაში ბერწი ან ბერწიშვილი შეესატყვისება (ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 135). ქიზიყში ერთიდან ორ წლამდე ერთგამოზამთრებულს **ტანა** ეწოდება, ორგამოზამთრებულ მამალს **მოზვერს,** დედალს **დეკეულს** და **უშობელ**საც ეძახიან. ფშავში 2 წლის **კვებელაა,** 3 წლისა კი საფურე დეკეული (შინამრეწველების მასალები, №7).

[2] **ზუება** ზმნისგან არის ნაწარმოები სიტყვა მოზუერიც, რომელსაც გუდამაყრის ხეობაში **მაზვერი,** ჭანურად **მუზარი // მოზარი** შეესატყვისება **მეეზვე,** საბას განმარტებით, მშობელი ხვასტაგის მნიშვნელობით იხმარება. ამ ძირიდან წარმომდგარი **უზვი** ინგილოურშიც გამოიყენება და შობა-შვილის მოგებას უდრის. ხევსურეთში **საზვები** შვილის მშობელი საქონლის, **ნამზვებლავი, ნამზველი** კი ნაშობი საქონლის მომყოლის აღსანიშნავად იხმარება. **ზუება** „შობა“ ზმნისაგან ნაწარმოებ მიმღეობას თავდაპირველად, უეჭველია, მშობელის და დედალი ცხოველის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მართლაც, ჭანურის ამ სიტყვას თავისი პირვანდელი აღმნიშვნელობა დაუცავს და **მოზარი** და **მუზარი** აქ დედა ხბოს და საფურეს ეწოდება. ქართლ-კახეთში კი ამ სიტყვის მნიშვნელობა შეცვლილია. საბას განმარტებით, მოზვერი წელიწადზე მეტსა სახარესა ნიშნავდა (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. X, თბ., 1992, გვ. 220).

ყენებული) **ჩხოუ**ს ეძახიან[1]. მამრი 3 წლიდან **ონჭყალი**ა // დასახედნია, უღელში გამოქნიდან კი **ხარი**ა.

მსხვილფეხა მესაქონლეობაში მეწველი საქონლის დიდი ხვედრითი წილი განპირობებული იყო სამეგრელოს საოჯახო მეურნეობაში რძის პროდუქტთა ფართო გამოყენებით, რომლის ნაწილი, საოჯახო მოხმარების გარდა, ოჯახური შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა.

სამეგრელოში ადრე გავრცელებული ქართული მომცრო ტანის მთის საქონელს, როგორც ექსტერიერის, ისე წველადობის თვალსაზრისით, კონკურენცია გაუწია კვარაცხელიას ჯიშის ღია წითელი ფერის საქონელმა, რომელიც მაქსიმალურად იყენებდა მიუვალი ადგილების საძოვრებს და მაღალი წველადობითაც ხასიათდებოდა.

მთხრობელთა მოწმობით, ძროხის ეს ჯიში გამოირჩეოდა ღია წითელი ფერით, ჰქონდა მაღალი, სწორი რქები, ხშირი ბალანი, ზურგი გამართული, გავა დაშვებული, გრძელი კისერი, აცქვეტილი ყურები, ცოცხლობდა 20-25 წელიწადს და იგებდა 20-მდე ხბოს.

საინტერესოა, სამეგრელოში გავრცელებული ძროხის მაკინტლობის, დაგრილების და მოგების გამომხატველი ტერმინები. ძროხის დევნილობას **ეტახუა**, დამაკებას

---

[1] ქიზიყში პირველ იზვებაზე დეკეულს **ხამი,** მერე **ორნაყოლი, სამნაყოლი...** ეწოდება. ფური 10-12 წელი ძლებს, მეყველწლიე მალე ტყდება, მეწლიურე – გვიან, ბერწი საქონელი მუდამ მაგარი, ჯანშენახულია (შინამრეწველობის მასალები №7). ხევსურეთში დედალი პირუტყვის ასაკს ნამზველობით ზომავენ **ერთრნ ნამზველ ძროხა, ერთრნ ნამზველ თხა** (მ. მაკალათია, მასალები მსხვილფეხა მესაქონლეობისათვის ხევსურეთში. საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები. თბ., 1961, გვ. 48).

**მოკინდაფა** // **ჩინოდუა**, იზვებას **ხაფა** ჰქვია, აქედანაა **უხაფუ** // **უშობელი**. ძროხის ნაადრევ იზვებას **გოცოთამა**ს ეძახიან.

მთხრობელთა მოწმობით, დაგრილების საუკეთესო ასაკად 4 წელი ითვლებოდა, რადგან მათი აზრით, ადრე დაგრილებული // **ციცუა** ჯაკელა მეწლეურე გამოდიოდა.

თვალყური სჭირდებოდა საქონელს დევნილობისას. იზვებამდე მას 1-2 კვირით ადრე მშრალ საფენს უგებდნენ, რათა ფეხი არ დაცურებოდა და მუცელი არ შეეწყინა. მშობიარობის მოახლოებასთან ერთად გვერდიდან ძროხებს გადაუბამდნენ და ახლომახლო ადგილს გაუსუფთავებდნენ. განსაკუთრებულ მზრუნველობას იზვების დღეს იჩენდნენ. გართულებული იზვებისას ცნობილი იყო ქირურგიული ჩარევაც – მუცელშივე ხბოს მიმართულების შეცვლა, მუცლის გაჭრა და ხბოს ამოყვანა. კრიტიკული მდგომარეობის დროს კი ხბოს მუცელშივე დაჭრა. იზმების შემდეგ ყურადღება მომყოლის // **ოლანი**ს მოცილებას „ბუდის მორთვას"[1] ექცეოდა. აღნიშნული პროცესის გასაადვილებლად ძროხას დაწოლილ მდგომარეობაში აჩერებდნენ. ცნობილი იყო ხელით დახმარებაც, რომლის დროსაც დაუშვებლად მიაჩნდათ მიმყოლის ძალით მოცილება. უყურადღებობის ან სხვა გარემოებათა გამო, ძროხა ახერხებდა მიმყოლის გადაყლაპვას, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა მის წველადობაზე. მომყოლის მოცილების დაყოვნების დროს ქართლში საქონელს ასმევდნენ „ალაოს", რომელიც სპეციალურად

[1] აჭარაში მომყოლის მოცილებას **ბუდის მორთვას** ეძახიან (ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969, გვ. 58).

ამ მდგომარეობისთვის მზადდებოდა. ფერისცვალების დღეს მოკრეფილ, დანაყილ პიტნას პურთან ერთად თბილ წყალში გახსნილს საქონელს ასმევდნენ (ცაგარეიშვილი 1987 :49).

ახალმოგებული ძროხის პირველი რძე, ყვითელი სითხე, ხსენი (მას მხოლოდ სამკურნალო დანიშნულებით იყენებდნენ) რამდენიმე ტერმინითაა გადმოცემული. წინა ვითარების აღმნიშვნელი ფორმებით **ნათებერა** // **ნათებურა** // **ნაუბურა** // **ნაუბერა**, (ბუკია 2000: 19) აფხაზური ენიდან შეთვისებული ლექსემებით **ხეჯაჯა** // **ხიჯაჯა**, (ჯანაშია 1954: 4) ჰიბრიდული კომპოზიტით **ხიჯე ბჟა**,[1] აგრეთვე სინტაგმებით **პირველი ჭვალა** (პირველი წველა), **თხომურიში ბჟა** (ჩირქის, თხრამლის რძე).

ასევე გამოცდილება სჭირდებოდა ახალმოგებული ძროხის მოვლასა და წველა-წოვების წესებს. იზვების შემდეგ ძროხას 3-4 დღე გარეთ არ უშვებდნენ და მხოლოდ ხმელ საკვებს – თივას, ჩალას აძლევდნენ. ნელთბილი წყლით ბანდნენ ცურს // **ტ-**ს და თითებს // **კითეფს**[2] . წველისას ოთხივე თითზე ხბოს პირს მოავლებინებღნენ, მოაგანავებდნენ // **მაგინაფუანდეს**[3] . წველის გასაიოლებლად

---

[1] პირველი კომპონენტი აფხაზური **ა-ხჯაჯა**-ს შეკვეცილი ვარიანტია **(ა-ხჯაჯა > ხიჯაჯა > ხიჯე),** მეორე კი რძის აღმნიშვნელი მეგრული **ბჟაა** (მ. ბუკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.)

[2] ნაწველის სისუფთავე რომ აუცილებელი პირობაა მაღალხარისხოვანი ყველის მისაღებად, ამ გარემოებაზე ყურადღებას ე. ნაკაშიძეც ამახვილებს (დასახ. ნაშრომი, გვ. 215)

[3] მეგრული **მოგინაფა გინ-გენ**თან დააკავშირა ი. ყიფშიძემ (Кипшидзе И. Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарьем, 1919, გვ. 215); მეგრული **მოგანუ** „ხბომ მოწოვა გამოწველამდე“, არნ. ჩიქობავას აზრით, იმავე გენთან არის დაკავშირებული (არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1939, გვ.

მიმართავდნენ აგრეთვე ცურის შებლოკვას[1] და მასაჟს[2], რომელიც, ამავე დროს, ითვლებოდა როგორც ერთ-ერთი პროფილაქტიკური ღონისძიება ცურის დაავადების წინააღმდეგ. წველის პროცესში ძროხას ხბოს ბაგასთან ჩაუბამდნენ, რათა ძროხა ალერსით გართულიყო და წველაში ხელი არ შეეშალა. წველის დამთავრების შემდეგ ხბოს აუშვებდნენ და დატოვებულ რძეს მოაწოვებდნენ[3] (Желтова 1948 :68). მკაცრად იყო განსაზღვრული ხბოს წილი ძუძუ. ორი თვის ასაკამდე სამ თითს, აპრილიდან, ბალახის წამოზრდას და ფურის ცურში გამომუშავებული რძის მატების კვალობაზე, ორ თითს, მაისიდან მხოლოდ ერთს აწოვებდნენ, ხუთი თვიდან კი მთლიანად თივა-ბალახსა და ხელოვნურ კვებაზე გადაჰყავდათ.

ემპირიულ ყოფაში შემუშავებულ რაციონალურ მეთოდებს გარდა, აღნიშნული მოვლენების დროს სერიოზულ

---

59). მოწველის წინ ძუძუ-ცურს გამოაცოციებენ გურული მწველავებიც. საინგილოში პირველად ხბოს ჩამოაკვრევინებენ პირს ძუძუზე, ფურს აგურევენ. მესხეთში ჯერ ხბოს მიუშვებენ, რომ ძროხამ რძე ჩამოყაროს (შინამრეწველობის მასალები № 7). **მოგინაფა** ტექნოლოგიურად გამართლებულია, ვინაიდან მოწველილი რძე შეიცავს ძუძუს თავში არსებულ ჭუჭყსა და ლპობად ჩირქოვან ნივთიერებებს. იმავე მიზეზით, კალანტარი სასურველად არ თვლის წველისას ძუძუს დასველებას პირველმოწველილი რძით (Калантар М., Состояние скотоводства на Кавказе. МУКЛИЗПИСК, 1894, გვ. 65-66).

[1] საბას მიხედვით, თუ ცური თითებს შუა დაიპყრო და აგრე სცე ეწოდების ბლიქვი (ს.ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ 531) აჭარასა და რაჭაშიც მიღებული ყოფილა მჯიღით // მუჭით წველა (ვ.შამილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 79; შინამრეწველობის მასალები, №7)

[2] მასაჟის ხერხებზე იხ. ჟელტოვა. (Желтова А. Технология молоко и молочных продуктов, М., 1948, გვ. 65-68).

[3] აჭარაშიც მემთევრე კვლავ ჩამოივლიდა და ცურში შერჩენილ რძეს ჩამოწველიდა (ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 59).

ყურადღებას ირაციონალურ მომენტებზეც ამახვილებდნენ. ხალხური ცნობიერება ხარკს უხდიდა იმიტაციურ მაგიას, ხბოს ბედს მთვარის ფაზიანობას უკავშირებდა. მათი აზრით, სავსე მთვარეზე დაბადებული ხბო ფუჯი კარგი მეწველი გამოდიოდა, ხოჯი – სანაშენე ბუღა. იგივე მიზეზით, ახალ მთვარეზე დაბადებულს დაკლავდნენ ან გაყიდდნენ.

**მუშა პირუტყვი**. მუშა პირუტყვის, კერძოდ, ხარის უდიდეს სამეურნეო ეკონომიურ მნიშვნელობასა და მისი კულტის ობიექტად ქცევაზე საკმაოდ შორეული წარსულიდან შეიძლება მსჯელობა. ამის დასტურია ხარის თავის გამოსახულებით დამშვენებული ხალიბების საბრძოლო იარაღი – სპილენძის მუზარადები და კოლხური ნუმიზმატიკური

მასალა. შემდგომი პერიოდისათვის, მიწათმოქმედების განვითარების თვალსაზრისით, მსხვილფეხა საქონლის მოშენების აუცილებლობაც ხარის კულტის ობიექტად ქცევას განაპირობებდა. ხარის კულტზე მეტყველებს აგრეთვე ხალხში დაფიქსირებული თქმულება ხარსა და ირემზე, სადაც ხარი წარმოდგენილია ადამიანის მსახურების ნებაყოფილად მტვირთველი კეთილშობილი პირუტყვის სახით, რომელმაც ირმისგან განსხვავებით მშვიდი, მოზომილი ნაბიჯებით გააღწია ცის თაღზე და ხალხიც ცაზე დიდი დათვის თანავარსკვლავედს გამარჯვებული ხარის საპატივცემლოდ გუთანს (gutneuli), ირმის ნაკვალევს კი „ირმის ნახტომს“ უწოდებს (ჩიტაია 2000: 15).

მიწათმოქმედების კულტურის უძველესმა შემოქმედმა ქართველმა ტომებმა საუკუნეების მანძილზე განავითარეს სახვნელი იარაღებისა და ხალხური საზიდი საშუალე-

ბების მეტად ორიგინალური სახეები, რომელთა არსებობა ორგანულად იყო შერწყმული ცოცხალ გამწევ ძალასთან.

საქართველოში გამწევ ძალად გამოყენებული ხარი, სხვა ცხოველების მსგავსად – ცხენი, კამეჩი, სახედარი – იბმებოდა როგორც ტრანსპორტში, ისე სახვნელ იარაღებში, სხვადასხვა დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა.

გ. ჩიტაია ხართან აკავშირებს დასავლეთ საქართველოში გამოყენებულ სახნავ ხარის იარაღს ხარსარანგს (ჩიტაია 2000:186).

წერილობითი და ეთნოგრაფიული მონაცემებით დასტურდება ხარის როგორც გამწევ ძალად გამოყენების, ისე ხალხური სანაშენე საქმიანობის ძველი ტრადიციები. საქართველოში ტრადიციულად მომდინარე სანაშენე საქმიანობა, ხელსაყრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული და მდიდარი სამეურნეო-ემპირიული გამოცდილების კვალობაზე, განვითარებას დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში პოულობს, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა სანაშენე ბირთვად ქცეული „კვარაცხელიას ჯიშის" საქონელი. ამ ჯიშის მუშა საქონელს ახასიათებდა დაბალი და მსხვილი ფეხები, მუხლი გამართული, ფართო ჩლიქი, მაღალი და სქელი ბეჭები, ბეჭებში ჩამჯდარი დიდი თავი და სქელი კისერი, გრძელი მოყვანილი ან შიგშეზრდილი სანთლისფერი რქები.

სამეგრელოში ხარის სამეურნეო დანიშნულებაზე მისი ასაკობრივი სახელწოდებაც მეტყველებს[1]. ორი წლის ხბოს

[1] აჭარაშიც ხარის მთავარი ადგილი მიწათმოქმედებაში მისი ასაკობრივი სახელწოდებიდანაც ირკვევა. მას 2-3 წლამდე კალო ანუ ცუდ კალო ჰქვია, 3-4 წლამდე კალო ანუ მართალკალო, 4-5 წლამდე ქერობა, 5-6 წლამდე ერთი ქერობა ხარი, 6 წლისა ორი ქერობა ხარი და ა. შ. (ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 69).

**მოზვერ**ს[1] // **ონჭყალე**ს // გასახედნს ეძახიან. **ნჭყილი** // **გა-ხედნილი** // **გამოქნილი** კი უკვე ხარია.

ხარის შრომისუნარიანობის ჩამოყალიბება დიდად იყო დამოკიდებული მის გამოქნა-გახედნის პროცესებზე. ხარის გამართვა უმეტესად გაზაფხულსა და შემოდგომის პირზე ხდებოდა. გაზაფხულზე მისუსტებული პირუტყვი ადვილი გასამართავი იყო, მაგრამ შრომისუნარიანობას დიდხანს ვერ ინარჩუნებდა. შემოდგომაზე მოღონიერებული ხარი ძნელად ემორჩილებოდა გამხედნელს, მაგრამ უღელში ცქვიტი იყო.

ვ. შამილაძის მასალებით, „გაზაფხულზე გამართულ ხარს უღელი ტეხავს, ბეჩდება და **ლაღანდარი** ხდება. თუ სიზარმაცეს შეეჩვია უღელშიც დაძინებაც იცის და რაც უნდა ურტყა კუდს თუ გაანძრევს და ისაა. შემოდგომაზე მოღონიერებული ხარი ძნელად ემორჩილება გამხედნელს, უღელს წინ და უკან ერეკება, ებოტება, თვინიერად ვერ გამართავ, მაგრამ სამაგიეროდ ასე გამართული ხარი უღელში ფხიზელია“ (შამილაძე :4).

გამოქნის პირველ ეტაპზე რქებზე ბაწარშებმულ ხარს 1-2 დღე ხელით ატარებდნენ. შემდგომი ორი დღე კი ცარიელ უღელს აჩვევდნენ. აქედან კი გამართვა სათრიელაში // ტვირთში // **ჯოლა**ში გრძელდებოდა. უღლის დადგმის პირველი დღიდანვე, მთელი გამართვის პერიოდში, გასამართავი ხარის გვერდით მუშა ხარს უბამდნენ, რომელიც ასე თუ ისე არეგულირებდა გამოუცდელი ხარის მოძრაობას უღელში. თუ გასამართავი ხარი სუსტი იყო,

---

[1] მოზვერი საბას განმარტებით წელიწადზე მეტსა სახრესა ჰქვია. (ს.ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 286).

მაშინ აუცილებელი იყო ტოლის დადება, რომლის დროსაც სატვირთე ღვედს უღლის ცენტრიდან მუშა ხარის მიმართულებით ანაცვლებდნენ (გეგეშიძე 1956: 103). 10-15 სმ. ძლიერის მხარეზე გადასწევდნენ – **გინასკუანა**. **გინოსკუაფა**ს ხშირად იყენებდნენ უღელში, სადაც შებმული იყო არათანაბარძალოვანი მუშა პირუტყვი.

რამდენადაც დაკოდილი ხარის საუღლედ გამართვა შედარებით ადვილი იყო, გამოქნა-გახედნის პროცესს წინ უსწრებდა ხარის დაკოდვა // **ყვარუა**. ხარის დაკოდვის საუკეთესო ასაკად მიჩნეული იყო 2-3 წელი. თუ ხარი ამ ასაკს გადასცდებოდა ძნელად იკოდებოდა და სიკვდილიანობაც არ იყო გამორიცხული. ამასთან ადრე დაკოდილ საქონელს „კისერი უწვრილდებოდა და ურა რჩებოდა" (Натриев 1891: 80)) სამეგრელოში საქონლის დაკოდვის ორი ხერხი მოწმდება. დაბეჟვით დაყვერვა მხოლოდ წვრილფეხზე – ბოტზე და **ერჯ**ზე – გამოიყენება. აჭარასა და ქვემო ქართლში გავრცელებული დაყვერვის წესი კვერცხების შებრუნებით სამეგრელოში არ დასტურდება (შამილაძე 1964: 53).

სამეგრელოში მსხვილფეხა საქონლის დაკოდვის გავრცელებულ ხერხს წარმოადგენდა სათესლე ჯირკვლების ამოჭრა, რაც განსაკუთრებულ ცოდნა-გამოცდილებას მოითხოვდა[1]. დაკოდვის ამ ხერხის ტრადიციულობაზე მეტყველებს ამოჭრილი სათესლე მასისგან კერძის დამზადებაც.

მიღებული იყო ხარების დაჭედვაც, რისთვისაც იყენებდნენ 3-4 ლურსმნიან ნალს.

---

[1] დაკოდვის რამდენიმე ხერხი აღწერილი აქვს ვ. ითონიშვილს (ვ. ითონიშვილი, მესაქონლეობა სამგორში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXIII, თბ., 1962, გვ. 181).

**ცხენი**. სამეგრელოს მსხვილფეხა მესაქონლეობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ცხენის მოვლა-მოშენებას. წარსულში მეცხენეობის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს უცხოელი ავტორებიც აღნიშნავდნენ. არქ. ლამბერტის ცნობით, „სამეგრელოში ცხენები ისე ბლომად არის, რომ ყოველ კაცს, რაც უნდა ღარიბი იყოს, ჰყავს თავისი ცხენი-ახტა (ულაყი) თუ ჭაკი. თითოეულ მოსახლეს თავისი შეძლებისამებრ: ვის ასი, ვის ორასი, მთავარს კი ათასობით ჰყავს. მიზეზი, რომ ასე ბევრი ცხენი ჰყავთ, ის არის, რომ ცხენის რჩენა იმდენად ადვილია, რომ არავითარ ხარჯს არ თხოულობს, გაუშვებენ საბალახოდ მინდვრებში, სადაც ბლომად არის ბალახი და წმინდა წყალი. საკვირველი ამ ცხენებისა ის არის, რომ მიჩვეული არიან თავის მიდამოებში ბალახობას, საზღვრებს არასოდეს გადასცდებიან“ [1].

არქ. ლამბერტის თანამედროვე მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის მიხედვით, „მდიდარი საძოვარი უზრუნველჰყოფს საკვებით მთელი წლის განმავლობაში მსხვილფეხა საქონლის ჯოგს, უპირატესად ცხენებს, რომლებიც ისეა მომრავლებული, რომ ცხვრის ფარასავით სძოვენ და მხოლოდ ბალახით იკვებებიან“ (ჯუდიჩე 1967: 85).

ძველთაგანვე მომდინარე მეცხენეობის ტრადიციებზე ამ დარგის განვითარების დღევანდელი მასშტაბებიც მეტყველებს. მეცხენეობას თითქმის მთელ დასავლეთ სა-

---

[1] არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1939, გვ. 185. მსგავსი ხასიათის ცნობებს ქრისტოფორე კასტელთანაც ვხვდებით. (ქრ. კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. წინასიტყვაობა და შენიშვნებით გამოსცა პ. გიორგაძემ. თბ. 1977, გვ. 482).

ქართველოს – ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, სენაკის, ზუგდიდის – რაიონებში მისდევდნენ[1].

ცხენის დიდი როლი სამეგრელოს ეკონომიურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სახელწოდებაშიცაა გამოხატული. სანაშენე ცხენს **საორინჯო რაშ**ს ეძახიან, **ორინჯი** (საქონელი), რომელიც მიღებულია **რინა** (არსებობა) ზმნის ძირისაგან. კონკრეტულ შემთხვევაში სანაშენოს, საარსებოს ნიშნავს.

ცხენის გამოყენება უღელში გამწევ ძალად ჯერ კიდევ XVI ს-დან დასტურდება (ატლასი 1986: 65). სხვა მსხვილფეხთა მსგავსად, უღელში ან ურემში წყვილად შებმულ ცხენებს **ყიარი** // **ყიარგ** ეწოდებოდა (ქართ. ყევარ > მეგრ. ყიარი).

ცხენთანაა დაკავშირებული სამეგრელოში ჩალვადრობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაც. საბარგე ცხენს **მეოღალუ** // **მაღალარი** // **ოღალიში** ცხენს (ძირია ღალა წაღება) ეძახიან. იგივე მნიშვნელობით იხმარება საპალნესგან მიღებული **საპანე** და **საპანეში ცხენი**. ამავე სემანტიკურ ჯგუფში ერთიანდება **საკურტანო** // **მეკურტანე**, **მეხაბარკე** // **ხაბარკიში** (**ხაბარკი** ბარგია), **ჩალანდარგ** // **ჩალანდარიში ცხენი** // **საჩალანდრო ცხენი** (სპარს. ჩალვადრ).

ცხენი იყო არა მარტო გამწევი, სატრანსპორტო და ტვირთმზიდი პირუტყვი, არამედ მეგრელი კაცის ვაჟ-

[1] მეცხენეობით ცნობილი იყვნენ მუხურიდან მაკარი, გალა, ლავა თოდუები, კლემენტი კვარაცხელია, ჯგალიდან ბოჩო და ჭიჭი კვარაცხელიები, ისიდორე ჯალაღონია, ტერე სტეფანია, ძიკა სოსელია, ჯაღრადან მიხეილ მებონია, ხეთიდან კოკოშა ლატარია, ნიკორი ბუკია, ხობიდან შილა ჩხოლარია, ჭალადიდიდან ვალერი ჭაჭუა, რაფიელ გაბისონია, შოთა შამათავა, დღვაბადან არტე კვიკვინია, რეზო ნანეიშვილი, ერგეტიდან სოლომონ კოდუა.

კაცობის გამოვლენის ერთ-ერთი საშუალებაც. „ცხენზე ჯდომა და ჯირითი ვაჟკაცობად ითვლებოდა, ლაშქრობაც ხომ უცხენოდ შეუძლებელი იყო, ამიტომ კარგი ცხენის პატრონს თემ-ჯარში თავი დიდად მოჰქონდა!" (ს. მაკალათია 1964: 202)

სპორტულ თამაშობებში გამოყენებულ ცხენს **მარულე** (მრბენი), **დოღიში ცხენი** (დოღის ცხენი), აგრეთვე, **გიოხუნალი** // **გიოხვენჯი** (დასაჯდომი) ერქვა. სათადარიგო ცხენი **მალათგრეს. თირუა** შეცვლა ზმნის ძირისაგან ნაწარმოები მიმღეობაა) სახელწოდებითაა ცნობილი.

ცხენის დიდი როლი საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში საფუძვლად ედო სანაშენე საქმიანობისა და ცხენის მოვლა-პატრონობის ტრადიციას, რის შედეგადაც მიღებულიქნა „**ნამარგალუ**" და „**ხაინდრავა**ს" ჯიშის ცხენები. მეცხენეობით ცნობილი ხაინდრავას და დანელიას გვარები დახელოვნებულნი ყოფილან ცხენის გახედნა-წვრთნასა და კარგი ჯიშის შერჩევაში. რაც მათ მიერ გამოყვანილი ჯიშების თვისებებიდანაც ჩანს. ს. მაკალათიას ცნობით, ნამარგალუ ჯიშის ცხენი ტანად დიდი და მუშა, მაგრამ ტლანქი ყოფილა, ხაინდრავას ჯიში კი – ტანად მორჩილი, მაგრამ კოხტა და თოხარიკი (ს. მაკალათია 1964: 195).

ადგილობრივი ჯიშის **მარგალური** (მეგრული) და **ბანძური** (ბანძა სოფელია აბაშის რაიონში) ცხენის გარდა, მთხრობელები იცნობენ ნაყარაჩუ ჯიშის ცხენსაც. სამეგრელოში გავრცელებულ ჯიშებზე მიგვითითებს ჰიპონიმები **ჩერქეზი** // **ჩერგეზი**, **არაბა** // **არაბია**. ინფორმატორები ცხენის ჯიშად ასახელებენ მერანს და რაშსაც.

ცხენის სარგებლიანობა მხოლოდ ზემოთ აღნიშნული თვისებებით როდი ამოიწურებოდა. სამეგრელოში სა-

მკურნალო დანიშნულებით ცნობილი ცხენის რძე ხალხურ მედიცინაში გამოყენებული ყოფილა ინფექციური დაავადება **ყივანახველის** // **კორკოცე**ს დროს. ხოლო, რაც შეეხება, ცხენის ხორცის საკვებად გამოუყენებლობას, ცხენის ტოტემურ ცხოველად მიჩნევის სასარგებლოდ მეტყველებს.

საინტერესო ლინგვისტურ მასალას იძლევა ცხენის დაგრილება-იზვებას, სქესობრივ-ასაკობრივ დაყოფასა და გახედნა-დაკოდვასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია.

ცხენის ახურებას **ბორბოზი** ჰქვია. მის განაყოფიერებას **ჩინოდუა**ს, ფაშატის მოგებას (მაკეა 12 თვე) **დოშკუმალა**ს (დასმა) ეძახიან. ცხენის სქესის გარჩევა ლექსიკურად ერთი წლიდან ხდება შესაძლებელი. წლამდე ცხენის ნაშიერს ორივე სქესისას **ფაშატ**ს // **ქვირა**ს ეძახიან. ერთიდან ორ წლამდე დედალი ცხენი **ჭაკი**ა. (სვანურშიც **ჭაგ** დედალი ცხენია). უმთავრესად, ჭაკი სქესის აღმნიშვნელ ატრიბუტად გამოიყენება **ცხენ** სიტყვასთან – **ჭაკი ცხენი**. მამალი ცხენის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინები – **კვიცი** (ქართ. კიცვი) და **ომარკინდაში** (მარკინდ- ქართ. მაკინტლ-). სამი წლიდან **ჭაკი** დედა ცხენი ხდება, კვიცი უკვე **ონჭყაშე** // გასახედნია, დაყვერილი **იაბო** // **ლაფშაა**, დაუკოდავი კი **ულაყი** // **ვარყაა**. აქედანაა **ვარყუა** // დევნილობა.

ცხენთან დაკავშირებული მდიდარი ლექსიკური მასალა თავისთავად მეტყველებს აღნიშნული პირუტყვისადმი მეგრელთა განსაკუთრებულ დამოკიდებულებასა და სიყვარულზე. ცხენოსანს **ცხენიში კოჩი**ს (ცხენის კაცს) და **ცხენამ კოჩი**ს (ცხენიან კაცს) ეძახიან.

ცხენის მოვლა-პატრონობის აღსანიშნავად მეგრული იყენებს რამდენიმე ტერმინს: **ჭყიშუა**, **თხილუა**, **მინჯალა**, **მინჯობუა**. ასევე მრავალფეროვნად არის გადმოცემული ცხენის ზნის, შეფერილობის, გარეგნობის, ხმიანობის და სპორტული თამაშობების აღმნიშვნელი ლექსიკა. სწრაფ ცხენს **ჭვირთ**ს, **დირგალურ**ს ეძახიან. ფეხმაგარი ცხენი **კუჩხმანგარი** (**კუჩხი** ფეხი), **ბირგულამი ცხენი** (მუხლიანი ცხენი), **ბირგულიში ცხენი**თაა (მუხლის ცხენი) ცნობილი. ურჩი ცხენი **ორჩანი**, **ჯორია**, **აჯია** (აჯამიდან) ცხენი) ცნობილი. ურჩი ცხენი **ორჩანი**, **ჯორია**. **აჯია** (აჯამიდან) ცხენია. მშიშარა ცხენს **შქურინჯა**, **ზურა**, **ფინთი** (ფეთიანი) ცხენს ეძახიან. თეთრი ცხენი **ჩელაია რაში**ა, შავი კი – **უჩა**, **ყორანა**ა, მოლურჯო-მონაცისფრო – **ქვიშაშიფერი** // **ქვიშორი**, **ტუტაშფერი** ნაცრისფერია, მოწითალო ცხენი **ჭითა**ა, **რაში** // **მონჭირელი ჭითა** მუქი წითელია, ჩალისფერი ცხენი **ჭაშფერი**ა, ჭრელი ცხენი **ჭარგა**ა, შუბლთეთრ ცხენს **საღარა**ს ეძახიან. ცხენის ხმიანობას **თხირინუა** (ფრუტუნი), **ჭირხინუა** (ჭიხვინი), **ხირხინუა** (ხვიხვინი) ჰქვია.

სხვა მსხვილფეხთაგან განსხვავებით, ცხენის მოვლის ბარული და ალპური პირობები დიდ სიძნელეებთან როდი იყო დაკავშირებული. საძოვარზე გარეკილი ცხენის ჯოგის მოვლისას მწყემსის // **ჭყიში**ს დატვირთვას საგრძნობლად ამსუბუქებდა ულაყის // **ვარყა**ს პრივილეგირებული მდგომარეობა. 100 სულიანი რემის // თაბუნის სამწყემსავად განკუთვნილი 2 ულაყი ორთაბრძოლით იმკვიდრებდა მდგომარეობას. ისინი თავიანთ წილ თაბუნს მწყემსავდნენ, სხვა ცხენებს, კვიცებსა და ლაფშებს არ გაირევდნენ. მწყემსთა მოწმობით, ულაყის ყურების აცქვეტა

და კისრის წაგრძელება ნიშანი იყო თაბუნის გაყოლისა. ბუნებრივია, განსაკუთრებულ მზრუნველობას იმსახურებდა მწყემსთგან ეს მართლაცდა საოცარი პირუტყვი და მწყემსიც, მის ასაკსა და მდგომარეობაზე დაკვირვებიდან გამომდინარე (10 წ. მერე), მას ისეთივე აქტიური და ძლიერი ულაყით ცვლიდა.

მთაბარული ფორმის დროს, სხვა საქონელთნ ერთად, ალპურ საოვარზე გარეკილ ცხენებს, რომელთაც მეპატრონე მწყემსები უმთავრესად მეარენდეებს აბარებდნენ, ცალკე საძოვარი თმობოდა.

საინტერესო მოვლენას წარმოადგენდა ცხენის გახედნა-გამოქნის პროცესი. ცხენის გახედნა, რომელიც სამეგრელოში **ხენდუა** // **ნჭყუალა** // **გრეშუა**ს სახელითაა ცნობილი, მხოლოდ გარკვეული ასაკიდან (3 წლიდან) იყო შესაძლებელი და, ამდენად, გაუხედნავი – **უხენდუ** // **ურა** – და გახედნილი ცხენის – **ხენდილი** // **ნჭყილი** // **გრეშილი** – აღმნიშვნელი ტერმინები ასაკობრივი დიფერენციაციის აღმნიშვნელადაც შეიძლება ჩაითვალოს.

გახედნის პროცესში ცნობდნენ რა ცხენის ბუნებას – მუჭომს გურენს, როგორ უძალიანდება გამხედნავს – ხდებოდა მისი გადარჩევა მუშად და სპორტული დანიშნულებისათვის. ამ უკანასკნელს **უნანგირიში** (უნაგირის) // **გიოხუნალი** (დასაჯდომი) და სასიარულო ცხენსაც უწოდებდნენ. კარგი, ამაყი, **გურამი** (გულიანი) ცხენი სამუშაოდ ენანებოდათ და სპორტული დანიშნულებით ავარჯიშებდნენ.

ცხენის გახედნა, რაც დაკოდვიდან ერთი თვის მერე იყო შესაძლებელი, პირუტყვს შრომისუნარიანობისათვის საჭირო ჩვევებს უყალიბებდა. ცხენი ურჩობას რომ

არ მიჩვეოდა გახედნის პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობდა; გასახედნ ცხენს ჯერ ხელზე გაიჩვევდნენ, მერე თოკს გააჩვევდნენ, გახედნის მესამე ეტაპზე კი ტვირთგადაკიდებულს ატარებდნენ. სპორტული დანიშნულებისათვის განკუთვნილ ცხენს სიარულის მანერების გამოსამუშავებლად ოსტატი ბარკლებსაც კი უკრავდა. მთხრობელები სიარულის რამდენიმე სახეობას არჩევენ. ჩორთით მავალ ცხენს თოხარიკს და იორღა ცხენსაც ეძახიან. ცხენის ჩქარი ნაბიჯით სიარული **ლაფშური**, ხოლო მსუბუქად, თამაშით სიარული **ქვაქვალი** ტერმინითაა გადმოცემული. ცნობებს ცხენების სიარულის სხვადასხვა სახეობებში გავარჯიშებაზე ს. მაკალათიასთანაც ვხვდებით (მაკალათია :202).

ძველთაგანვე გავრცელებული სპორტული ღონისძიებანი ცხენით ჯირითი და თამაშობანი უკანასკნელ დრომდე შემორჩათ სამეგრელოს მკვიდრთ. სპორტული ღონისძიებების ერთ-ერთი სახეობა სირბილი გასწრებაში **მარულა**ს სახელწოდებითაა ცნობილი. (**რულა** – სირბილი). მორბენალ ცხენს **მარულე**ს, ცხენის გასახურებლად ჭენებას კი – **გორულაფა**ს (გარბენა) ეძახიან. გასწრებაში შეჯიბრს **დოღი**, ცხენოსნების მიერ წვერებიანი ხელშუბების სროლა-დაჭერას **ისინდი** ჰქვია. სახელწოდება მომდინარეობს ქართული **ისარ** ფუძის მეგრულ-ლაზური შესატყვისი **ისიჯი** > **ისინჯი** > **ისინდი**-დან. ცხენის ყალყზე დაყენება **კიდირაფა** // **კიდირუა** // **მოთინუა** (მომართვა), // **ჟირკუჩხიში გერინა**ა (ორფეხზე დაყენება). გავრცელებული ყოფილა **ჯირითი** და **თარჩია**ც.

ცხენის გახედნას, ისევე როგორც ხარისას, წინ უძღოდა დაკოდვის პროცესი – **ყვარუა** // დაყვერვა, რომლის საშუ-

ალო ასაკად, საველე მასალებით, 3 წელი ითვლებოდა. ს. მაკალათია კი ცხენის დაკოდვას ოთხი კბილის გამოცვლას უკავშირებს და სასურველად ოთხი წლიდან მიიჩნევს (ს. მაკალათია 1964 :204).

ცხენის, და საერთოდ, ოთხფეხის დაკოდვას ზაფხულში არჩევდნენ. ცხენს სათესლე ჯირკვლის ძარღვებზე რიკს (რიკი თხილის ორად გაყოფილი ჯოხია) გადაუჭერდნენ და თესლს ამოაჭრიდნენ, ჭრილობას შაბიაბნით მოსწვავდნენ, რიკს კი – ორი საათის მერე ხსნიდნენ.

სამეგრელოში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ცნობილი იყო საქონლის საკუთრების ნიშნები – **დაღი**ს // **თაჯი**ს და ე.წ. სერის დადება.

ს. მაკალათიას ცნობით, დაღები თავდაპირველად მაღალ წოდებას, თავადაზნაურობას ჰქონია, ყმებს მეპატრონის დაღი უნდა გამოეთხოვათ, რის გამოც მათ დაღის ჯარიმა უნდა მიერთმიათ მათთვის. შეძლებულ გლეხებს შემდგომ თავიანთი ცხენების დადაღვა თავისივე ნიშნით, თავისი გვარის პირველი ასოს გამოსახვით დაუწყიათ[1].

დადაღვის ტექნიკური მხარე საკმაოდ მარტივი იყო. დაღის მზა ფორმის უქონლობისას ცარცით ან ნახშირით გამოსახულ დაღის ფორმას რკინის გახურებული შანთით ამოწვავდნენ. დაღის მზა ფორმის დროს კი გახურებულ დაღის ფორმას დაღის გამოსაყვან ადგილზე – მარცხენა ბეჭზე ადებდნენ.

---

[1] ს. მაკალათია დაღის დადებას სამეგრელოში ცხენის გავრცელებული ქურდობის წინააღმდეგ გატარებულ ერთ-ერთ საშუალებად თვლიდა. პატრონები დაღს ცხენს სამ ადგილას – ერთს გავაზე, ორს კისერზე ან წინა ფეხზე ადებდნენ (დასახ. ნაშრომი, გვ. 91).

სამეგრელოში წერილობით (ს. მაკალათია 1964 :200) და საველე მასალითაც მოწმდება ცხენზე თეთრი ნიშნის ე.წ. კიაპის გაკეთება. საკიაპე ადგილას, ხის ნაჭრით ხეხვისა და ცხელი რძის წასმის შემდეგ, ორ-სამ დღეში თეთრი ბალანი ამოდიოდა.

დადაღვის / **დაღუა-შანთუა**ს პროცესი ხანმოკლე, მაგრამ მტკივნეული იყო. შედარებით უკეთესი იყო სერის დადება, რომელსაც „**ხნწირუა**ს" ეძახდნენ. სერს // **ხინწირა** // **ხგნწგრა**ს მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს ადებდნენ ყურსა და რქებზე. მიღებული იყო სხვადასხვა მიმართულებით ყურის ჩაჭრა-გამოხვრეტა, რქებზე კი დახერხვით რამდენიმე ხაზის თუ სხვა ნიშნის დადება[1].

სამეგრელოში აუცილებელი იყო როგორც სამუშაო ისე სპორტული ცხენების დაჭედვა. მუშა ცხენების დასაჭედად გამოიყენებოდა რუსული ნალი, სპორტული ცხენებისათვის კი რკინის ფურცლისგან ცივად გამოჭრილი ქართული ნალი.

ძველად მეგრელი ხომ უცხენოდ წარმოუდგენელი იყო. ცხენი, უნაგირი და ნაბადი გამოხატავდა ვაჟკაცის ღირსებას. უნაგირის დამზადება „აზიური დარგის" ხელობად ითვლებოდა (ის 200 ნაჭრისაგან შედგებოდა). ოქრომჭედლები ამზადებდნენ უნაგირისა და სარტყელის ლითონის ნაწილებს მდარე ხარისხის ვერცხლის ვარშავისაგან". ამ ხელობაში განსწავლული ყოფილა იდრისი ჯანმირზაევი (ზუგდიდი). აბჟანდის ღვედს, აღვირს, საძუეს // სანძოს, სამკერდულს // საკიდიროს, უზანგს და

[1] აჭარაში სერს ადებდნენ მსხვილფეხა და წვრილფეხა, აგრეთვე სასაპალნე საქონელსაც (ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66).

ლაგამს ვერცხლის სევადა უკეთდებოდა, ზუგდიდში ამ ხელობით ცნობილი ყოფილა მეთო ხურცილავა. უნაგირისათვის საჭირო ხის ნაწილებს კეხს (იგი წითელი ხისგან მზადდებოდა) შონიები ამზადებდნენ სოფელ ფახულანში (ზუგდიდის რაიონი). ამ ხელობით განთქმული ყოფილა სიკო შონია. უნაგირის ფაბრიკული ე.წ. „შიგრინის ტყავი" თბილისიდან და უცხოეთიდან შემოდიოდა (აბესაძე 1986: 19-21). უნაგირის ქვეშ დასაფენად გამოყენებულ შალის ნაჭერ პატს ზედ თოქალთო (ტყავისგან შეკერილი თეთრი ბალიში) ედებოდა. ქალის უნაგირს // **სედლო**ს თოქალთოზე ასალს (ფოჩებიანი ფერადი ძაფებით მოქარგული ნაჭერია) გადააფარებდნენ, რომელიც ცხენს კუდამდე სწვდებოდა. მოსართავის ღვედს, ლაგამს, ბუდნებს და მათრახს მეუნაგირე ხარის და თხის ტყავისგან ამზადებდა.

**კამეჩი**. სამეცნიერო ლიტერატურაში კამეჩის წარმოშობის ცენტრად ითვლება შუა აზია, ოსტ ინდოეთი და ოსტ ინდოეთის არქიპელაგის კუნძულები, საიდანაც იგი უნდა გავრცელებულიყო მთელ კულტურულ სამყაროში, კერძოდ, შუა აზიიდან უნდა გაეყვანათ ეგვიპტეში, საბერძნეთში, იტალიაში, უნგრეთში (Натроев 1896 :42) საქართველოში მეკამეჩეობის განვითარების საკითხებს ეხებოდნენ კავკასიის მესაქონლეობის პრობლემებით დაინტერესებული მკვლევარნი – ა. კალანტარი, ი. ანდრონიკოვი, ა. ნატროევი (Скотоводство в Закавказском крае, СМИЭБГКЗК, T. V, 1896)

კამეჩი, რომელიც ქართველთა სამეურნეო ყოფაში გამოყენებული იყო, როგორც გამწევი ძალა და ტვირთმზიდი საშუალება, წარმოადგენდა ქართველი მეურნის

სიმდიდრისა და სიძლიერის წყაროს. როცა ქართველ კაცს ვინმეს სიმდიდრის აღნიშვნა უნდოდა, ასე იტყოდა, ერთი ორი გუთნეული ხარი და კამეჩი ჰყავსო (შ. დედაბრიშვილი, მოსავალი, 1909, №5).

**კამეჩ** // **კამბეშის**[1] შვილს წლამდე ბატი, წლიდან **ბზანგი** // **ზაქი** // **ძოკი** ჰქვია. 3 წლიდან **ფუჯი** (მდედრი), **დიდა** (დედა) კამბეში ხდება, **ხოჯ**ს კი **მაშაყარალ**ს (**შაყარუა** – შეგროვება) // **ონჭყაშე**ს და **მეჟარნეჩე**ს ეძახიან.

მეკამეჩეობით ცნობილი ზუგდიდისა და ხობის რაიონის სოფლები: ორულუ, ორსანტია, დარჩელი, ერგეტა, ხეთა, დღვაბა, თორსა სარგებლობდნენ ახლომდებარე ზღვისპირა – ოზორმე, ჭურია, მუნჩია – საძოვრებით. აღნიშნულ მდიდარ საძოვრებზე პირუტყვი გაზაფხულიდან შემოდგომამდე, ბუზის გაჩენამდე, მეთვალყურეობის გარეშე იყო გარეკილი. შემოდგომიდან ბაგურ კვებაზე გადაყვანილ კამეჩს დღისით **ნაჩალ**ზე (ნაყანურზე) უშვებდნენ. მეურნეობრივად გამოცდილ მეპატრონეს ზამთარში კამეჩის ბაგური მოვლის პერიოდში კვების რაციონალური მეთოდი ჰქონდა შემუშავებული. რადგან კამეჩი მოსალოდნელ გაავდრებას კარგად გრძნობდა და გარეთ არ გამოდიოდა, მას დღისით თბილ წყალში გახსნილ ქატოსა და თითო კონა წვრილად დაჭრილ ჩალას აძლევდნენ, საღამოსთვის დოზას ორჯერ უზრდიდნენ. დარში კი შემოკავებულში // **გოჭოფილში** // **აგვარა**ში // მოციონში უშვებდნენ.

კამეჩი, რომლის დაგრილების სასურველ ასაკად 3 წელი და დროდ ზაფხული ითვლებოდა, ყურადღებას სა-

---

[1] მამალ კამეჩ // კამბეშს **ფარი,** დედალს **ფური,** შვილსა მათსა ღოლე ეწოდების, გამოზამთრებულს კი **ზაქი** და წელიწადზე მეტსა **შიშაგი** ჰქვია (ს.ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 168).

ჭიროებდა. ამჩნევდა მთელ რიგ ცვლილებებს (ანცი ხდებოდა // **ხვიენდ**, ყროყინებდა // ყირტანდგ). კამეჩი პატრონს მიჰყავდა დასაგრილებლად, ან თვითონ მიდიოდა კუროს საძებნელად. კამეჩის დაგრილებას, ისევე როგორც ძროხისას, აფერხებდა დაავადება **საბურჭო**, რომელსაც ქირურგიული ჩარევით მკურნალობდნენ. აქედანაა უნაყოფო საქონლის სახელი **ბურჭი** (ქართ. ბერწი). ზღვისპირა საძოვრებისა და კამეჩის თავისებურება მეპატრონეს უბიძგებდა განსაკუთრებული თვალყური მოსაგებ კამეჩზე სჭეროდა. ბატის დაკარგვისა (ჭაობში მოგებისას ბატი დაიხრჩობოდა) და წველის პროცესის შეფერხების საშიშროების გამო (ბატის დამალვის დროს კამეჩი რძეს ბატის დონეზე იყენებდა) მოსაგები კამეჩი (მაკეა 10 თვე და 10 დღე) სახლში მიჰყავდათ. ბატის მოგების დროზე იყო დამოკიდებული წოვება-წველის პროცესიც. კამეჩს, რომელიც იზვების ბოლო დღეებამდე **ნამოზუშა** // **ფუდათ** იწველებოდა, მთელი ლაქტაციის პერიოდი **ნაჩქიჩქა** (შემოდგომით მოგებული) ბატს არ აშორებდნენ.

**თხა**. დასავლეთ საქართველოს მესაქონლურ მეურნეობაში განსაკუთრებული ყურადღება მსხვილფეხა საქონელთან ერთად, წვრილფეხის – თხისა და ცხვრის მოშენებას ექცეოდა.

ნ. გოცირიძის ცნობით, წინათ მეგრელები ყველაზე მეტ ყურადღებას მეთხეობას უთმობდნენ და ოჯახებიანად თხის საძოვრებად გამოყენებულ მთის ტყიან ფერდობზე ცხოვრობდნენ (გოცირიძე 1962 :229).

მეთხეობით ცნობილი სამეგრელოს ცალკეული სოფლების – მუჟავა, პალური, ჩქვალერი, ლარა-მედანი, სქუ-

რი, ობუჯი, ნაფიჩხოვო – მეჯოგეთა საზაფხულო საძოვრები სამეგრელოს, სვანეთის და აფხაზეთის მთებზე მდებარეობდა, **საზოთო** კი ჭალადიდისა და მთისძირა სოფლის საძოვრები იყო. ს. მაკალათია ჯვარის თემში ჯარნა არქანიას ასახელებს, რომელსაც 7000 წვრილფეხი, 200 ცხენი, 100 ძროხა ჰყოლია (ს. მაკალათია 1964 :153).

სამეცნიერო ლიტერატურაში საკითხი ქართული თხის წარმოშობის შესახებ გადაწყვეტილად ითვლება. მკვლევართა აზრით, ის საქართველოში წინა აზიიდან უნდა ყოფილიყო შემოყვანილი[1]. რაც შეეხება, დასავლეთ საქართველოში წვრილფეხა საქონლის მოშენებისათვის ხელსაყრელ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებს, რომელიც არაერთგზის აღნიშნულა უცხოელ მისიონერ-მოღვაწეთა მიერ (კასტელი 1977 :285), (ლამბერტი 1938 :187) და აქ არსებულ ტრადიციულ სანაშენე საქმიანობას არ შეიძლება კეთილისმყოფელი გავლენა არ მოეხდინა თხის შემოყვანილ ჯიშზე. მიზანმიმართული სანაშენე საქმიანობის შედეგად მიღებული წველადობითა და ექსტერიერით გამორჩეულ **ნამარგალუ**ს ჯიშის თხას (ს. მაკალათია 1964 :182), ისევე როგორც სანაშენე ბულებსა და ხარებს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ვხვდებით (შამილაძე 1969:45), ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ სანაშენე საქმიანობა სამეგრელოს მეთხეობაში ფართოდ

---

[1] რადეს, კელერის, მერცბახერის, ამშლერის და სხვათა მონაცემების გათვალისწინებით ნ. გოცირიძე მეგრულ თხას გარეული თხის (capra falconier-სა და Capra prisca-ს) ტიპებისაგან ჰიბრიდული წარმოშობისად თვლის, რომლის მოშენების პირველ ცენტრად წინა აზია (ტავრისა და ანტიტავრის ულელტეხილი) მიაჩნია (მ. გოცირიძე, მასალები ქართული თხის წარმოშობის შესახებ. საქართველოს ზოოვეტექ-სავეტერინარო ინსტიტუტის შრომები, II, თბ., 1941, გვ. 129-130).

ყოფილა გავრცელებული, რაზედაც ცალკეული გვარე-ბით სახელდებული თხის ჯიშები მეტყველებს (ელიავა 1971 :75).

მსხვილფეხა საქონლის მსგავსად, თხის სქესობრივ-ა-საკობრივ დაყოფასა და დაგრილება-იზვებასთან დაკავ-შირებით საინტერესო ტერმინოლოგიურ შესატყვისებს ვხვდებით.

თხა, რომელსაც მეგრულად **რინტ**საც ეძახიან, ჭანუ-რად **ნთხა**, **მთხაა** (ნ // მ ფონეტიკური დანართია). მრა-ვლობითის **თხალეფ**-ში ფუძეს მოკვეცილი ლ აღდგება (ჩიქობავა 1939:120). თიკანს **ქაცარ**ს ეძახიან, დედალი თიკანი 2 წლიდან **დარგა**ა, მამალი – დაუკოდავი **ბეტარი,** დაკოდილი კი – **ოჩი**. მთიულეთში დედალი თხა წალია, მამალი ბოტი, დაკოდილი ვაცი (კაცაძე 1955:172). თხის აბოტებას **ეტახუა**ს, დაგრილებას **ჩინოდუა**ს ეძახიან. გა-ნსხვავებული ლექსიკითა გადმოცემული თხის მოგება და თიკნების გაჩენა. პირველს **თხაში ხაფა**, მეორეს კი – **ქაცარიშ დოხუნა** (დაჯდომა) ჰქვია. თხის ნაადრევ მოგე-ბაზე იტყვიან **ქაცარი გარღუა** (თიკანი გააგდო).

დიდი სამეურნეო გამოცდილება განაპირობებდა თხის მოვლა-პატრონობის თავისებურებათა შეცნობას. თხის ფარას გამოყოფილი ახურებული თხები და ბოტები მწყე-მსთა თვალყურს საჭიროებდა. მწყემსსაც მთელი ეს პე-რიოდი (3-4 დღე) ხე-მცენარეთა ახალ-ახალი (ძველს, და-ნატოვარს არ ჭამდნენ) რტოები და წყალი მიჰქონდა.

სექტემბერ-ოქტომბერში დაგრილებულებს ხაფა (მა-კეა 5 თვე) იანვარ-თებერვალში უწევდათ. თხის გამრა-ვლებით დაინტერესებული მეჯოგენი თხას იანვარში, მოგებიდან ერთ კვირაში, ბატკანს მოაშორებდნენ // **მუ-**

**ჩილითუანდეს** და ასახურებლად მოხალული სიმინდით კვებავდნენ. მარტში გაჩენილ **ნაჩქიჩქა**ს და ზაფხულში გაჩენილ ბატკს, **ნაკაზეტა**სგან (იანვარში გაჩენილი) განსხვავებით, მთელი ლაქტაციის პერიოდი დედას აწოვებდნენ. მიუხედავად 6 თვიდან დევნილობისა, **ნაკაზეტა** თიკნების დაგრილება აგვისტომდე სასურველად არ მიაჩნდათ.

ბარული მეურნეობისგან განსხვავებით, სადაც აქცენტი ხშირ შემთხვევაში თხების გამრავლებაზე იყო გადატანილი, მთაბარული მეურნეობის პირობებში რეგულირებული იყო თხების დაგრილება-მოგების, თიკნების წოვება-წველისა და საძოვარზე გარეკვის დრო.

შემოდგომით **ჯალონა-ლაკადებში** დაგრილებულ თხებს მოგება საზოთოზე იანვარ-თებერვალში უწევდა. **აფუნ**ზე დედასთან ერთად გარეკილ თიკნებს საზაფხულო საძოვარზე გამოაცალკევებდნენ და ბატკნებსა და ცხვრებს გაურევდნენ. ჯალონა-ლეხერაში საქონელთან გაერთიანებულ თიკნებს, რომელთაც დედა დავიწყებული არ ექნებოდათ, წოვების შესაფერხებლად რიკს უკეთებდნენ (პირში უყრიდნენ ჯოხს, რომლის ბოლოებს თასმით რქებზე მიაბამდნენ), რომელიც ძოვაში არ დააბრკოლებდა მათ.

მწყემსები „ბაღმარან“ (ს. მაკალათია 1964: 155) თხებს მთაზე წველიდნენ, სადაც მათ ცალკე საძოვარს, სუბალპურიდან ალპური ზოლისკენ გარდამავალ ტყიან ბუჩქნარს უყოფდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, თხის მწყემსებს ცალკე სამეურნეო კომპლექსი შედარებით მარტივი და სახელდახელო „თხის კარავი“ ჰქონდათ გამართული, რომელიც სეზონის განმავლობაში ტყიან-ბუჩ-

ქნარი საძოვრის გაძოვნასთან ერთად უნდა დაეტოვებინათ და ახალი უნდა აეშენებინათ.

თხის საძოვრისა და მისი ექსპლუატაციის ეს თავისებურება თ. სახოკიასაც კარგად აქვს შემჩნეული. „თხის ჯოგს მწყემსები მაღლა მთებზე არ ერეკებიან, უფრო დაბალ მთებს ეტანებიან საბალახოდ, სადაც საზღვარია ტყისა და ალპური მცენარეებისა. თავშესაფარ კარვებს თხის მწყემსები არ იკეთებენ, თუმცა ხე-ტყე სამყოფად აქვთ. დავიდარობა ეზარებათ. სხვათა შორის, მათი უბინაობის მიზეზი ისიც არის, რომ ერთ ადგილას ფეხს არ იკიდებენ ბინადრებად, სულ ბევრი 10 დღე გააჩერონ თხები ერთ ადგილას. თიფუს ანუ ბინის ცვლა და უკეთესი საბალახო ადგილის ძებნა ძალიან უყვართ“ (ს. მაკალათია 1964 :386).

საზაფხულო საძოვრის დიდ სივრცეზე, ჯალონა-ლაკადებში გაშლილი თხის ფარა რომ არ გაფანტულიყო, მწყემსებს განსაკუთრებული თვალყური სჭირდებოდათ. ამავე მიზანს ემსახურებოდა თხების სახელდებაც. ფარაში ყველა თხას საკუთარი სახელი – (დედა-შვილს ერთ სახელს არქმევდნენ) ჩელა, ფიცხა, ბუდღა, ფშქერა, სკუბოჭია, ბაჯგა, კირკინტია – ერქვა და ისინიც მწყემსის დაძახებისთანავე უკან ბრუნდებოდნენ.

შეიცნო რა თხის ბუნება, ნესტისადმი (ადვილად იხუთება, ქარი უჩნდება) და სისუფთავისადმი (თხა დაჯდომამდე დასაჯდომ ადგილს ჯერ ფეხით მოასუფთავებდა) მიდრეკილება, მწყემსმაც მას შესაფერისი ნაგებობა შეურჩია. ცხვრისგან განსხვავებით, მისი **მარაკა** მაღლა დგას და თხილის წნელის იატაკიდან ნაკელი ცვივა.

საბოტედ გამორჩეულ (არჩევდნენ **თარ** // კარგ, **კურცხე** // ცქვიტ **ნაკაბეტა ოჩაგეფს**) ოჩაგებს გარდა, დანარჩე-

ნებს ერთი წლიდან კოდავდნენ, ერთ წლამდე დაკოდილი არ გაიზრდება, ტანად პატარა რჩებაო // **იკოკულებუნია**. კოდავდნენ აგრეთვე ბოტებს ხუთი წლიდან, რომლებიც თხებისადმი აგრესიული ხდებოდნენ. დაკოდვას დაბეჟვით // დაჩეჩქვით // **კვაკუათ** არჩევდნენ, რადგან სათესლე ჯირკვლების ამოცლა-ამოჭრით დაკოდვა თხებისათვის, ხარებისა და ცხენებისაგან განსხვავებით, სახიფათოდ ითვლებოდა. დაკოდვის ზემოთ აღნიშნული წესი საკმაოდ მარტივი იყო. ბაწარგაყრილ მრგვალ ჯოხში მოქცეული სათესლე ჯირკვლის ძარღვს მსხვილთავიანი ჯოხით **კვეკვა**თ დაბეჟავდნენ // **დოკვაკუნა**.

საინტერესოდ გვეჩვენება მთხრობელთა მოწოდებული მასალა 5 მარტზე, როგორც თხის დაბადების დღეზე და მისგან მომდინარე ფრთიანი გამოთქმა „5 მარტს ხომ არა ხარ დაბადებულიო", ე. ი. შენც თხა ხომ არა ხარო.

**ცხვარი**. დასავლეთ საქართველოში მეცხვარეობის განვითარებაზე საკმაოდ შორეული წარსულიდან შეიძლება მსჯელობა. წერილობითი წყაროების მიხედვით, ჯერ კიდევ ანტიკური ხანის კოლხეთში განვითარებულ დარგად გამოიყურება მეცხვარეობა.

ანტიკური ხანის ლიტერატურასა და გვიანი პერიოდის წყაროებში მოტანილი ცნობები კოლხეთში მეცხვარეობის განვითარების შესახებ, რაც ძირითადად არგონავტების თქმულებაში მოხსენიებულ ოქროს საწმისს უკავშირდება, უნდა ეხებოდეს კოლხეთის, და საერთოდ დასავლეთ საქართველოს მთიანეთს, სადაც ისტორიულად მსხვილფეხა მესაქონლეობასთან ერთად განვითარებულ მეცხვარეობასთან უნდა გვქონდეს საქმე (Лордкипанидзе 1967: 28).

ბერძენ-რომაელ მწერალთა პირდაპირი ცნობების გარდა, ზოგიერთი მკვლევარი ლეგენდას ოქროს საწმისის შესახებ ბერძნულ მეტროპოლიებში ძველკოლხური ცხვრის მატყლის გატანას უკავშირებს (Gunter 1951: 224 (Богданов 1937: 186) (ჩიტაია 2000: 24). უფრო მეტიც, ცნობილი ევროპული ნაზმატყლიანი ცხვრის – მერინოსის წარმომავლობა მკვლევართა უმრავლესობას წინა აზიური – ანატოლიური ცხვრის ჯიშებიდან გამოჰყავს.

კ. გუნტერის აზრით, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, კერძოდ, კოლხეთი ნაზმატყლიანი ცხვრის ერთ-ერთ ადრინდელ სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს (Gunter 1951: :224).

სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია ძველ კოლხეთში ნაზმატყლიანი ცხვრის მომშენებლობის მაღალი კულტურა, რომელიც ძვ. წ. VIII-VII სს. შავიზღვისპირეთის ბერძნული ახალშენების იმპორტის ერთ-ერთ მთავარ საგნად ქცეულა. მოტანილია არა ერთი ცნობა იმის შესახებ, რომ ძველკოლხური ცხვარი, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო იტალიური და სიცილიური ნაზმატყლიანი ცხვრების ფორმირების პროცესში, მომდევნო პერიოდში ესპანეთში უნდა შეეყვანათ, სადაც იგი საფუძვლად დაედო ესპანური მერინოსების მაღალკულტურული თვისებების საბოლოო ჩამოყალიბებას (Рчеулишвили 1913: 168-170).

კოლხეთის მთიანეთში ცხვრის მოვლა-მოშენების ტენდენცია გვიან პერიოდამდე იჩენს თავს (ბოროზდინი და სხვა 1927 :24) მეცხვარეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქრ. კასტელიც აღნიშნავს (კასტელი 1977: 482).

საინტერესოა ცხვრის სქესობრივ-ასაკობრივ დაყოფასთან დაკავშირებული ტერმონოლოგიური მასალაც. ქართულ ცხვარს // ცხოვარს მეგრულ-ჭანურის **შხური** // **მჩხური** // **მშქური** შეესატყვისება (ჩიქობავა 1939: 79). კრავს ორივე სქესისას წლამდე **კირიბი** ჰქვია, **ჭყვირი (**დედალი) კრავი 2 წლიდან **ქვაშთი**ა, 3 წლიდან კი – **დიდა** (დედა) **შხური**. დაუკოდავ მამრს – **თიღი**, დაკოდილს **ერჯი** // **ერჯაკი** // **თზნზ-**ს ეძახიან.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, მამალი ცხვრის აღმნიშვნელი **ერჯი** სამწერლობო ქართულში ტერმინ **ვერძი**ს შესატყვისობას წარმოადგენს.

მთიულეთში ბატკანი გაპარსვამდის თოხლია, შემდეგ მამალს ჭედილას, დედალს შიშაქს ეტყვიან. ჭედილა თუ ყოჩაღ გავალს ყოჩი იქნება, შიშაქს ერთი ბატკანი რომ ეყოლება ნაშიშაქვარია, მერე ორნაყოლი, სამნაყოლი, ხუთი წლის ყოჩი ვერკემალია (კაცაძე 1955 :172).

საველე მასალებით, სამეგრელოში გავრცელებული ყოფილა ადგილობრივი ჯიშის შავი ფერის, საშუალო ტანის, მომცრო დუმიანი ცხვარი. მთხრობელები **ნამარგალუ**ს გარდა, ყარაჩაის, ხევსურულს და მერინოსის ჯიშსაც ასახელებენ. მათივე მოწმობით, მერინოსი // მირინოსის ცხვარი პატარა რქიანი, დაბალი ტანის, თეთრი ან შავი ფერის ხუჭუჭთმიანი ყოფილა, ოთხი ძუძუს ღეროთი, ხშირად იგებდა ოთხ ცხვარს. მისგან განსხვავებით, ხევსურული ჯიში გამოირჩეოდა მაღალი ტანით, დიდი (40 სმ-მდე) შიგ შეზრდილი რქითა და სქელი ბალნით.

წერილობით წყაროებში დაფიქსირებულია, სვანური ჯიშის თხის მსგავსად, ცხვრის სვანური ჯიშიც. ს. მაკალათია ასახელებს თეთრი ფერის, საშუალო ტანის, პა-

ტარა დუმიან, კარგ მატყლიან „**ნაშონურ კატა**“ ცხვარს, აგრეთვე შავბალნიან, მოზრდილ დუმიან **ქურთი**ს ჯიშებს (მაკალათია 193).

გ. ჩიტაია კოლხური ცხვრის ჩამომავლად მიიჩნევს ვახუშტი ბაგრატიონთან იმერულად შერაცხილ ცხვრის ჯიშს (ჩიტაია 1947 :120). „გარნა ცხვარნი უდუმონი და დუმიანი, მარადის მშობელნი ტყუბთა და სამ-ოთხთა და არცა ჰყავთ არვედ.“ (ბატონიშვილი 1979: 744).

მთიულეთში გავრცელებული ყოფილა ქართული, იგივე თუშური (კაცაძე 1955: 170). აჭარაში შინაური და ხემში-ლური ჯიშები დასტურდება (კაცაძე 1955: 170).

ადგილობრივი თუ შემოყვანილი ჯიშების მიზანმიმა-რთული შერჩევა-შეჯვარების შედეგად მეცხვარეებს საკ-მაოდ კარგი თვისებების მეტისები მიუღიათ. შეუჯვარე-ბიათ **ნამარგალუ** და ყარაჩაის, ხევსურული და მერინო-სის ჯიშები.

ცხვრის ფარას, ვინაიდან ნამარგალუ ცხვარი მეწველი ჯიშისა იყო, გაურევდნენ მწყემსთა **მეორზოლე** (მესაგ-ზლე) თხებს მწყემსთა და ძაღლთა გამოსაკვებად.

ცხვრის ფარაში მწყემსთა დატვირთვას გარკვეულ-წილად ამსუბუქებდა **მანჯღვერუ** // წინამძღოლი **ვაცი** // **ქეჩი** // **ყოჩი**. მთხრობელთა მოწმობით, 1000 სულიან ფა-რას 3-4 მანჯღვერუ ჰყოფნიდა, რომელთა საუფროსო ფუნქციები 7-8 წლის მერე ახალ ყოჩებს გადაეცემოდათ. ამ გამორჩეული როლის გამო მწყემსებიც განსაკუთრე-ბულ ყურადღებას აქცევდნენ მის ამორჩევა-გაწვრთნას, არჩევდნენ ცივა-თეთრას ან ლურჯს, წვრთნას ხელზე გაჩვევით 2 წლიდან უწყებდნენ და განსაკუთრებულადაც კვებავდნენ.

ცხვრების მწყემსვა მთაში გარკვეულ გამოცდილებას მოითხოვდა საძოვრების შერჩევისა და ცხვრების გაძოვების წესების ცოდნის თვალსაზრისით. ალპურ საძოვრებზე // შიშველზე მწყემსი მოძებნიდა **თიფუ**ს[1]// **თფ**ს // ცხვრის სადგომს და ცხვრებს იქვე დასვამდა // ქგდახუნუანსია. ცხვრებს ჯერ თიფუს ზევით მოაძოვებდა, მერე ქვევით გადენიდა. ცხვრები შუადღეზე თიფუზე ბრუნდებოდნენ და მზის ჩასვლამდე – **ბჟაში გილართა**შა ისვენებდნენ (თავს ერთმანეთის ტანში შეჰყოფდნენ). მზის ჩასვლიდან კი თიფუს მარჯვნივ და მარცხნივ გაფანტული ცხვრები საღამოს ისევ თიფუს უბრუნდებოდნენ. მეცხვარეთა დაკვირვებით, ცხვარმა საღამოს კარგად უნდა მოძოვოს, ღამე რომ არ ადგეს.

ძნელი იყო მეცხვარის ყოფა მთაში, რადგანაც ცხვარ-მეცხვარეს დღისით და ღამით, დარშიც და ავდარშიც ღია ცის ქვეშ უწევდათ ყოფნა. ავდარში მწყემსი სახელდახელოდ გაკეთებულ **ხვისტა**ზე (ორ მსხვილ **ჭორთ**ზე // ჯოხზე წნელებს ალაგებდნენ) კვახჩას დააგებდა, სახელდახელოდ მოღობილ საზურგეზე ნაბადს გადააფარებდა და პირით ფარისაკენ იწვა. ჩათვლემილი მწყემსი გამოიღვიძებდა თუ არა, ძაღლებს გამოსაფხიზლებლად შეუძახებდა ჰოუ, ჰოუო და მისი ერთგული თანაშემწენიც მაშინვე წრეს არტყამდნენ ფარას. მწყემსებს შუადღეზე თხის კარვიდან სადილს მოუტანდნენ და ისინიც სახელდახელო მაგიდაზე **ჩერხვ**ზე (გათლილი ფიცარი) სადილობდნენ.

---

[1] **თიფუ // თგფ** საძოვრის, ცხვრის სადგომისა და კარვის // ბინის აღსანიშნავად იხმარებოდა (თ. სახოკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 385; გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 56).

განსაზღვრული იყო ფარაში **თილების** გარევის დროც. ოქტომბერში ჯალონა-ლაკადებში ფარაში გარეულ თილებს გარევის დოლობისას გამოაცალკავებდნენ, ვინაიდან 1000 სულიან ფარას დასანერბად 25-30 **თილი** სჭირდებოდა, განსაკუთრებული ყურადღება მის ამორჩევა-გამოკვებას ექცეოდა. გაზაფხულზე თილად ამორჩეულ ბატკნებს ცალკე ლალიან ბალახზე აძოვებდნენ, დანარჩენებს შემოდგომამდე თესლის ძარღვზე ბაწრის შემოჭერით კოდავდნენ.

განსაკუთრებით შრომატევადი მწყემსებისათვის დოლობის პერიოდი იყო. **დოლი** // **ხაფა** ცხვრებს მარტ-აპრილში უწევდათ. ადრე გაჩენილს **ნაკაბეტა**ს, გვიან კი **ნაჩქიჩქა**ს ეძახდნენ. მთიულეთში დოლის დროს გაჩენილს **ნაპარევი** ან **ბიჭა-ბატკანი**, გვიან მაისში გაჩენილს კი **ნელაი-ბატკანი**, **ქორფა** ერქვა (კაცაძე 1955: 171).

მწყემსებს განსაკუთრებული თვალყური დოლობისთვის სჭირდებოდათ. ყოველდღიურად ათეულობით მოგებულ წყვილში დედა-შვილის დამახსოვრება თვალისა და გონების სიფხიზლეს მოითხოვდა. ამასთან ზოგიც **მეჟირიე** (ორს იგებდა) გამოდიოდა, ზოგსაც ბატკანი უკვდებოდა, რომელთანაც შესაჩვევი იყო **ნაჟირა** ბატკანი. ერთი სიტყვით, მეცხვარეს მახვილი თვალი უნდა ჰქონოდა, იტყოდნენ კარგ მეცხვარეს, ნაბდითაც რომ დაეფარათ, კუდით უნდა ეცნო ბატკანიო. მათზე ყოფილა ნათქვამი ფრთიანი ფრაზა „თვალი სტეხს, გული იმახსოვრებსო“.

მწყემსები საძოვარზე მოგებული // **ხაფილების მოსაგ** // **უხაფუ**ებისგან იზოლირებას გამართლებულად მიიჩნევდნენ, რადგან, მათივე მოწმობით, ძველი ცხვარი ახალ

გამოუცდელ ცხვარს იზვებაზე უდარაჯებდა და ბატკანს წაართმევდა, რომელსაც 2-3 დღის მერე დააგდებდა კიდეც. ასეთი ბატკანიც, თუ მეცხვარე დროულად არ დაუბრუნებდა დედა ცხვარს, კვდებოდა.

დოლობისთვის შესაფერისი იყო ცხვრებისთვის განკუთვნილი ნაგებობა **ოკირიბე** // საბატკნე, სადაც ცხვრებს მოტრიალება // **დორთა** (ბატკნის მოძებნა) შეეძლოთ.

ახალმოგებულ ბატკანს, რომელიც პირველად მეცხვარეს მიჰყავდა დედა ცხვართან, 2-3 დღის მერე დედა სუნითა და კიკინით ცნობდა. მწყემსთა მოწმობით, საღამოთი ბატკნებს წოვებამდე ნახევარი საათით ადრე უშვებდნენ **აგვარა**ში, რათა ერთმანეთში წოლის გამო საერთო სუნი გაქრობოდათ და თავიანთი ინდივიდუალური სუნი შერჩენოდათ.

ასევე გამოცდილება სჭირდებოდა **ნაჟირა** ბატკნის გაბერწებულ დედა ცხვართან **მესკუალაფა** – მიშვილებას, რისთვისაც მოღობილებს აკეთებდნენ. მთიულეთში კი წნელის და მიწის ქობულებს ხმარობდნენ (კაცაძე 1955: 171).

ცხვარს, მთაში წასვლამდე, მაისსა და, ბარად ჩამოსვლამდე, აგვისტოში, ბატკანს კი მხოლოდ აგვისტოს თვეში კრეჭდნენ. მთის მატყლს // **ნაგვალ მონტყორს**, ზამთრისას კი **ნაბუთუ**ს ეძახდნენ და მათგან საოჯახო მოხმარებისათვის განკუთვნილ ნივთებს გარდა, ნაბდებსაც თელავდნენ (კვარაცხელია 1999).

## §5. საქონლის დაავადებანი და მკურნალობის ხალხური საშუალებანი

საქონლის დაავადებათა მკურნალობა მაღალ საფეხურზე იდგა უძველესი ცივილიზაციის ცენტრებში. ძველი კულტურული სამყაროს ლიტერატურული წყაროთაგან, საქონლის დაავადებათა მკურნალობის შესახებ გარკვეულ ცნობებს ჯერ კიდევ (ძვ. წ. XVIII ს.) ჰამურაბის კანონმდებლობაში ვხვდებით (Законы Вавилонского царя Хамурапи 1969: 312). აღნიშნული ხასიათის ცნობები შემონახულია შემდგომი პერიოდის ეგვიპტურ პაპირუსებში, ინდური, ჩინური, ებრაული, არაბული და სპარსული დამწერლობის უძველეს ძეგლებში (Ияшвили 1904).

ამ მხრივ გამონაკლისს არც ქართველი ტომები წარმოადგენენ. ასევე ძველია ქართული ხალხური ვეტერინალური ცოდნის საფუძვლები. მესაქონლეობის მაღალი კულტურა ქართველ ტომებში, საქონლის მოვლა-პატრონობის მრავალფეროვან ხერხებთან ერთად, პირუტყვის დაავადებათა საწინააღმდეგო სხვადასხვა საშუალებების გამოყენებასაც გულისხმობდა.

საქართველოში საქონლის მკურნალობისას გამოყენებული ხალხური საშუალებანი საკმაოდ მრავალფეროვანია. საქონლის მკურნალობის ხალხური მეთოდები ემყარებოდა რაციონალურ-ემპირიული ცოდნით შეპირობებულ და ირაციონალურ – ცრურწმენებთან დაკავშირებულ მაგიურ ხერხებსა და მეთოდებს. წერილობითი და საველე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მოსახლეობა იცნობდა და მკურნალობდა საქონლის მრავალ დაავადებას.

საქონლის გადამდებ დაავადებათა შორის ყველაზე საშიში **თურქული** ანუ **ტაბახი** იყო. თურქულის გაჩენის დრო მეცნიერებაში ზუსტად არაა ცნობილი. მის სახელსა და წარმომავლობას დამპყრობთა სახელთან აკავშირებენ (შამილაძე 1969: 56). მთხრობელთა მოწმობით, დაავადება თავს იჩენდა წელიწადის ნებისმიერ დროს მკურნალობა დაწყლულებული პირის ღრუს ნივრიანი არყით გამორეცხვასა და დასნებოვნებული ფეხების შაბიამნის ხსნარით მობანაში მდგომარეობდა. მოსახლეობა აღნიშნული დაავადების საწინააღმდეგოდ პროფილაქტიკურ საშუალებასაც მიმართავდა. საქონელს ნავთით დასველებულ ტილოს შემოახვევდნენ ჩლიქზე // **ჩორქო**ზე, თ. სახოკიას მასალებით, აღნიშნული დაავადების და, საზოგადოდ, იარების მოსარჩენად მცენარე ძირტკბილას გამხმარ ძირებს იყენებდნენ (სახოკია 1950: 279) .

სამეგრელოში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ცნობილი იყო საკმაოდ საშიში, გადამდები დაავადება საქონლის ჭირის სახით. ვინაიდან ხალხური მედიცინა უძლური იყო მის წინაშე, მეჯოგენიც საკმაოდ მკაცრ ღონისძიებას მიმართავდნენ. მარილმოყრილ მოლს, ბალახს ყველა საქონელს მოაძოვებდნენ განადგურების თუ გადარჩენის პროცესის ერთდროულობის თვალსაზრისით.

თ. სახოკიას ცნობით, ჭირით დაავადებულ საქონელს პატარა ცხოველ **ფშიძა**ს (აფხ.) ნახარშ წყალს ასმევდნენ (შამილაძე 1969: 75). აღნიშნული დაავადების დროს აჭარაში გავრცელებული ყოფილა ე.წ. იასაღის გამოცხადება და საქონლის დახიზვნის პრაქტიკა (სახოკია 1950: 279).

მუნით // **ქავანა**თი // **ხვარცა**თი დაავადებულ საქონელს გახურებული შანთით ამოუწვავდნენ დაავადებულ კანს.

აჭარაში მუნიან საქონელს პატარა ახორში ათავსებდნენ, ცეცხლზე გველსა და ზღარბს წვავდნენ და აკვამლებდნენ. სადეზინფექციო-პროფილაქტიკურ საშუალებებს წარსულში საინგილოშიც იცნობდნენ. ინგილოთა წარმოდგენით, მყრალი სუნი პირუტყვს ჭირს არიდებდა, რის გამოც ისინი დაავადებულ საქონელს ბოსელში ძაღლის განავლით აკვამლებდნენ (შამილაძე 1969 :76).

დასავლეთ საქართველოში საკმაოდ გავრცელებულ დაავადებად ითვლებოდა **პეპელა** // **ფარფალი** // **ციება**, რომელიც საქონელს გაზაფხულსა და შემოდგომით ჭაობის ბალახეულისგან ან დაგუბებული წყლისგან უჩნდებოდა. ფარფალი ემართებოდა ძროხას და ცხვარს, ნაკლებად ემართებოდა თხას და **ნაგვალ** // მთის ჯანსაღ საქონელს, არ ემართებოდა დედის ძუძუზე მყოფ ხბოს. ფარფალის შიშით საშემოდგომო საძოვრებიდან ზოგჯერ ხბოებს პირდაპირ სახლში მიერეკებოდნენ და ბაგურ კვებაზე ამყოფებდნენ. **საზოთო**ზეც კარგი საძოვრების შერჩევა და მათი ხშირი გამოცვლა ფარფალის წინააღმდეგ პროფილაქტიკურ ღონისძიებად ითვლებოდა. აღნიშნული დაავადებით გამოწვეულ შეშუპებებს ყელზე და მუცელზე მრავალფეროვანი საშუალებებით: ჭვარტლისა და წითელი სიმინდის, მარილიანი წიწაკისა და ლუგელის ნარევით, **ტუტლა**ში // **ხრიკა**ში // **ხერკე**ში დაყენებული წყლით, საჭმელში გარეული შაბიაბნით // **წარმაქი**თ ან პურში გახვეული მწვანე ბაყაყით მკურნალობენ.

საქონლის პირის ღრუს დაავადებას **ღვაჭა**ს ეძახდნენ (**ღვა** – ყბა, **ჭუა** – ავადმყოფობა), რომლის დროსაც სა-

ქონელს ტუჩის გვერდით დაავადებულ ადგილს გახურებული შანთით ამოუწვავდნენ. ენაზე გაჩენილ ტილსაც ამავე საშუალებით მკურნალობდნენ.

ჩრდილის ბალახის მოძოვებასთან დაკავშირებულ ავადმყოფობას კლინიკური მდგომარეობიდან გამომდინარე (ახასიათებდა სისუსტე, ბარბაცი) **ბრეტ**ს // **რეტ**ს // **ბენდელე**ს ეძახდნენ. ასეთ საქონელს ცალკე ყუათიანი კვებით გამოაჯანსაღებდნენ.

საკვებად გამოსადეგი მცენარეების გარდა, მოსახლეობა კარგად ცნობდა მავნე, შხამიან და სარეველა მცენარეებს: რძიანა // განძულია, შალაფა // ბანძგარი, ლენცოფა // წირკეში, იელი // ებლი, (მაყაშვილი 1934: 82-104) ღოლო // ოღვალო, (ჯავახიშვილი მასალები 1986: 150-153) რომლებითაც საქონლის მოწამვლის შემთხვევაში სამეგრელოში სამკურნალოდ ლობიოს ნახარშს იყენებდნენ. აჭარაში კი იგივე დანიშნულებით თბილი რძე ყოფილა გამოყენებული (შამილაძე 1969: 80).

იმ დაავადებებს, რომლებსაც მეგრელი მესაქონლენი ირაციონალური მეთოდებით – ვერბალური თუ იმიტაციური მაგიით – არჩენდნენ, მიეკუთვნება **გელა**, **ბარუ**, **ფინჩხი**. შელოცვებს მიმართავდნენ აგრეთვე საქონლის გაბერწების საშიშროების ჟამსაც[1].

საქონლის მკბენრების – **მურღულია** // **პული** // **გირდღი** – სამკურნალოდ სალიარისა და რძის ნარევს იყენებდნენ. საქონლის დაავადება ბირცხას (ახასიათებს ცრემლდენა) მარილის მოყრით არჩენდნენ.

---

[1] საველე მასალებით, აღნიშნული დაავადებების დროს გამოყენებული შელოცვების რამდენიმე ვარიანტი დავაფიქსირეთ.

ხალხური მკურნალობის როლი განსაკუთრებით დიდი იყო საქონლის ახურების, დაგრილების, იზვების პროცესებთან დაკავშირებით. საქონელი რომ ახურებულიყო, ტანს ქინძის ნაყენით უზელდნენ. საქონლის დაგრილების ერთ-ერთი სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორი **საშო**ს // **აფსო**ს შიგნით გაჩენილი მუწუკები იყო, რომელსაც დანით ამოჭრიდნენ, ნაჭრილობევს სპირტით მობანდნენ და მარილს მოაყრიდნენ. აღნიშნულ პროცესს **ეღალა**ს ეძახდნენ.

საქონლის ძუძუს დაავადება **მაშუში**ს (უჩნდებოდა პირველ იზვებზე) თავიდან ასაცილებლად ახალმოგებულ ძროხას ძუძუს გამაგრებამდე (მთხრობელთა მოწმობით, ყოფილა შემთხვევა მოგებამდეც ძროხის გამოწველისა) გამოწველიდნენ და მარილწყლით დაუზელდნენ. გარდა პროფილაქტიკური ღონისძიებებისა, შემუშავებულ იქნა **მაშუში**ს მკურნალობის სხვადასხვა ხალხური საშუალებანიც. ძროხას ძუძუს გამაგრებისას დანაყილ მცენარე უსახელოს აჭმევდნენ. ასმევდნენ აგრეთვე მცენარეების ღოღე და ზარგვაგვის ნახარშს (ხარშავდნენ წითელ ღვინოში). მკურნალობის ერთ-ერთ სახეობის „**მოფეშერაფა**ს“ დროს ძროხას გამაგრებულ ცურზე, შელოცვის პარალელურად, ქვეშიდან დანაცრებული შაშვის ბუდის კვამლს შეუხრჩოლავდნენ. ასევე მკურნალობის რაციონალური და ირაციონალური მეთოდების სინთეზი ჩანს მკურნალობის მეორე ხერხშიც, რომლის დროსაც ავადმყოფობას, ვერბალურ (შელოცვა) და იმიტაციურ (ხის სავარცხლით რძის ჩამოწველა) მაგიასთან ერთად, მცენარეულის (ჭინჭრისა და ოშოშიას ნახარშით დღეში 3-4 ჯერ მობანდნენ) ნახარშით მკურნალობდნენ.

ხალხურ მედიცინაში ცხენის დაავადებათა თითქმის ყველა სახეობის – **სარსა**, **სახოპი**, **ძუარე**, **ჩამრები** – წინააღმდეგ შემუშავებულ იქნა მკურნალობის საკმაოდ ეფექტური საშუალებანი.

**სარსე**ს, ცხვირში ხრტილოვან წამონაზარდს, და **სახოპ**ს, სასას ქვემოთა წამონაზარდს, სპეციალური დანით აჭრიდნენ.

**ძუარე**ს დროს კუდის ძირთან გაჭრილ ტყავში სპეციალური ჯოხის **კაბრეჭყი**ს (1 მტკაველის სიგრძის ორად გაჭრილი წვრილი ჯოხი) ტრიალით ამოჰქონდათ ავადმყოფობის გამომწვევი შავი ძარღვი.

**ჩამრები**ს დროს (ცხენის ხველებას იწვევდა) მარილწყალში მოხარშულ ია-იას (фиалка), (Viola, paliurus Spina christe Mill) და ჯამფეზიას (ჭიაფერა, Лаконос, phytclace Amerikanal) წვენში გარეულ გოგირდს 30 გრამს ცხვირის ორივე ნესტოში ასხამდნენ ყოველ მესამე დღეს, წამლის მიღების შემდეგ კი გააჭენებდნენ.

**წინგე**ს დროს კვერცხის ცილაში ალესილი ქონდრის ნაცრისა და 5 კბილი დანაყილი ნივრის ნაზავს ასმევდნენ დღეში ერთხელ.

ცხენის ჭიის წინააღმდეგ გამოყენებული ყოფილა ძეწვიას (მზეწვია, ძეძვი) ძირის ნახარში. (0,5 ლიტრი დღეში ერთხელ ყოველ მესამე დღეს).

## II თავი

## რძის პროდუქტები და მათი რეალიზაციის საშუალებანი

### §1. რძე და რძის პროდუქტები

**რძე**. სამეგრელოში კვების უმთავრესი პროდუქტი რძე იყო. იგი შეიცავს ორგანიზმისათვის სასიცოცხლო ნივთიერებებს ცილებს, ცხიმებს, შაქარს, მინერალურ მარილებს (კირი, გოგირდი, ფოსფორი, კალცი), წარმოადგენს საუკეთესო საკვებს ახალგაზრდა მზარდი ორგანიზმისათვის.

რძის თვისობრიობა, რაოდენობა, შემადგენლობა დიდად იყო დამოკიდებული ძროხის ჯიშსა (Калантаров 1991: 80) და საკვების საძოვრის ხარისხზე (Накашидзе 1896: 250). რძისა და მისი ნაწარმის ხარისხს განაპირობებდა აგრეთვე ნაწველისა და მისი წარმოების, გადამუშავების სისუფთავე.

აღნიშნავს რძის გადამუშავების შინამრეწველური ტექნიკის არქაულობას, ანდრონიკაშვილი წერს, რომ „აბორიგენები (ე. ი. ქართველები) რძის მეურნეობას ეწევიან უხსოვარი დროიდან ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი პრიმიტიული მეთოდებით. რძის მრავალგვარ პროდუქტს, რომელთაც ადგილობრივი მკვიდრნი იალაღებზე ყოველგვარ შესაბამის განწყობილებათა გარეშე და ფრიად უსუფთაოდ აწარმოებენ, მაინც აქვს დიდი გასაღება, ხოლო ზოგიერთმა ყველმა უკვე მოასწრო მოეპოვებინა ერთგვარი სახელი“ (Андроников 1888: 268).

თუ გავითვალისწინებთ სამეგრელოს მესაქონლურ მეურნეობაში ალპურ საძოვრებზე **მეხელი**ს ინსტიტუტის არსებობას, მეხელის ჩაცმულობასა და მის დამოკიდებულებას რძის მეურნეობის წარმოებისადმი, დავასკვნით, რომ ყოვლად შეუსაბამოა ავტორის მიერ მოწოდებული მასალა არსებულ რეალობასთან.

ქართულ რძეს მეგრული **ბჟა**, ჭანური **მჯა-ბჟა-ბჯა** შეესატყვისება. ინგილოურში **ზეი** იხმარება, ხევსურულში კი ზისცვარი. მ-ს ადგილს მეგრულში, ჭანურშიც იჭერს **ბ**. ჯ ჭანურში მიღებულია **ჟ**-სგან. ჭანურისა და მეგრულის ჩვენებათა თანახმად, ქართულში უნდა გვქონოდა ზენ. ეს **ზე** უნდა იყოს შემონახული ხევსურულ ზისცვარში, რაც რძეს ნიშნავს (ჩიქობავა 1942; 163).

რძის პროდუქტის ზოგადი სახელი კი **ჰამო**ა (ქართ. ამო – საამო, სასიამოვნო, ტკბილი), რომელიც გადმოცემულია აგრეთვე მართულმსაზღვრელიანი სინტაგმით – **ბჟაში ნაწარმი** (რძის ნაწარმი).

**ყველი**. სამეგრელოში რძის ნაწარმის უმნიშვნელოვანესი პროდუქტი ყველი იყო (თოფურია 1979: 115). მის ტრადიციულობას და საყოველთაოდ წარმოებაზე მეტყველებს აქ გავრცელებულ სახეობათა მრავალფეროვნება. სამეგრელოში ყველის რბილი[1] ( Желтова 1848: 205) სახე-

[1] კალანტარისგან (Калантар А, დასახ. ნაშრომი, გვ. 92) განსხვავებით, რომელთა კლასიფიკაციის საფუძველი რძის შედედებისა და ყველში წყლის კონცენტრაციის პრინციპია, ჩვენ ყველის დაყოფის საფუძვლად მისი ტექნოლოგია მივიჩნიეთ და ამდენად პირველადი დამუშავების რბილი // ჭყინტი ყველის კლასიფიკაციაში მოექცა მისი როგორც რბილი, ასევე მშრალი და შებოლილი სახეობები, ხოლო მეორადი დამუშავების გადაზელილ ყველში კი სულუგუნი და გებჟალია ყველი.

ობებიდან ცნობილია **ჭყინტი** ყველი თავისი ქვესახეებითა თუ სინონიმური შესატყვისებით: **კაზილა** // **კაზლა ცვალი**, **კიბგ ცვალი** // **კდა ცვალი**, **კვეკვერე** // **ჭვეჭვერე**, **დერგიში კაზლა ცვალი, გუდაში ცვალი**, **დორაში**, **კოტოში ცვალი**, **ხუმლა** // შებოლილი **კაზლა ცვალი**. ყველის მაგარი გადაზელილი სახეობიდან კი ცნობილია **სულგუნი** // **სელეგინი** // **სილოგინი** // **ნაგვალი ცვალი**, **გებჟალია ცვალი**.

ყველის ხარისხი დამოკიდებული იყო როგორც საძოვრის ხარისხსა და ნაწველის სისუფთავეზე, ასევე შესადედებელი ფერმენტის კვეთის ხარისხსა (კვარაცხელია 2001: 175) და დამუშავების ტექნოლოგიაზე. სწორედ დამუშავების ტექნოლოგიურ მრავალგვარობაში პოულობდა გამოხატულებას მის სახეობათა მრავალფეროვნება.

ყველის დამზადება დიდ სამეურნეო გამოცდილებას მოითხოვდა და, ამავე დროს, დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული. აღნიშნული გარემოებით იყო განპირობებული სამეგრელოში, მესაქონლეობის ამ უძველეს კუთხეში, ალპური მეურნეობის პირობებში მეხელის ინსტიტუტის შექმნაც.

რაკი შედედებისას რძის ნორმალურ ტემპერატურას ყველის ხარისხზე ჰქონდა დიდი მნიშვნელობა (მოწველილი რძის ტემპერატურას უნდა უახლოვდებოდეს), მეხელე რძეს მოწველისთანავე კვეთავდა. მთხრობელთა მოწმობით, ცივად შეკვეთილი (ის გათბობასა და კვეთის შეცივებას მოითხოვდა) და ასევე ზომაზე მეტად თბილი რძისგან (ცივი რძე კი ადვილად იწვებოდა კვეთით) ცუდი ხარისხის ყველი გამოდიოდა. მეხელის ეს სამეურნეო გამოცდილება სპეციალურ ლიტერატურაშიც დასტურდება. თუ რძე შეკვეთილია მაღალ ტემპერატურაზე ბე-

ვრი დერიტის მიცემით, რძე მალე დედდება ყველიც ძნელად შრება, მაგრამ მისი დამწიფება გაძნელებულია. თუ რძე დაკვეთილია დაბალ ტემპერატურაზე, ყველი ძნელად შრება, რბილია და მიდრეკილია ლპობისკენ.

რძის შედედების ნორმალური მსვლელობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ჟელტოვა რძის ნორმალური ტემპერატურის შენარჩუნებას ითხოვდა. ტემპერატურის განსაზღვრულ დონემდე ($20^0$-$40^0$) აწევით ფერმენტის აქტიურობაც იზრდებოდა (6, 206).

რძის შედედების გასაგებად რამდენიმე ხერხს მიმართავდნენ: I. თუ კალეში ჩაყოფისას თითს ან კოვზს თუ მასა არ ამოჰყვებოდა, დელამო მზად იყო დასამუშავებლად. II. რძე შედედებული იყო, თუ ჭურჭლის გვერდზე გადაწევისას კალე კედელს არ მიეკვრებოდა. III. მეხელე კალეში საჩვენებელ თითს მსუბუქად მოხრიდა, ამოიღებდა კალეს თითით, თუ შედედებული მასა იშლებოდა, გამოიყოფოდა გამჭირვალე შრატი და თითი სუფთა რჩებოდა, კალეც მზად იყო.

განსაკუთრებული ყურადღება შედედებული მასის დროულ დამუშავებასაც ექცეოდა, ვინაიდან, მთხრობელთა მოწმობით, მისი დაყოვნებული დამუშავებით ყველის მასა კლებულობდა. („**ნაწი ქინაჭკომანსია**“ – კვეთი შეჭამს ყველსო.) მაღალხარისხოვანი ყველის მისაღებად მეგრელი მეხელე კალეს დამუშავებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. კარგად დაქუცმაცებულ // **ქარქილ** კალეს კვლავ აცხელებდნენ, რაც ხელს უწყობდა ყველის მასის გამკვრივებას. მეხელე დამუშავებულ ყველის მარცვლებს დალექვას აცლიდა („ყველი თვითონ დაჯდებაო“), რის შე-

მდეგაც მასას ძირს სწევდა // **ქდაწარწანდ**, ჩაყვათი წაქას გადმოასხამდა და ყველს იქვე სტოვებდა დასამწიფებლად, წაქის გადმოსაწურად ბუყუნს გვერდზე გადასწევდა, რადგან, მათივე მოწმობით, ზედმეტი სითხე ყველის დამწიფებას აფერხებდა, ბლანტს ხდიდა // **ოყიყინუანსია**. ბარად კი ყველის მარცვლებს ხელით ერთ მხარეს მოაქუჩებდნენ, ერთ კუთხეში მოიმწყვდევდნენ, ზომიერად გაწურავდნენ და ლამაზ კვერეულებს ამოიყვანდნენ. სცოდნიათ აგრეთვე ახლადამოღებული ყველის კვლავ ცხელ წყალში ამოვლება. რაც, მთხრობელთა მოწმობით, ყველს სიმკვრივისა და გემოს მატებდა. ახალამოღებული ყველის ხელმეორედ შრატში ამოვლება სცოდნიათ იმერეთსა და გურიაშიც. „ახალ ყველს ცხელ წყალში ამოვავლებთ, კარგი პირი რომ დეეძინოს, ყველი არ გადაიშლება, არ დატყდება, მოხარშულმა ყველმა კარგი გემო იცის, ზედმეტ მარილს არ მიიკარებს" (მაკალათია 1941: 192).

ბარად ახლამოღებულ ყველს ათავსებდნენ სპეციალურად დასამწიფებლად, ასაფუებლად დამზადებულ **ოჩვეჩვეში**, რომლის სახელწოდებაც აფუება-დამწიფების მეგრული შესატყვისი **ჩვიჩვინაფა**დან მომდინარეობს. (**ჩვიჩვინაფა – ოჩვეჩვე**.) ოჩვეჩვედან, რომელიც მშრალსა და თბილ ადგილას იყო მოთავსებული, მარილმოყრილი დამწიფებული ყველი გადაჰქონდათ წათხისთვის განკუთვნილ **საწყითორ ბუყუნ**ში. **წათხი** // **წყითი**ს სიძლიერეს, სადაც ყველი კარგად და დიდხანს ინახებოდა, სინჯავდნენ კვერცხისა და ყველის ამოტივტივებით.

ხალხური დაკვირვებით, ახალამოღებულ ყველზე მარილის მოყრა დამწიფებას აფერხებდა. მარილი ყველიდან

სინოტივეს იზიდავდა და ყველს დაუმწიფებლად აშრობდა. დამწიფებული ყველის დამარილების დროს კენჭ მარილს ანიჭებდნენ უპირატესობას. კენჭი მარილი ყველის სინოტივეს ნელა იწოვდა, თანდათან გაღვივებულ ყველსაც თვლებიც ზომიერად უვითარდებოდა // **იჭილორუდუ**.

დამწიფების შემდეგაც ყველის ხარისხზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შესანახ ადგილსა და მის ტემპერატურას. შესანახად განკუთვნილ ყველს, ვინაიდან ის ცივსა და ნოტიო ადგილს საჭიროებდა, თიხის ჭურჭლებით მიწაში ინახავდნენ. ასეთ ყველს სახელებიც ჭურჭლის შესატყვისი ჰქონდა: **დერგიში ცვალი**, **დორაში ცვალი**.

ქუთაისის გუბერნიაში ნაკაშიძეც ადასტურებს ყველიანი დერგის მიწაში დაფვლის ფაქტებს (Накашидзе 1896: 249). გურიაში დერგში შაზსა და ნიორს ყრიდნენ, მთიულეთში ქვევრებში მოთავსებულ ყველს ძმარსაც უსხამდნენ (შინამრეწველობის მასალები, №7: 101).

სამეგრელოში შესანახ ყველს ახმობდნენ ან კვამლში გამოჰყავდათ. გასახმობად მხოლოდ შემოდგომის ყველს არჩევდნენ, უფრო ადრინდელს, მთხრობელთა მოწმობით, მატლი უჩნდებოდა. იმერეთში ყველის გრილოში გახმობა სცოდნიათ, მზეზე უცბად ხმება, სკდება და სუნი ეძლევაო (თოფურია 1964: 72). გურიაში კი ყველს გასახმობად ჩეჩოზე დებდნენ (შინამრეწველობის მასალები, №7: 80).

სამეგრელოში ყველის შესაბოლად არჩევდნენ არყის, აკაციის, რცხილის და წიფლის ხის ქერქს. ტუნგო ყველს მწარე გემოს აძლევს, ფიჩხი კი აშავებსო. ნორმალურად შებოლილი ყველი მოწითალო უნდა ყოფილიყო. ჭყინტი ყველის შებოლვა აფხაზეთშიც დასტურდება (Бжания 1984 : 93).

ქართულ ყველს მეგრული **ცვალი** // **ცვაი** შეესატყვისება. ლაზურად **ყვალ** // **კვალ** // **ვალ**. **ყვ** კომპლექსი ხან კვ-ს გვაძლევს, ხან ვ-ღა რჩება. დეტერმინანტ სუფიქსად ქართულში ელ, ჭანურსა და მეგრულში ალ-ია. ქართული ყ გვაძლევს მეგრულ ცვ-ს, ყველი – ცვალი, ყანა – ცვანა (აბულაძე 1938: 35).

ყველი ყაბარდოულად **ყოია**, ჩერქეზულად კი **ცუაი**. სვანურში წარმოდგენილი ზმნა **ლი-ყ-ელ-უ** // **ლი-ყ-ელ-ე** // **ლი-ყვ-ელ-ე** ამოყვანაა. **ყვ** ძირთან **ყველ** ფუძის კავშირს მოწმობს ლაზური **მეყვაფერი** – მაწონი, რომელიც იმავე ძირიდან არის ნაწარმოები (ფ. ჰენრიხი, ზ. სარჯველაძე 1990: 360). სამეგრელოში ახალამოღებულ უმარილო ჭყინტ (ქორფა) თოთო ყველს **კვეკვერე** და **ჭვეჭვერე** (სს ორბელიანი 1993: 68) ჰქვია. ეს უკანასკნელი, რომელსაც მოკვერებასთან აკავშირებენ (თოფურია 1964: 45), რედუპლიცირებული ფუძიდან ნაწარმოები ნანათესაობითარი ფორმითაა გადმოცემული (ბუკია 2000:21). გადაუხარშავ, დამარილებულ ყველს კი **კიბ ცვალ**ს // **კიფე ცვალ**ს // **კდა ცვალ**ს და კაზლა ცვალს ეძახიან. სვანეთშიც ხალამში შენახულ დამარილებულ ჭყინტ ყველს **კაზალი**ს ეძახიან. პირველადი ყველი აფხაზეთში ატაზილა-ს სახელითაა ცნობილი (შინამრეწველობის მასალები, 128). საბა კაზილას ნაჭერ ყველს ეძახის (სს ორბელიანი 1964: 346). ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ კაზილა კაზუა (შემზადება, მომზადება) ზმნისგან ნაწარმოები ვნებითი მიმღეობა კაზილი უნდა იყოს და ერთ კვერეულად შემზადებულ ყველს უნდა ნიშნავდეს (ჯავახიშვილი 1986: 243). ნ. თოფურია კი კაზილას ყველის ფორმასთან აკავშირებს (თოფურია 1964: 48).

ვფიქრობთ, რომ კაზილა არც კაზმვასთან და არც ჭურჭელთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. პრობლემა შეიძლება უფრო მარტივად გადაწყდეს, თუ სიტყვა **კაზილა**ს თურქულ სიტყვა კაზართან (ყველის ერთ-ერთ სახეობა) დავაკავშირებთ. სიტყვებში **კაზარ** (თურქ.), **კაზალ** (სვან.), **კაზილ** (მეგრ.) როგორც ერთი შეხედვითაც ჩანს, სერიოზულ ფონეტიკურ ცელილებებთან არ უნდა გვქონდეს საქმე.

**გუდის ყველი**. სამეგრელოში ყველის ასორტიმენტთა შორის განსაკუთრებული ადგილი გუდის ყველს // **გუდაში ცვალ**ს უჭირავს, რაზედაც მისი ტექნოლოგიური და ტერმინოლოგიური მრავალფეროვნება მეტყველებს.

გუდა საბასთან „ტყავისგან შთასადებელია (სს ორბელიანი 1964: 174). სამეგრელოში მას **კუპრს** და **ქაცლაშს**, გუდის ყველს კი **ჭიხრა**[1] // **ჭიღრას** და **ძირძ**ს ეძახიან. აფხაზეთში გუდის ყველი ачавюр-ის სახელითაა ცნობილი (Бжания 1981 : 103).

დიდი სამეურნეო ემპირიული გამოცდილება კარნახობდა მეგრელ მეურნეს ყველის ამ სახეობის დასამზადებლად სეზონისა და ნედლეულის (რძის პროდუქტთაგან: რძე, მაწონი, ყველი. შესანახ საშუალებათაგან: ტყავი, გუდა, თიხა) შერჩევას. გუდას ყველისთვის იყენებდნენ ცხიმიანობით გამორჩეულ შემოდგომის // **ნამოზუში** რძეს.

გუდაში პირველად ჩასხმულ რძეს წიწაკიანი მარილით შეზავებულ ახალ-ახალ რძეს ამატებდნენ. ზოგჯერ

[1] ივ. ჯავახიშვილი ჭიღრას ცხვრის რძისგან გაკეთებულ გუდის ყველს ეძახის. დღეს ჭიხრას და ძირძს შეზავებულ მაწონსაც ეძახიან.

კი პირველად დაფშვნილ ჭყინტ ყველს ყრიდნენ, შემდეგ კი მაწონს ამატებდნენ. ამ ტიპის ყველს სახელიც შესაბამისი – **ცვალი ფუჩხოლირიში** გუდაში ცვალი დაფშვნილი ყველის გუდის ყველი) – ერქვა. გამოყენებული იყო მეთოდი, რომლის დროსაც პირველად ჩასხმულ შეზავებულ მაწონს რძეს ამატებდნენ.

სამეგრელოს ბარში აღნიშნული ტექნოლოგიით ყველს **გუდის** ერქვა. ხის – **დერგი**, **აბშირყა** – ან თიხის – **დორა**, **ყუჯელი**, **კოტო** და სხვა ჭურჭლებში აკეთებდნენ, გასაშრობად კერიის ზემოთ **ოპაზე** (დედაბოძზე დადებული ფიცარია) დებდნენ ან კერიასთან დგამდნენ.

დამზადებულ ყველსაც ორმაგი სახელით მოიხსენიებდნენ: **დერგიში, კოტოში, გუდაში ცვალი.**

დასავლეთ საქართველოსგან განსხვავებით, სადაც **გუდა** ამ სახეობის ყველის დამზადების აუცილებელი პირობა და ტექნოლოგიური პროცესის გამომხატველია, აღმოსავლეთ საქართველოში მას ყველის შესანახად გამოყენებულ საშუალებად ვხვდებით (Мачабели 1987: 411).

**სულუგუნი**. სამეგრელოში რძის პროდუქტთა შორის ყველაზე პოპულარული სულუგუნი იყო, რომელიც აქედან მთელ საქართველოში გავრცელდა და პოპულარობა უცხოეთშიც მოუპოვებია.

კალანტარი ამიერკავკასიაში, აბორიგენთა შორის გავრცელებულ ადგილობრივი ყველის სახეობებში, ჩამოთვლის განსაკუთრებით პოპულარულ თუშურ, ოსურ, იმერულ ყველს და მეგრულ სულუგუნს, რომლებიც რკინიგზის გაყვანის დროიდან ამიერკავკასიის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ქალაქში იყიდებოდა და ფოთის ნავსადგურიდან უცხოეთშიც გაუტანიათ (Калантаров 1991: 78).

სამეგრელოში სულუგუნს ყველის სხვა სახეობათაგან განსხვავებული ტექნოლოგიით ამზადებდნენ, რაც ამიერკავკასიის მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალური კვლევის საგანი გახდა (ფირალიშვილი 1951).

მაღალხარისხოვანი ყველის მისაღებად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სასულუგუნე ყველის დამწიფებას, რის დასადგენადაც რამდენიმე წესი არსებობდა. I. ყველის სიმწიფეს უპირველესად ყველის გაფუებით იგებდნენ. მწიფე ყველი **ცუხოლირი** // **ხუცოლირი** // **ჭილორილი** // თვლებიანი იყო. ზედმეტად თვლებიანი გადამწიფებული, ნაკლებად თვლიანი ან უთვლო კი დაუმწიფარი იყო, II. ყველის სიმწიფის დასადგენად ყველის შუაგულიდან ამოჭრილ თხელ ფენას ცხელ წყალში ჩადებდნენ ან დანის წვერით ცეცხლთან ათბობდნენ, შემდეგ კი ხელით ზელდნენ და წელავდნენ. კარგი წელადობა დამწიფების ნიშანი იყო, უმწიფარი არც იზილებოდა და არც იწელებოდა, გადამწიფებული კი წელვისას წყდებოდა. III. ყველის დამწიფების გასაგებად თბილ შრატსაც იყენებდნენ. მწიფე ყველი შრატში არ იძირებოდა.

სასულუგუნე მწიფე ყველს თხელ ფენებად ჭრიდნენ (სქლად დაჭრილში წყალი ძნელად შედისო) და ადუღებამდე მისულ წყალში ან შრატში ყრიდნენ. ლ. ფირალიშვილი ყველის გადასაზელად შრატის გამოყენებას არჩევს. მთხრობელები კი უპირატესობას წყლით გადაზელილ სულუგუნს ანიჭებენ. ყველის შენახვის პრაქტიკამ მეგრელ მეურნეს დაანახა წყლით გადაზელილი სულუგუნის უპირატესობა. მათივე მოწმობით, შრატისგან გაკეთებული ყველი დროთა განმავლობაში შრატის გემოსაც გა-

გრძნობინებს და მჟავდება. გადასაზელი ყველი სითხეში ჩამჯდარი უნდა ყოფილიყო (30 ლიტრი რძიდან ამოსულ ყველს 10 ლიტრი წყალი სჭირდებოდა). ზედმეტი წყალი ზელვას აძნელებდა, ნაკლებ წყალში კი ყველი კარგად არ მოიხარშებოდა. ყველს ერთგვაროვანი წელვადი მასის მიღებამდე ხის კოვზით (ლითონის კოვზი ყველს მიიწებავსო) ზელავდნენ. რადგან დაზელვის პროცესზე იყო დამოკიდებული სულუგუნის ფენოვანება, ელასტიკურობა და სიმკვრივე, ზელვას ხელითაც აგრძელებდნენ. ზელვის გასაიოლებლად ყველს რამდენჯერმე ცხელ წყალში აბრუნებდნენ. დაზელილი მასიდან იმ ზომის ნაჭრებს მოსწყვეტდნენ, რა ზომის სულუგუნის გაკეთებაც სურდათ. ცალკეული გუნდების ზელვას ხელშიც აგრძელებდნენ. შემდეგ კი დაიწყებდნენ კვერეულის გამოყვანას, რისთვისაც ყველის მასას ორივე ხელით გადაქნიდნენ, შეგრეხილ ნაპირებს მარცხენა ხელში იკრებდნენ, ზედაპირს ამრგვალებდნენ და ჭიპს მოსწყვეტდნენ, ახალ კვერეულს ცივ წყალს გადაავლებდნენ (ცივი წყალი ზედმეტ მარილს არ შეაწოვებინებსო) და კენჭი მარილით ამარილებდნენ (წვრილი მარილი რბილად ტოვებსო). გამაგრებულ და გაციებულ (თბილ სულუგუნს სითბო გაუჯდება და გაიბერება-აიწევაო) სულუგუნს სპეციალურ ყალიბში // კალაპოტში ათავსებდნენ, 24-საათის შემდეგ კი გადაჰქონდათ **საწყითორ ბუყუნში**, სადაც ყველი მოხმარებამდე ინახებოდა. ალპურ საძოვრებზე დამზადებული ყველი **ნაგვალი** // **ნამთევის** სახელითაა ცნობილი.

როგორც აღვნიშნეთ, ყველის ხარისხი დიდად იყო დამოკიდებული სასულუგუნე ყველის ზომიერად დამწიფებაზე. უმწიფარი და გადამწიფებული ყველისგან ცუდი

ხარისხის **ბუჯგა** // **ფხვიერი** // **ფაშარი** სულუგუნი გამოდიოდა. მეგრელი მეურნე არა მხოლოდ კარგად ერკვეოდა აღნიშნულ პროცესებში, არამედ გართულებულ მდგომარეობასაც კარგად ართმევდა თავს. მთხრობელთა მოწმობით, თუ გადამწიფებულ ყველს ცხელ წყალს დაასხამ, ყველი ჩაიშლება, რძესავით იქცევა // **აკოწენს**, პატარ-პატარა ყველის ბურთულები ფსკერზე ილექება და ნაკლები რაოდენობის **პუჭკოლია** // **ბუჯგოლია** ყველი გამოვა. დანაკარგის თავიდან ასაცილებლად თხლად დაჭრილ გადამწიფებულ ყველს ცივ წყალში ყრიდნენ, ნელ ცეცხლზე შედგამდნენ და ერთგვაროვანი წელვადი მასის წარმოქმნამდე კოვზით ურევდნენ. ყველის მასა ელარჯივით დაიწყებდა წელვას // **წვიწვაფა**ს და სულუგუნის ჩვეულებრივი კვერეულები ამოჰყავდათ.

მეგრელი მეჯოგეები მდიდარი სამეურნეო გამოცდილების წყალობით ჩინებულად ერკვეოდნენ სხვადასხვა საქონლის რძის თვისებებში, იცოდნენ რომელ რძეს შედედების, დამწიფების რა თვისება ჰქონდა და თავიანთ საქმიანობასაც შესაბამისად სასურველი მიმართულებით წარმართავდნენ. თხის რძის თვისებიდან (სწრაფი შედედების უნარი) გამომდინარე, მთაში მისი რძისგან ცალკე ყველს არ აკეთებდნენ. იტყოდნენ როგორც თხაა ჩქარი, მისი რძეც ჩქარა დედდებაო. მთაში, სადაც თხის რძე ბლომად გროვდებოდა, მისი შედედებული მასის დროულ დამუშავებას (ნახევარი საათის დაგვიანებაც კი აფუჭებდა ყველს) 5-6 კაცი სჭირდებოდა. არადა რძის მეურნეობის წარმოება მხოლოდ **მეხელი**სა და **ნაცვლის** ინსტიტუტს ითვალისწინებდა. გამოცდილი მეურნის ალღომ და გონიერებამ გამოსავლის ძიებაში ახალი მეთოდი შე-

იმუშავა თხის რძის გაკეთილშობილებისა. შედედების პროცესის შესანელებლად თხის რძეს (100 ლ) ძროხისას (20 ლ) გაურევდნენ. ნარევი, აღნიშნული პროცესის დარეგულირების გარდა, სხვა მხრივაც კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა ყველზე. ამ ტიპის ყველს შესანიშნავი გემო და სასიამოვნო ფერი ჰქონდა. ზარად, სადაც ცალკე თხის რძისგან სულუგუნსაც აკეთებდნენ, მაგრად გაწურულ ყველს დასამწიფებლად მშრალად ტოვებდნენ. ძროხის ყველისგან განსხვავებით, თხის ყველზე დიდი ხნის ზელვა უარყოფითად მოქმედებდა, რის გამოც თხის კვერეულებს მალე კრავდნენ. თხის სულუგუნი ვერც მარილწყალს ჰგუობდა (ბევრ მარილს იწოვსო). დამწიფების ხანგრძლივი პერიოდი ახასიათებდა კამეჩის ყველს. დილით ამოღებულ ყველს მხოლოდ საღამოსთვის გადაზელდნენ.

ცხვრის სულუგუნი, რომელსაც სუნითა და გემოთი ფურის სულუგუნს ამსგავსებდნენ, პირველი ორი კვირის განმავლობაში სიახლეს ინარჩუნებდა, შემდეგ კი მაგრდებოდა და მშუშხავ გემოს იღებდა (ფირალიშვილი 1951: 145).

სულუგუნის დამზადების ქარხნული წესი ძირითადში ემთხვევა მეგრელი მეურნის მიერ შემუშავებულ ტექნოლოგიურ წესებს, განსხვავება მხოლოდ დამარილების პროცესში მდგომარეობდა. ქარხნულად დამზადებულ დიდი ზომის კვერეულებში, სულუგუნის ფენოვანი კონსისტენციის გამო, ძნელდებოდა მარილის თანაბრად განაწილება, რის გამოც საჭირო რაოდენობის დაფქვილ მარილს ცომშივე ჩაზელდნენ (ფირალიშვილი 1951: 147).

სამეგრელოში დიდი ხნით შესანახ სულუგუნს, ჭყინტი ყველის მსგავსად, მიწაში ჩაფლულ დერგში ან დორაში

ინახავდნენ. სულუგუნის მარილწყალში შენახვას, მზეზე გამოშრობას და კვამლში გამოყვანას ე. ნაკაშიძეც ადასტურებს (Калантаров 1991: 250). სარიტუალო დანიშნულების დიდი ზომის კვერეულებს გადახარშვისას თაფლსაც უმატებდნენ.

მეგრელი მეურნის მდიდარ ფანტაზიას უნდა მიეწეროს ყველის განსაკუთრებული სახეობის **ბეჭილია ცვალი**ს // დაბწნილი ყველის კეთება. ყველს არა თუ სხვადასხვა ფორმით წნავდნენ, არამედ მისგან ნებისმიერი ფიგურის გაკეთებას ახერხებდნენ. უკეთებიათ ჭალი, კალათა, მხედარი, ადამიანის თუ ცხოველის ფიგურები. ცხოველთა გამოსახულების სულუგუნს სვანეთშიც მიცვალებულთა სახელზე აკეთებდნენ (ბარდაველიძე 1953: 71). კაჩიო კავალოს სხვადასხვა ფორმით არსებობაზე კალუმელას ცნობებს ფლეიშმანთანაც ვხედებით (Флеищман 1927: 359).

აღმოსავლეთ ევროპისგან (უნგრეთი) განსხვავებით, სადაც სხვადასხვა სახის ფორმის ფიგურებს, მათ შორის ე.წ. „თოჯინა ყველს" სპეციალური ამოტვიფრული ფორმებით ამზადებდნენ (Kovagi 1969: 682). სამეგრელოში ყველის აღნიშნულ სახეობა ხელით კეთდებოდა. ყველის მასა ფიგურების გასაკეთებლად მოქნილი და დამყოლი რომ ყოფილიყო, ცხელი წყლიდან ამოღებულ სასურველი ზომის ნაჭრებს მარილწყალში ამოავლებდნენ. ამ ტიპის ყველს ესთეტიკური დანიშნულების გარდა, საჩუქრად და საკურთხად – მიცვალებულის სულისთვის ამზადებდნენ.

ამიერკავკასიაში მესაქონლეობის პრობლემების კვლევით დაინტერესებულ მკვლევართა ცნობით, რომლებიც სულუგუნის დამზადების საკმაოდ ზუსტ აღწერილობებს

იძლევიან, სულუგუნი მზადდებოდა არა მხოლოდ სამეგრელოში, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოში, სადაც მეგრელებს საქონელი დაჰყავდათ (Калантаров 1991: 66; Накашидзе 1896: 511). დამზადების ტექნოლოგიის იდენტურობის მიუხედავად, სულუგუნს სხვადასხვა სახელით იხსენიებდნენ. იმერეთში, ლეჩხუმსა და რაჭაში მას **გვაჯილას** სახელით იცნობდნენ (შინამრეწველობის მასალები: 125), აფხაზეთში კი სულუგუნს **აშვჩაპან**-ს ашвчапан ეძახდნენ. წ. ბჟანია ამ ტიპის ყველს აფხაზურ ყველს ეძახის, მხოლოდ ტერმინ **აშვჩაპან** ашвчапан მეგრული სულუგუნიდან მომდინარედ მიიჩნევს. **აშვ** ყველია, **ჩაპან** -ი ალბათ, შესანახი ადგილიაო, – დასძენს იგი (Бжания 1981:106). მხოლოდ ანდრონიკოვთან ნახსენებ სულუგუნს არაფერი აქვს **კაჩიო** ყველის ამ სახეობასთან, აქ საუბარია ცხვრის ჭყინტ ყველზე (Андроников 1888:54).

ლ. ფირალიშვილი საქართველოში გავრცელებულ სულუგუნს თავისი ტექნოლოგიური პროცესებით იტალიურ ყველს **კაშკავალს** ამსგავსებს (ფირალიშვილი 1951: 144). იძლევა კაჩიო კავალოს (კაჩი კავალოს) დამზადების საკმაოდ ვრცელ აღწერილობას. ეყრდნობა სხვა ავტორთა – ს. პარაშუკის, ა. კოროლევის, სალტკოვის, აგრეთვე ფლეიშმანის – მონაცემებს. ნ. თოფურია პეტრიაშვილის კაჩკავალას დამზადების ვრცელ აღწერილობას ქართული მასალის ზეგავლენით ხსნის (თოფურია 1964: 56).

ჩვენს ხელთ არსებულ ლიტერატურაშიც საკმაოდ მსგავს ტექნოლოგიურ პროცესებთან გვაქვს საქმე. ბულგარეთში კაშკავალას დამზადება იწყება შედედებული მასის დამუშავებით და დაწურვით, რასაც მოსდევს ყვე-

ლის მასის დამწიფება. დამწიფებულ, წვრილად დაჭრილ ყველს ცხელ წყალში (60-65$^0$) ათავსებენ და ზელენ. ზელვა წყლიდან ამოღების მერე გობშიც გრძელდება. მიღებული ყველის მასას ფორმაში ათავსებენ, ამარილებენ და აშრობენ (Vakasarelski 1969: 564).

რუმინელი ავტორის, ნ. დუნარეს ცნობით, რუმინეთში რძის პროდუქტთა საუკეთესო სახეობა კასკავალია. ახალ ყველს 24 სთ. ტოვებენ დასამწიფებლად. დამწიფებულ წვრილად დაფშვნილ ყველს კი მდუღარე წყალში ყრიან, მიღებულ ერთგვაროვან მასას ყველის გობში ზელენ და ლითონის მრგვალ ფორმაში დებენ. ამგვარადვე ამზადებენ ცნობილ კაშკავალს. დობრუჯაში, ტრანსილვანიის ალპებსა და კარპატების მიმდებარე მხარეებში (Nikolau Dynare 1969: 622).

როგორც ვნახეთ, **კაშკავალი** // **კასკავალი** (თურქ.), კაჩიო კავალო (იტალ.) და მეგრული **სულუგუნი** მსგავსი ტექნოლოგიით მზადდება და მიეკუთვნება ჩედარიზებული // დამწიფებული ყველის სახეობას.

ჩედარიზებული ყველის სახეობას მიეკუთვნება და ტექნოლოგიურად სულუგუნთან ახლოს დგას სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული რელიგიური თუ სხვა დღესასწაულებისთვის განკუთვნილი ტენილი ყველი (ცაგარეიშვილი 1987: 153).

გ. ჩიტაია კაციო კავალოს და მეგრული სულუგუნის ტექნოლოგიურ შევსებას, სავარაუდოდ, სხვა ეთნოგრაფიულ მოვლენათა მსგავსად შორეულ ანალოგიათა ორბიტაში მოქცევით ხსნის (Читаия 1949: 95).

ლ. ფირალიშვილის მოსაზრებას, ევროპისგან განსხვავებით, საქართველოში სულუგუნის დამზადების არქა-

ულობაზე ამაგრებს ბულგარელი ავტორი ხრისტო ვაკასარელსკიც. ავტორი ყველის ამ სახეობის მსგავსებას იმ გარემოებით ხსნის, რომ ცხვრის კულტურის მხარეში, ცენტრალურ ჰოდოპში კაშკავალის ყველი თითქმის ცნობილი არაა. ის საუბრობს ბულგარული რძის პროდუქტების დამუშავების ლექსიკაზე, რომლის უმრავლესობას (60 %) თურქულ, ნაწილს კი ბერძნულ და იტალიურ წარმოშობისად მიიჩნევს, რასაც ბულგარული და თურქი ხალხის ხუთსაუკუნოვანი თანაცხოვრებით ხსნის, რითაც ჩვენ შეიძლება სესხებადობის მიახლოებით მარშრუტზეც გვქონდეს მინიშნება (ფირალიშვილი 1951: 141).

საბას მიხედვით, სულუგუნი გადაზელილი ბრტყელი ყველია (სს ორბელიანი 1991: 116). ნ. თოფურია მის ეტიმოლოგიას, სავარაუდოდ, ქართულ „სველ" და მეგრულ „გირ-ს" უკავშირებს (თოფურია 1964: 58).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ფორმა ქართველურ ენებში შემოსულია ოსური ენიდან. აბაევის მიხედვით, ქართული (დასავლური თქმა) სულუგუნი // სულგუნი ყველის სახეობაა და მას ოსური (დიგორული ფორმა) sulugun (cixt) ყველით ხსნის. sulu + ფორმანტი gun (Абаев 1956: 430).

მეგრულში სულუგუნის სინონიმთა სიმრავლე და აგრეთვე ის გარემოება, რომ ყველის ეს სახეობა,გადაზელილი ყველი ოსეთში არ მზადდება, თითქოს, ერთი შეხედვით, საეჭვოს ხდის ტერმინის სესხებადობას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ყველა ქვეყანაში ყველის ასორტიმენტი შედგება როგორც ორიგინალური ასევე ნასესხები სახეობებისაგან და ზოგან ტექნოლოგიის, ზოგან კი ტერმინოლოგიის სესხება ხდება,

ალბათ, გვერდს ვერ ავუვლით, გავრცელებულ თვალსაზრისს მის ოსურ წარმომავლობაზე. ხოლო, რაც შეეხება, სულუგუნის სინონიმებს – **სელეგინი** // **სილოგინი** // **სიჲგინი** – მათ მეგრულ-ჭანურ კილოკავებს შორის ხმოვანმონაცვლეობით ხსნიან (ჟღენტი 1953: 45).

**გებჟალია ცვალი**. სამეგრელოში ცნობილია გადაზელილი ყველის საკმაზიანი სახეობა პიტნით გადაზელილი ყველი – **გებჟალაფირი ცვალი**, რომლის ტექნოლოგიაც სულუგუნის დამზადების იდენტურია.

ცხელი წყლადან ამოღებულ კარგად დაზელილ და გაბრტყელებულ მასას ადებენ სატენს – დანაყილ ნიორს, მარილსა და პიტნას. სასურველ ფორმებად დახვეულ კვერეულს სატენს გარეთაც წაუსვამენ და რძეს ან მაწონს უსხამენ.

ყველის ამ სახეობის აღმნიშვნელ ფორმაში საზღვრულად ყველის შესატყვისი მეგრული ცვალია გამოყენებული, მსაზღვრელად კი რძის აღმნიშვნელი **ბჟა**დან ნაწარმოები ნამყო დროის მიმღეობა **გებჟალაფირი**. ზოგან საზღვრული ჩავარდნილია და გვხვდება მხოლოდ **გებჟალია**.

პიტნით გადაზელილი ყველი აფხაზეთში ашвчапан ашвчашв-ითა და, აგრეთვე, ქართულიდან ნასესხები აგაბჟაალას სახელითაა ცნობილი (Накашидзе 1896: 59).

სამეგრელოში გვხვდება პიტნის საკმაზიანი დაფშვნილი ახალი ყველი **ფუჩხოლია** // **ჩინჩოლია ცვალი**. ია დერივატით გაფორმებული მსაზღვრელები **ფუჩხოლ-უა**, **ჩინჩოლ-უა** ქართულად „დაფშვნას“ ნიშნავს (ლომთათიძე 1999: 25).

ამრიგად, დიდია რძის პროდუქტების ხვედრითი წილი სამეგრელოს ეთონოგრაფიულ ყოფაში და, შესაბამისად,

მდიდარია სამეურნეო ემპირიული გამოცდილებაც, რომელიც ედო საფუძლად მაღალხარისხოვანი ყველის დამზადების ტექნოლოგიურ მრავალფეროვნებას და ყველის ასორტიმენტის მრავალგვარობას. მიუხედავად თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებისა კვების მრეწველობის დარგში, აქტუალობას არ კარგავს მესაქონლური მეურნეობის ეკოპროდუქტები და მეურნეთა გამოცდილების გაზიარება.

**ერბო-კარაქი.** თუ დასავლეთ საქართველო რძის პროდუქტთაგან ცნობილია მეგრული სულუგუნით, აღმოსავლეთ საქართველოსთვის ასეთივე ნიშანდობლივი ერბო-კარაქის წარმოებაა. აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს და დასავლეთ საქართველოს ცალკეულ (რაჭა, აჭარა) რაიონებში ერბო-კარაქის წარმოებას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა. კარაქს ამზადებდნენ ადუღებული რძის (ქართლი), უდუღარი, შედედებული მჟავე რძისა (ფშავი) და მაწვნისგან (კახეთი). ცოტა რძეს დღვებავენ ჩხუტსა (რაჭა, ფშავი) და ბოთლში (ქვემო რაჭიდან რაჭაში გამოთხოვილი ქალები), ბევრს კი – ვარიაში (შინამრეწველობის მასალები N3 1986: : 750-132). ნაკაშიძის ცნობით, დასავლეთ საქართველოში კარაქს ნაღებისგან მარტო ზემო რაჭასა და ოსეთში ამზადებდნენ. დანარჩენ რაიონებში – იმერეთში, და გურიაში კარაქის გამოყენებას ცვლიდა ნიგოზი (Накашидзе Е 1891 : 145). აჭარაში ერბო-კარაქის წარმოებაზე ცნობებს ვ. შამილაძესთან ვხვდებით (შამილაძე 1969: 143-146).

დასავლეთ საქართველოში, სადაც სულუგუნი ნაღებმოუხდელი რძისაგან მზადდებოდა და მის (სულუგუნის) ხარისხს უპირატესი მნიშვნელობა ჰქონდა, კარაქის და-

მზადებას, ბუნებრივია, არ ექნებოდა სერიოზული ხასიათი. კარაქის დამზადებას სამეგრელოს, აფხაზეთსა და სამურზაყანოში თ. სახოკიაც უარყოფს (სახოკია 1950 :360).

მდიდარი სამეურნეო გამოცდილების წყალობით, მეგრულმა მეურნემ სულუგუნსაც შეუნარჩუნა თავისი ღირსება და კარაქის დამზადების სხვა საშუალებას მიმართა,

სამეგრელოში კარაქს ძირითადად ამზადებდნენ სულუგუნის ნახარშ წყალში მოგროვილი ნაღებისგან (სულუგუნს ერთ და იგივე წყალში 5-6 ჯერ ხარშავდნენ). მას ამატებდნენ აგრეთვე სამაწვნე რძისგან მოხდილ ცხიმის ფენას რძის თავს, რომელსაც ერბო // **ებრო**, **ჟვეპური** // **გგგბი**ს ეძახდნენ. ხის ჭურჭელში მოგროვილ ამ მასას ხის კოვზით დღვებავდნენ, გუდაში მოგროვილს კი ანჯღრევდნენ // თახუნდეს. ნღჯრევის პროცესში ხმაზე ცნობდნენ კარაქის მოგროვებას, რის შემდეგაც წყვეტდნენ დამუშავებას, რადგან, მთხრობელთა მოწმობით, ზედმეტი ნჯღრევით კარაქს ღირსება აკლდებოდა, წებოვანი ხდებოდა. სახმარად განკუთვნილს გარდა, რადგან კარაქი გარკვეული რაოდენობის სითხეს შეიცავდა, შესანახად ერბოდ გადაამუშავებდნენ, გობზე ხელით ზელდნენ და დამარილებულს ინახავდნენ.

სამეგრელოში კარაქის დამზადების მეთოდი მსგავსია ევროპაში, კერძოდ, ბულგარეთში გამოყენებული მეთოდისა, სადაც კარაქს ყველის წყლისგან ღებულობდნენ. წყალი რომელშიც რამდენიმე დღე აკეთებენ ყველს კაშკაშალს, შეიცავს 20% ცხიმს. ასეთი ნაღებისგან გაკეთებულ კარაქს ეძახიან ყველ-კარაქს. აკეთებენ აგრეთვე ხაჭო-კარაქსაც, მიიღება მოდუღებული შრატისგან დაწუ-

რული მასის ვედროში მოგროვებით (Christo Vakasarelski 1969: 566). სამეგრელოს მსგავსად, არც აფხაზეთი გამოირჩეოდა ერბო-კარაქის წარმოებით. თუმცა, წ. ბჟანიას აზრით, მეზობელი რაიონების გავლენის შდეგად აფხაზებისთვის ცნობილი იყო თავისებური მეთოდი კარაქის წარმოებისა. ბჟანიასთან მოტანილი თავისებური, „თვითმყოფადი" წესები აფხაზებისა (Бжания 1981 : 106). არ შეიძლებოდა მხოლოდ მათთვის ნიშანდობლივი, ვინაიდან I ხერხი, რძისგან კარაქის დამზადებისა დასავლეთ საქართველოშია შემუშავებული, II ხერხი, ყველის ნახარში წყლისგან მოგროვილი ნაღებით კარაქის დამზადება, არა მარტო სამეგრელოსა და აფხაზეთში, არამედ ევროპაშიც (ბულგარეთი) იყო ცნობილი და ბოლოს მაწვნისგან კარაქის დღვებას კახეთშიც მიმართავდნენ.

**მაწონი**. სამეგრელოში საოჯახო მოხმარებისათვის განკუთვნილი რძის ნაწარმი **მაწონი** // **მარწვენი** იყო, რომელიც ძირითადად ძროხისა კამეჩის რძისგან მზადდებოდა.

მაწვნის ხარისხი დიდად იყო დამოკიდებული რძის დუღილის ხანგრძლივობაზე. კარგად მოდუღებული // **გიშახაშილი** რძისგან სქელი მაწონი გამოდიოდა და დიდხანს არ მჟავდებოდა. მაწვნის ხარისხისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შედედების პროცესში რძის ტემპერატურას. ცხლად შედედებული რძე შრატს // **წაქას**[1] **(**Накашидзе 1891: 201) (შინამრეწველობის მასალები №3), (შამილაძე 1964: 225) (დაიყენებდა **ქიმნიწაქუანდ**. გაციებული კი ხელახლა გათბობას საჭიროებდა, რაც მაწვნის

[1] **წაკი** (ზემ. იმერ,), წაქია (ქვემ. იმერ), წაქა (რაჭა) საბას მიხედვით, „განაწური წვენი მაწვნისა და მისთანათა, რაიც გაიწურვების" (ს. ს. ორბელიანი, დასახ, ნაშრომი, ტ. II. გვ, 368)

ხარისხზე უარყოფითად მოქმედებდა. კარგად მოდუღებულ თბილ რძეს მაწვნის დედას ჯოხით მოურევდნენ და თავდახურულად ინახავდნენ. ზაფხულში რძე მალე დედდებოდა, ზამთარში დილით შედედებული საღამოსთვის მზად იყო. საქართველოში მაწონს ყველგან ერთი და იგივე წესით ამზადებდნენ (Накашидзе Е 1891 : 201), (შინამრეწველობის მასალები №3), (შამილაძე, მსხვილფეხა მესაქონლეობა ზემო აჭარაში. საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები. თბ., 1964: 255). შესანახად განკუთვნილ მაწონს კი მხოლოდ საინგილოში ვხვდებით[1].

სამეგრელოში მაწვნის შესადედებელი ფერმენტი მაწვნის დედა როგორც მეგრული – **მარწვენიში თასი** (მაწვნის თესლი) – ასევე ნასესხები – **ხაწა** – ლექსემითაა წარმოდგენილი (ლომთათიძე 1999: 26) რომელთაგან პირველი ძველ (3-4 დღის) მაწონს ერქვა, ხაწა კი **წურუქი**ს // **წრუქი**ს[2] დიდი ხნის დუღილის შემდეგ მიღებული მასა იყო. იმერეთში მაწვნის დედად შრატის აპკი, საინგილოში – მაწონი, ხევში კი ლილა ყოფილა გამოყენებული (შინამრეწველობის მასალები, №3, გვ. 162-192).

სამეგრელოში შემჟავებულ // **დახუცებულ** მაწონს, რომელსაც სახმარ ღირებულებას სანელებლების – დანაყილი ნიორი, პიტნა, ქინძი, წიწაკა, მარილი, ხახვი – დამატებით // **რკვანუათ** სძენდნენ, **ძირძ**ს ეძახდნენ. წიწაკიანი მარილით შეზავებულ მაწონს დღეს **ჭიხრა**საც ეძახიან.

[1] საინგილოში ნაჭრის ტომსიკებში ჩასხმულ „წოლაის“ მთის წმინდა წყალში დებდნენ 7 10 დღე, შემდეგ კი ყველის გუდაში ინახავენ (შინამრეწველობის მასალები, გვ. 74).

[2] წურუქი ნადუღის მოდუღების შემდეგ დარჩენილი სითხეა (ს.ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 370).

**ჭიხრა**ს და **ძირძ**ს ეძახიან აგრეთვე გუდის ყველის ტექნოლოგიით დამზადებულ რძის პროდუქტებს.

თ. სახოკიასთან მოხსენიებულ მჟავე მაწონს **ქიფურ**ს, რაც кефир-იდან მომდინარე ჩანს, **ქაცლაში** // გუდაში ნჯღრევის შემდეგ მზის გულზე ადუღებდნენ (სახოკია : 367).

**ხაჭო**. სამეგრელოში შრატისგან ამზადებდნენ რძის პროდუქტის სახეობას **ხაჭო**ს // **ნადულ**ს. თუ თ. სახოკიას მიხედვით სამეგრელოში შრატის გადამუშავება წესად არყოფილა (სახოკია 1950 : 365), ე. ნაკაშიძე, მისგან განსხვავებით, ნადულის მიღების საკმაოდ დეტალურ აღწერილობას გვაძლევს (Накашидзе 1891: 2508). საველე მასალები კი ცხადყოფენ, რომ მეგრელმა მეურნემ ხაჭოს მოდუღების გავრცელებულ მეთოდში ისეთი ელემენტები შეიტანა, რომლებიც პროდუქციის ხარისხსა და რაოდენობაზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდნენ. შრატს, ხაჭო ბლომად რომ ამოსულიყო, ადუღებისას გარკვეული რაოდენობის სითხეს – წყალი, წაქა, რძე, მაწონი – ამატებდნენ. ხაჭოს ნორმალური მოდუღებისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას ცეცხლის რეგულირებას აქცევდნენ. ნელ ცეცხლზე კარგად მოდუღებული ხაჭო ძირს ჩაწვებოდა, დაილექებოდა. აჭარაშიც ნელ ცეცხლზე მოდუღებულ ხაჭოს ქაფს გადაუწევდნენ და ცეცხლს გაუნელებდნენ (ვ. შამილაძე 1969: 251) სვანეთში სველს ქვაბში ერთს მაგრად წამოადუღებდნენ' მერე ნაკვერჩხალზე დადებდნენ, ცალ გვერდზე ცეცხლს აძლევდნენ და ნელ-ნელა ადუღებდნენ (შინამრეწველობის მასალები 1986 : 210). სამეგრელოში შესანახად განკუთვნილ ხაჭოს კვერეულებს კვამლში გამოსაყვანად **ჩერხვი**თ ან **ხონ-**

**ჩი**თ კერიის შუაცეცხლზე ჰკიდებდნენ. ხაჭოს გახმობა თუშეთშიც იყო ცნობილი. გამხმარ ხაჭოს კვერულებს მიწაში დამარხულ ქვევრებში ან გუდაში ინახავდნენ (შინამრეწველობის მასალები 1986: 114). ხაჭოს აჭარაში კარაქის შრატის – წრუქისგანაც ამზადებდნენ (შამილაძე 1969: 251-252). ფშავშიც კარაქისა და ყველისგან მოხდილ შრატს ცალ-ცალკე ამუშავებდნენ (შინამრეწველობის მასალები 1950: 99).

აფხაზური ენიდან შემოსულ ხაჭოს (ლომთათიძე 1999: 26). – **ახაჩა** – და ქართული ნადუღის მეგრული შესატყვისი **ნაფუნეფუ**ა (**ფუნაფა** – დუღილი.).

სამეგრელოში იცნობდნენ რძის სახელდახელო პროდუქტს **ხვიხვინია**ს, რომელიც წაქაში ხაჭოს მოდუღებამდე მიღებული შედედებული სითხეა.

## §2. ვაჭრობა, აღებ-მიცემობა მესაქონლეობის პროდუქტებით

საქონელი და მესაქონლეობის პროდუქტები ამიერკავკასიის მოსახლეობაში ადრიდანვე იყო გაცვლის, ფულადი შემოსავლისა და შინამრეწველური საქმიანობისათვის ნედლეულის უმნიშვნელოვანესი წყარო. საქონლისა და მესაქონლეობის პროდუქტების საბაზრო დანიშნულება განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის II ნახევრიდან. აღნიშნულ პერიოდში ადგილზე დამზადებული რძე, ყველი, კარაქი, ერბო, მატყლი, ტყავი, რქა, ძვალი და სხვა გაჰქონდათ არა მარტო საშინაო ბაზრებსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში, არამედ უცხოეთშიც კი. ამ მხრივ, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენდა, რომელიც ამ დროისათვის კიდევ უფრო ექცეოდა ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების ქსელში (გუგუშვილი, შინამრეწველობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801-20 წ.წ. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, თბ., 1950: 52). სამეგრელოს მესაქონლეობის ტრადიციული ხასიათი საქონლისა და მესაქონლეობის პროდუქტებს გარკვეულ როლს ანიჭებდა სავაჭრო და საალებ-მიცემო ურთიერთობაში. წარსულში რძის პროდუქტების, განსაკუთრებით, სულუგუნის დამზადების მაღალი ოსტატობა მხოლოდ შინამრეწველურ ხასიათს როდი გულისხმობდა[1], მის ექსპორტსა და პოპულარობაზე ამიერკავკასიასა (Шадирова В, Молочное производство в

[1] ცნობებს სულუგუნის დიდ მოთხოვნაზე ქუთაისსა და გუბერნიის სხვა ქალაქების ბაზრებზე ე. ნაკაშიძესთან ვხვდებით. (Накашидзе Е, დასაც. ნაშრომი, გვ. 250).

Закавказье, КСХ, 1896, 145, გვ. 249).[85] და უცხოეთშიც (გუგუშვილი 1950: 99). არაერთგზის აღნიშნულა. სამეგრელოს ჯოგური მესაქონლური მეურნეობის პირობებში საქონლისა და რძის პროდუქტების გაცვლა-გასაღება, სასუამავლო ვაჭრობის გაჩენამდე, გაერთიანება-ამხანაგობასა და მსხვილ მეჯოგეობაშიც **დუდი კოჩი**ს ფუნქციებში შედიოდა, რასაც ის ახლომდებარე სოფლებსა და ბაზრობებზე ჩატანით ახერხებდა (სახოკია 1950 : 128).

ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რეალიზაციის ცენტრებს, საბაზრო ადგილებს. ქუთაისის შემდეგ ყველაზე დიდ საბაზრო ადგილად მთხრობელები ცაგერს მიიჩნევდნენ, სადაც ოქტომბრის თვეში ორკვირიანი ბაზრობა იმართებოდა. ნოემბრის თვეში მას მოსდევდა ბაზრობა ამბროლაურში, ონსა და ზესტაფონში, ვანსა და სამტრედიაში ბაზრობა სცოდნიათ პარასკევობით, ბაღდადში – ოთხშაბათობით, სევირსა და ხონში (გიულდენშტედტი 1962: 155) – სამშაბათობით და პარასკევობით, სენაკში – მარიამობას. სექტემბერში ორკვირიანი ბაზრობა იმართებოდა წალენჯიხაში, ჩხოროწყუში. სამდღიანი ბაზრობა იცოდნენ აგრეთვე ჯვარსა და ხობში (სოსელია 1968: 162), (მეუნარგია 1933: 128), (ლამბერტი 1938 :157).

XIX ს. II ნახევრიდან კაპიტალისტური ელემენტების შემოჭრასთან ერთად სამეგრელოში თავს იჩენს საშუამავლო ვაჭრობაც, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქტებთან ერთად რძის პროდუქტებითა და საქონლით ვაჭრობასაც გულისხმობდა.

ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის ორგანიზაციის თვალსაზრისით, სამეგრელოში, საქართველოს სხვა კუთხეე-

ბის[1] მსგავსად, ყურადღებას იპყრობს ე.წ. ჩალვადრობისა და ჯალაბობის ინსტიტუტი.

ჩალვადრობა, რომელსაც სამეგრელოში საკმაოდ ჩამოყალიბებული ხასიათი ჰქონდა, გულისხმობდა ვაჭრობის მიზნით გარკვეულ პირთა გაერთიანებას, რომელშიც გარკვეული რაოდენობის ცხენი და მესაკუთრე შედიოდა. ჩალვადრები გაერთიანებისთანავე ირჩევდნენ თავ ჩალვადარს, რომელმაც კარგად იცოდა ჩალვადრობის ორგანიზაცია, სამიმოსვლო გზები, ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის საქმე და ა. შ. ისინი ძირითადად მესაქონლეობის, მეხილეობის, მეფუტკრეობის პროდუქტებით აგრეთვე ხელოსნობის ნაწარმითა და სხვადასხვა საქონლით ვაჭრობდნენ (სახოკია 1950 : 122).

ჩალვადრებს სამეგრელოში **მეხაბარკეებს** // მებარგულებს, (**ხაბარკი** – ბარგია), მეკურტანეებს (კურტანი ტვირთის ჩამოსაკიდებელი დიდი კეხია), მეჩალანდრეებს (ცხენს და კურტანს ჩალანდარს ეძახიან) აგრეთვე პოდრადჩიკებსაც ეძახდნენ.

მეჩალანდრეები უმეტესად ჭყონდიდი, დობერაზენი და კურზუდან (მარტვილის რაიონი) იყვნენ. ჭყონდიდელ ჩალვადრებს ბოროზდინიც ასახელებს (კ. ბოროზდინი, რაფ. ერისთავი, ჟ, მურიე 1927: 80).

საველე მასალებით, მთაზე ასული ჩალვადრები მწყემსებს, ბაზრის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, 3 ჩერთიან (დაახლოებით 300 გრამიან) ყველს უკვეთავდნენ, რისთვისაც ყველის კალაპოტებიც კი ამოუტანიათ. სამე-

---

[1] აჭარაში ჩალვადრობის და ჯალაბობის განვითარებაზე ცნობებს ვ. შამილაძესთან ვხვდებით (ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969, გვ. 153).

გრელოში ვაჭრობის ორგანიზაციასთან იყო დაკავშირე-ბული ჯალაბობის //**ჟითუა** ვაჭრების ანუ ღია ცის ქვეშა, უდუქნო ვაჭრებს ინსტიტუტიც. მოჯალაბეობა დაკავ-შირებული იყო სახსრებთან, რომელიც მოჯალაბეს მუ-შახელის დასაქირავებლად, საქონლის მეტ-ნაკლები რა-ოდენობის შესასყიდად, თუ სხვა საჭიროებისათვის უნდა დაებანდებინა. აღნიშნული მიზეზების გამო, მოჯალაბე-ობა ძირითადად ადგილობრივი თუ მოსული შეძლებული მეურნეების საქმიანობას წარმოადგენდა. მოჯალაბეობა სამეგრელოში, როგორც ჩანს, საკმაოდ ფეხმოკიდებული ყოფილა, ვინაიდან მეგრელ შეძლებულ მეურნეებს, მო-ჯალაბეებად გურულებთან ერთად აჭარაშიც ვხვდებით (შამილაძე 1969 : 154).

## III თავი

# მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები

ქართველი ხალხის უძველესი მსოფლმხედველობის შემცველი სარწმუნოებრივი ხასიათის გადმონაშთები ეთნოგრაფიულ ყოფასა და ამ ყოფის ამსახველ წერილობით წყაროებში უმთავრესად რელიგიური სინკრეტიზმის სახით გვხვდება. რელიგიურ სინკრეტიზმში ქრისტიანულ ელემენტებთან შედარებით გამოხატულ წარმართობის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება პირველად ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია[1].

დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, სამეგრელოს მეურნეობრივი პროფილი – მესაქონლეობა-მიწათმოქმედების წამყვანი როლი – განაპირობებდა სულიერ სფეროშიც მეურნეობის აღნიშნულ დარგთა მფარველი ღვთაებების სიმრავლეს.

მესაქონლეობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებში მთავარი ადგილი მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზს ეჭირა[2]. უფლის მსახურებად შექმნილი მთავარა-

---

[1] ქართველთა წარმართობაზე იხ. ივ. ჯავახიშვილის თხზულებანი 12 ტომად, I, თბ., 1979, გვ. 78-188.

[2] ამ ღვთაებასთან დაკავშირებით საინტერესო მასალებია დაცული ს. მაკალათიას (სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1971), მ. მაკალათიას (მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები სამეგრელოში. მსე. კრებული სამეგრელო, თბ., 1979), თ. სახოკიას (მოგზაურობა გურია, აჭარა, სამურზაყანო. აფხაზეთი, ბათუმი, 1985) და ა. ჭანტურიას (მეცნიერის არქივიდან, თსუ შრომები, თბ. 1982, №227) შრომებში.

ნგელოზთა ღვთაებრივი წყვილი მიქაელი და გაბრიელი ხალხურმა ცნობიერებამ ერთ ღვთაებად მექამგარიოდ მოისაზრა და მესაქონლეობის მფარველ ღვთაებად შერაცხა.

ხალხში დაცული თქმულების თანახმად, სიზმარში გამოცხადებული ჭაბუკი (ანგელოზი), რომლის შემწეობითაც ოჯახს მარჩენალი მომაკვდავი ძროხა გადაურჩა, ხალხმა მიქელ-გაბრიელად მიიჩნია და საქონლის მფარველობის ფუნქცია დააკისრა.

მესაქონლეობის მფარველად შერაცხილ მიქამგარიოს საპატივცემლოდ ყოველ ოჯახს **პატენია**დ (ქართული ბატონის შესატყვისი მეგრული **პატონი**დან მომდინარე) სახელდებული ძროხა ჰყავდა შესახელებული, ყოველწლიურად იწირებოდა აღნიშნული ღვთაებისადმი მისი ნამატი, არ შეიძლებოდა **პატენია**სა და მისი ნაწველის გაყიდვა. მხოლოდ სიბერეს მიტანებული დედა პატენიას სწირავდნენ მსხვერპლად. ახლად შესახელებულ **პატენია**ს ხბოს მოგებამდე (3 წ.) ღვთაებას კი გოჭსა და თიკანს სწირავდნენ. მსხვერპლშეწირვის რიტუალით საქონლის მეპატრონე ღვთაებას საქონლის გამრავლებას შესთხოვდა.

მიქამგარიოს მთავარი ფუნქცია მესაქონლეობის მფარველობა ჩანს სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე შემორჩენილ მობენების რიტუალშიც, რომლის საკმაოდ დეტალურ აღწერილობებს წერილობით წყაროებშიც ვხვდებით (მ. მაკალათია 1979 :63), (ს. მაკალათია 1964: 329).

მობენების რიტუალს, რომელიც გულისხმობდა, ხალხური რწმენით, თითქოს „დაჭერილი“ რძისა და მისი ნა-

წველის გათავისუფლებას, ძროხის ყოველ იზვებაზე მოგებიდან ორი კვირის თავზე ასრულებდნენ. დიასახლისი გობს, რომელზედაც ელაგა ყველიანი კვერები ე.წ. ხმიადები, ღვინო, ყველი, ანთებული სანთლით ძროხას თავზე რამდენჯერმე შემოატარებდა და მიქელ-გაბრიელს ძროხის ჯანმრთელობასა და გამრავლებას ევედრებოდა. დასავლეთ საქართველოში მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზის კულტის სიძლიერეზე მეტყველებს მისი სახელობის ტოპონიმისა (სოფ. მიქელგაბრიელი) (Носович 1898 : 820). და ეკლესიის არსებობაც. სოფ. ხეთის მიქამგარიოს ეკლესიის ერთ-ერთ ძირითად დღესასწაულად ითვლებოდა „**მიქამგარიოში გითოხვამა**“ ანუ „**თუთაშხა გითოხვამა**“ (ორშაბათის გამოლოცვა), რომელიც აღდგომის სწორზე ე. წ. ქალების აღდგომის მეორე დღეს ორშაბათს ტარდებოდა. **მახვამალი** (მლოცველი) იღებდა შესაწირავს (ხარი, თიკანი, ბატკანი, ქათამი) და შემომწირველის ოჯახისა და საქონლის კეთილდღეობა-გამრავლებას ევედრებოდა მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზს. დღეს აღნიშნული ლარჩვის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია მოქმედია და კვლავ თომას კვირიაკეს, აღდგომის განახლების ორშაბათს, შესაწირავებით შესთხოვენ მთავარანგელოზს საქონლის გამრავლებას.

ღვთაება მიქამგარიოს კულტი ბართან შედარებით მკაფიოდ გამოხატული ჩანს მთის მესაქონლე მწყემსებში, რომლებიც **მიქამგარიო** // ერგეს თავიანთ მფარველად მიიჩნევდნენ და ლოცვითა და საამო ქცევით ცდილობდნენ მისი გულის მოგებას. როცა მთაში წვიმდა, მწყემსები დიდ ცეცხლს დაანთებდნენ, გარს შემოუსხდებოდნენ და

ერგე-აშვას[1] (აშვა-სიმღერაა) მღეროდნენ და მიქელ-გაბრიელს ადიდებდნენ. „ძლიერ ხარ, ჩვენ უშენოდ არაფერი შეგვიძლია, შენზე ვლოცულობთ შენს წყალობას ნუ მოგვაკლებ, საქონელს ნუ შეგვიწუხებ“.

მწყემსთა ფანტაზიამ მიქელ-გაბრიელი ხორციელ ჰქმნა და დაიახლოვა, როგორც კარგი მეგობარი. თ. სახოკიასთან დაფიქსირებული თქმულების თანახმად, მიქელ-გაბრიელი მწყემსთან მიდის როგორც მეზობელი, ელაპარაკება, იხსნის გაჭირვებისაგან, აფრთხილებს მოსალოდნელი ხიფათის დროს, სახლ-კარს უშენებს, მის ყანაში ღვთის თვალს ატრიალებს (სახოკია 1983: 336).

მწყემსთა ცნობიერებამ თაყვანისცემის ობიექტად აქცია მთავარანგელოზის საფარველ ქვეშ მყოფი მთაც. მთაზე ასული მწყემსები საკლავს კლავენ და მთას, ვითარცა ღვთაებას, მის კალთაზე მოსიარულე ჯოგისათვის უვნებლობას ევედრებიან. მწყემსებმა ასევე მიქამგარიოს მიაკუთვნეს მთაზე საუცხოო სანახაობის ტბა, რომელიც მათში ერგე ძაშრას (მიქამგარიოს ტანის საბანი ტბა) სახელწოდებითაა ცნობილი და რომელსაც შიშისა და სასოების გამო ძე ხორციელი ვერ ეკარებოდა (სახოკია 1983: 337).

მესაქონლეობის მფარველ ღვთაებას ნაყოფიერება-შვილიერებასაც ევედრებიან, რაზედაც მისი სახელობის წაჩხურის ეკლესიის ზედწოდება „მოსქე წაჩხური“ მეტყველებს. ითავსებს ადამიანის მფარველობის ფუნქციასაც. რიტუალებით – „**ოდუდია სამგარიო**“ (თავ სამიქელ-გაბრიელო), „**დიდი ოხვამერი**“ და „თუში ოხვამერი“

---

[1] ფოლკლორისტი კ. სამუშია „ერგე აშვას“ წყლის ღვთაებად მიიჩნევს (კ. სამუშია, ოსოსიას, ოდოიას და ხემხვაიეს ვარიანტების გარშემო. კალისტრატე სამუშიას საიუბილეო კრებული, თბ., 1999, გვ. 74).

(გოჭით სალოცავი) — ღვთაებას ადამიანის ჯანმრთელობა-კეთილდღეობას შესთხოვენ. სხვა წარმართულ ღვთაებათა მსგავსად ფუნქციათა სიმრავლით გამორჩეული მიქელ-გაბრიელი მოსავლის, ტაროსის გამგებელ ღვთაებადაც გვევლინება (რუხაძე 1976: 163). ხალხმა მას სიკვდილის მაუწყებელი, სულის ამომღები ანგელოზის ფუნქციაც დააკისრა.

გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვით მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზის შემოკლებული სახელი **ერგე** წმინდა გიორგის მეგრული შესატყვისი **ჯგეგე** // **ჯერგე** // **გეგე**ს ფონეტიკური ვარიანტი იყოს აბაკელია (აბაკელია 1985 :279).

სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში საინტერესო სალოცავი დავაფიქსირეთ, რომელსაც მოსახლეობა **თორდობა**ს ეძახის. ლოცვის დღეს დიასახლისი ოჯახის წევრთა რაოდენობის კვერებს აცხობდა, რომელსაც გობით შემოსასვლელი კარის შორიახლოს დებდა. ოჯახის წევრები ზურგით კარისკენ დაოთხილები პირით იღებდნენ კვერებს და ჭიხვინით კარებს სამჯერ ფეხებს ურტყამდნენ.

ამ რიტუალის საკმაოდ ვრცელი აღწერილობა ს. მაკალათიასთანაა დაცული, რომლის მიხედვით, აღნიშნულ დღესასწაულზე ცხვებოდა ცხენისა და მისი აღკაზმულობის ფორმის კვერები. ღვინოსთან ერთად ხონჩაზე დალაგებულ ცხენის ქანდაკებას მოკბეჩდნენ რომელიმე ნაწილს და ჭიხვინითა და წიხლების ცემით უკან ბრუნდებოდნენ. ანთებული სანთლებით კი წმინდა თეოდორეს ცხენების გამრავლებას და მათ მტაცებელთაგან დაცვას ევედრებოდნენ (ს. მაკალათია 1964 : 311).

წერილობითი წყაროები აბაშის რაიონის სოფელ ორქაში თეოდორეს სახელობის ეკლესიასაც ასახელებენ, სადაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მიდიოდნენ მლოცველები შესაწირავებით (ს. მაკალათია 1964 : 330).

სამეგრელოში მეცცხენეობის მფარველად შერაცხილი თევდორე არ საქართველოს სხვა კუთხეებისთვის ყოფილა უცხო. მას რაჭა-ლეჩხუმში თევდორეს // თერდორეს სახელით მოიხსენიებენ, სვანეთში კი **ლითორდ**ს ეძახიან (ალავერდაშვილი, ღამბაშიძე 1991).

აღნიშნულ ღვთაებას აღმოსავლეთ საქართველოში წმინდა გიორგისთან ერთად წვრილფეხის მფარველის როლში ვხვდებით. „ცხვარსაღ უმატე გიორგი თუ გინდა რქა ჯანგიანი, ცხვარსაღ უმატე თევდორე თუ გინდა რქა ჯანგიანი (მ. მაკალათია 1985: 132)“.

დასავლეთ საქართველოში მეცხენეობის მფარველი ღვთაება თევდორე საფიქრებელია იყოს ქრისტიანული წმინდანი თეოდორე „ტირონი“ (ხს. 17. 02). ვინაიდან ღვთაებისადმი მიძღვნილი სალოცავი დღე, დიდმარხვის პირველი შაბათი ემთხვევა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდა თეოდორეს მიერ იერუსალიმში აღსრულებული სასწაულის დღესასწაულს. თუმცა წმინდანის ცხოვრებაში, თუ რატომ მიიჩნევა იგი მეცხენეობის მფარველად რაიმე ხელჩასაჭიდ მასალას ვერ ვპოულობთ.

წერილობითი წყაროები სამეგრელოში შინაურ ცხოველთა მფარველი ღვთაების **ბოსლო**ს თაყვანისცემას ადასტურებენ. აღნიშნული ღვთაებისადმი მიძღვნილი რიტუალის შესასრულებლად (დიდმარხვამდე 17 დღით ადრე) ოჯახის დიასახლისი აცხობდა კვერებს (თითოეულ

საქონელზე ორ-ორ კვერს), რომლებზეც ამა თუ იმ ცხოველის გამოსახულების რაიმე ნიშანი იყო გამოხატული, საღამო ხანს კვერებიანი ხონჩით ბოსელში შევიდოდა და საქონლის გამრავლებაზე ლოცულობდა (ს. მაკალათია 1964 : 316).

ღვთაება ბოსლოს, რომლის კულტი სამეგრელოსგან განსხვავებით დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში უფრო გამოხატული ჩანს[1], მსხვილფეხა საქონლის გარდა, შინაური ფრინველებისა და მათი მომვლელი პერსონალის მფარველობის ფუნქციასაც მიაწერენ (სოხაძე 1997 : 468-469).

ვ. ბარდაველიძე თავდაპირველად ცხოველური სახით წარმოდგენილ სქესობრივი განაყოფიერებისა და გამრავლების მფარველ ღვთაება **ბოსელ** // **ბოსლო** // **ბოსლა**ს ბასილის სახელთან აკავშირებს და ამდენად მამაკაცურ ბუნებას მიაწერს (ბარდაველიძე 1947 :108).

ზ. კიკნაძე ეჭვქვეშ აყენებს ვ. ბარდაველიძის მოსაზრებას, რომ ღვთაება ბოსლო, რომლის სახელწოდება სადგომის სახელწოდების ანალოგიურია, მამაკაცური ბუნების მქონე ნაყოფიერების ღვთაებაა. როცა ის იხი-

---

[1] სვანურ ბოსლობას ეხება ვ. ბარდაველიძე ნაშრომში ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 105; რაჭულ ბოსლობას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ა. სოხაძემ. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან (რაჭული ბოსლობა), ხელნაწერი, 1955, გვ, 13-15; გურული ბოსლობის აღწერილობა მოცემული აქვს ტ. მამალაძეს და მ. მაკალათიას ნაშრომებში: Мамаладзе Т., Народные обычаи и поверья Гурийцев. СМОМИПК, გვ. 49. მ. მაკალათია, მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები გურიაში. მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1980, გვ. 68

ლავს შუამდინარეთის მითოლოგიურ მონაცემებს იმის შესახებ, რომ ბოსლის (ე. ი. სადგომის) სახით წარმოდგენილია მშობიარე ქალღმერთი, ღვთაებრივი ფური, აქვე მოიხმობს ანალოგიას ჩვენში (რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში) დადასტურებულ შინაურ ცხოველთა ნაყოფიერების ღვთაებასთან, რომელიც ამ შენობის სახელს ატარებს, სადაც იბადება მისი პირუტყვი და რომელსაც წელიწადის გარკვეულ დროს გაზაფხულის პირზე ბოსლისკენ ძღვენით მიმავალნი უხმობენ – ბოსელ, ბოსელ, ბუ-ბუ-ბუ. ქართულ ბოსელში ეჭვი არ არის, დასძენს მკვლევარი, ნინურთის ტიპის ღვთაებაა არა მამრული ბუნების მაგ., გაღმერთებული ხარი (ვ. ბარდაველიძე), არამედ მდედრი, რადგან სწორედ შობისა და ნაყოფიერების ქალღმერთი განასხეულებს თავის საშოს პირუტყვის სადგომის წიაღში და სახელწოდებასაც მისგან იღებს (კიკნაძე 1976: 73).

მ. მაკალათია უარყოფს ზ. კიკნაძის აღნიშნულ მოსაზრებას. ის ღვთაება ბოსლოს მამაკაცური ბუნების ღვთაებად მიიჩნევს, თუმცა იმასაც არ გამორიცხავს, რომ ეს ღვთაება, შესაძლოა, ადრე მართლაცდა ქალღმერთს განასხეულებდა (მ. მაკალათია 1985: 76).

სამეგრელოს ეთნოგრაფიული ყოფა ღვთაება „**ანთარის**“ არსებობასაც ადასტურებს.

მთხრობელთა მოწმობით, ამ ღვთაებისადმი შესახელებული **ენთარ** // **ანთარად** წოდებული ოთხფეხის ჯოგში ყოფნა იცავდა საქონელს როგორც ავი სენის, ასევე გარეული ნადირისაგან. ყოველწლიურად მსხვერპლშეწირვის რიტუალით მეგრელი მეჯოგენი აღნიშნულ ღვთაებას საქონლის სისაღე-გამრავლებას ევედრებოდნენ.

საველე მასალები ღვთაება **ანთარს**, საქონლის მფარველობის გარდა, შვილიერების, ნაყოფიერების ფუნქციასაც აკისრებენ და ამდენად მას ადამიანის მფარველადაც წარმოგვიდგენენ.

მიცორს ფაცხა მარგალიში / მოჲუნაფილ ფარგალიში

თექ ოკო მულარდას / სკვამი ცირა მარგალიში

ფსკეიეფიში მარდუალი / ჭყოლოფუა ანთარიში".

(მიყვარს მეგრელის ფაცხა, ფარგლით მოყვანილი, იქ უნდა იყოს ლამაზი ქალი მეგრელის, შვილების გამზრდელი, ანთარის წყალობით მომადლებული).

სამეგრელოში **ჟინი ანთარისადმი** კულტმსახურება ყოველწლიურად დიდმარხვის წინა დღეს, აღება ღამეს სრულდებოდა. ოჯახის უფროსი მამაკაცი სიმინდის ფქვილისაგან გამომცხვარ დიდ კვერს ოთხკუთხედ ნაჭრებად დაჭრიდა და **ჟინი ანთარს** საქონლის გამრავლებას ევედრებოდა" (Кобалия 1903: 99).

ამ ღვთაების სახელი შემონახულია აფხაზეთშიც, რომელთა მითოლოგიაშიც პირველი ადგილი უჭირავს საქონლის ზედამხედველ **აჲთარს**. პ. ჭარაიას (გიორგაძე) აღწერილი აქვს რელიგიური ცერემონია „**ხოზოს დაჭერისა**", რომელსაც ასრულებდნენ ყოველწლიურად დიდმარხვის პირველ ორშაბათს. უპირატესი მნიშვნელობა **აჲთარის** იქიდანაც ჩანს, რომ „ხოზოს დაჭერას" ეძახიან აგრეთვე „აჲთარის" სალოცავს და თვეც „აჲთარის" თვედ იწოდება (ჭარაია 1888: 80).

ს. ზვანბას მიხედვითაც, **აჲთარი** შინაური საქონლისა და მესაქონლეობის მფარველ ღვთაებად ითვლებოდა (Званба 1885:82).

თუ დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-აფხაზეთში ეს ღვთაება მსხვილფეხა საქონლის მფარველად

გვევლინება, ხევსურეთში მას არქაული სახე და ფუნქციები აქვს შენარჩუნებული, რადგან გარეულ ნადირთა მფარველობას მიაწერენ და ცხოველურ სახესთან აიგივებენ.

თ. ოჩიაურის აზრით, ხევსურული **ანატორის ჯვარი** წვრილფეხა საქონლის წინაპარ ნადირთა (ჯიხვი, გარეული თხა და სხვა) მფარველი ღვთაებაა და ხშირად მასთან (ე. ი. ნადირთან) არის გაიგივებული. „თქვენს ანატორის ჯვარს (ვაცს) შიგ გულში დავკარიო" – ამბობს ქისტი მონადირე (ოჩიაური :70).

ხევსურულ **ანატორს**, მეგრულ **ჟინი ანთარს** და აფხაზურ **აჲთარს** მკვლევართა უმეტესობა მონათესავე ღვთაებად მიიჩნევს და საქონლისა და ნადირის მფარველად წარმოგვიდგენს (ოჩიაური 1967: 70) (ქსე, 1, 1975), (ცანავა 1970: 30). ა. ცანავა **ანთარს** მხოლოდ შინაური ცხოველების მფარველად თვლის, გარეულ წვრილფეხა ნადირთა მფარველობას კი ანატორს მიაწერს.ალ. ჭინჭარაული ანატორს ტოპონიმად განიხილავს. მისი აზრით, აქ ანატორს კი არა, მთავარანგელოზს ლოცულობენ (ჭინჭარაული 1980: 176-177). ა. ტუღუშიც არ უარყოფს ანატორის ტოპონიმიზაციას, მაგრამ მას, ამავე დროს, ღვთაება ანთარის სახელთან აკავშირებს (ტუღუში 1988:86). ტოპონიმების ღვთაებასთან კავშირს გ. ელიავაც ადასტურებს. ის სამეგრელოში დაფიქსირებულ ტოპონიმ **ჟინოთას** ღვთაება **ჟინი ანთარის** არსებობის დასტურად მიიჩნევს (ელიავა 1971: 86).

ტერმინოლოგიური მსგავსებიდან გამომდინარე ანთარს ირანულ ცეცხლის ღვთაება ათართან აკავშირებენ. ს. მაკალათია თვლის, რომ აფხაზური **აჲთარ** და მეგ-

რული **ჟინი ანთარი** არის ავესტაში მოხსენიებული **იაზატა** (კეთილი სული) **ათარი** (ს. მაკალათია 1979: **83)**.

მ. მაკალათიას აზრით, მეგრული **ჟინი ანთარი**-ს რიტუალში აისახა კერიისა და მიწიერი ცეცხლის კულტი, რომელიც მჭიდროდ არის შერწყმული **ჟინი ანთარის** ანუ ციური ცეცხლის კულტთან (მ. მაკალათია 1979: 83).

ბ. კუფტინი ღვთაება **ანთარ** // **ანატორ** // **აჲთარ**ს უკავშირებს თამუზდის იდეოგრამა AN-TUR-ZI-ს (Куфтин 1949:53).

აფხაზურ **აჲთარს** ხეთების ჭექა-ქუხილის ღვთაება **თარუ**სთან აიგივებს შ. ინალიფა (Инал-ипа 1979: 201).

მიუხედავად თვალსაზრისთა სიმრავლისა, აღნიშნული ღვთაება გვევლინება საერთო ქართულ ფენომენად, რომლის ეტიმოლოგიაც ქართული მასალების მოშველიებით შეიძლება აიხსნას.

ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ მეგრული **ანთარი**, ხევსურული **ანატორი** და აფხაზური **აჲთარ** ერთი და იგივე ღვთაებაა. მისი აზრით, **აჲთარი** შესაძლოა წარმომდგარიყო **ანთარისაგან**, ხოლო, **ანატორი** რთული ორნაწილედი სიტყვა უნდა ყოფილიყო, რომელიც შედგებოდა **ანა** და **ტორი**საგან (ივ. ჯავახიშვილი 1926: 82-84).

ამ საკითხს შეეხო აგრეთვე მკვლევარი რ. პატარიძეც. მან სემურ-ფინიკიური დედა-ანბანის გამოყენებით ქართულ ასომთავრულ ანბანში გამოავლინა აზრჩადებული მოხაზულობის მქონე რამდენიმე ასო-ნიშანი და ერთი მათგანის **ან**-ის მნიშვნელობაც დაადგინა. მისი აზრით, ასომთავრული **ან** (Ⴀ) თუ ფინიკიურის მონაცემებს გავითვალისწინებთ, მთვარის ღვთაების სახელი უნდა იყოს, რადგან ის მართლაც, მთვარის, ნახევარმთვა-

რის პირობით გამოსახულებას წარმოადგენს (პატარიძე 1980: 95). გარდა ამისა, ის შეეცადა ქართული ასომთავრულის ანი დაეკავშირებინა შუმერული ცის ღვთაების სახელთან.

საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული **ანთარზე** ა. ტუღუშს. გამოიკვლია **ანთარი**ს პირველი ნაწილი „ანი" მთვარის ღვთაების ქართული წარმომავლობა სვანთა (ვ. ბარდაველიძე) და აფხაზთა (შ. ინალიფა) წარმართულ პანთეონებში, იგი მის მეორე ნაწილზეც საკმაოდ საყურადღებო, ინტერპრეტაციას იძლევა. მისი შეხედულებით, ქართული სიტყვა მთავრის შესატყვისი მეგრული „**თარი**", რომელიც დიდს, უპირველესს ნიშნავს. ამ ღვთაების ეპითეტად მიიჩნევა.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ღვთაება ანი, რომელიც მთვარის ღვთაების ნიშნებს ატარებს, ადრე ცის ღვთაება უნდა ყოფილიყო, რომ არაფერი ვთქვათ შუმერულ და ეტრუსკულ მონაცემებზე. (შუმ. ან – ცის ღმერთი, ეტრ. იანუს – ცა), ამაზე მიუთითებს სვანური იანის ზედწოდება „**დეცეშ**" ცისა, ციური (ტუღუში 1988: 158).

ნ. აბაკელიაც ღვთაება **ჟინი ანთარს** ცის ძველ კოლხურ ღვთაებად მიიჩნევს (აბაკელია 1983: 150). გამოთქმულია აზრი, რომ ანტიკური ეპოქის კოლხური მითოლოგიის მიხედვით, გეა დედამიწა ითვლებოდა ყველა კოლხური ღვთაების დასაბამად, ხოლო ცა გამოდიოდა როგორც მამაკაცური საწყისი, რომელიც ანოყიერებდა მიწას.

მკვლევარი ხ. გოგია უარყოფს ღვთაება **ჟინი ანთარის** წარმართულ ბუნებას და მას ევანგელისტური სიმბოლი-

კიდან მომდინარე საღვთო სახელად მიიჩნევს. ის, სხვა მკვლევართა მსგავსად, განმარტავს კომპოზიტის პირველ ნაწილს **ჟინიში**ს, რომელიც უმაღლესს, უზენაესს შეესაბამება, ანთარს კი ბერძნული αλταρη-დან მომდინარედ მიიჩნევს. ასე რომ, მისი აზრით, **ჟინი ანთარის** თაყვანისცემა უნდა იყოს თაყვანისცემა ზეციური საკურთხევლისა, სადაც წმინდა სამების უხილავი საიდუმლოება სუფევს (გოგია 2001: 17).

ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულია და წერილობით წყაროებშიც დაცულია რწმენა **გალენიში ორთას**, **ჟინიში ორთას** და **ჟინიშის** შესახებ. მთხრობელთა მოწმობით, გალენიში მიცვალებულთა სულებია, ორთა კი მათი ძალაა და, ვინაიდან საქონელს ემტერებოდა გარეული ნადირი, ისინიც (მთხრობელებიც) თავიანთ მიცვალებულებს საქონლის მათგან დაცვას შესთხოვდნენ. **გალენიში** ლოცვას მიმართავდნენ მაშინაც, როცა საქონელი ავად გახდებოდა. საქონელზე შემოტარებულ ალუმინის ჭურჭელს დებდნენ განსაზღვრულ ადგილას დანაპირების შესრულებამდე. **გალენიში** საპატივცემლოდ გაშლილ ტაბაკზე ოჯახის უფროსი გალენიში ორთას, რომელმაც მის საქონელს ვნება მიაყენა, დახსნას ევედრებოდა. **გალენიშის** ულოცავდნენ აგრეთვე ძროხებს ყოველ ხბოს მოგებაზე, მოგებიდან ერთი კვირის თავზე.

ნადირთ მბრძანებელ **გალენიში ორთასადმი** შესრულებულ საიდუმლო რიტუალს ი. ქობალიასთან ვხვდებით. **აგვარა** // **ქართაში** გაშლილ ტაბაკთან, რომელზეც აწყობდნენ შემწვარ თიკანს, რძის ფაფას, ელარჯს, ჭვიშტარს, ახალ ყველს, წყალსა და ღვინოს „უჩინარ სტუმრებს უმასპინძლდებოდნენ“ და **გალენიში ორთა**ს საქონლის გა-

მრავლებასა და „შეუმწვარ-მოუხარშავის მჭამელთაგან“ დაცვას ევედრებოდნენ (Кобалия 1903 : 100)[1].

ასევე საქონლის მფარველობას შესთხოვდნენ გალენიში ორთას ს. მაკალათიას მიერ აღწერილ რიტუალში. საქონლის პატრონი, რომ დაეცვა შინაური პირუტყვი მოარული სენისაგან, **გალენიში ორთა**ს მიუჩენდა კურატს ან თიკანს, რომელსაც ორი წლის შემდეგ დაკლავდა. გაშლილ სუფრასთან დაილოცებოდა და ღვინოს მაღლა აასხამდა შემდეგი სიტყვებით – „ამდენი საქონელი გამიმრავლეო“ (ს. მაკალათია 1927 :98).

ა. ჭანტურიას მასალებიდან ირკვევა, რომ **გალენიში ორთა** მკვდრების სალოცავია და მას ევედრებიან საქონლის და ასევე შინ და გარეთ მყოფ ოჯახის წევრთა მფარველობას (ჭანტურია : 215). პ. გიორგაძის მასალების მიხედვით, წვრილ ოთხფეხ საქონელს მთისკენ გარეკვის წინ ულოცავენ „გარეულების“ ე. ი. მკვდრების სახელზე (გიორგაძე: 184). **გალენიში ორთას** ლოცვის ჩატარება იცოდნენ მიცვალებული წინაპრების საპატივცემლოდ. როდესაც ოჯახში ვინმე ავად გახდებოდა, ასევე ახალდაბადებული ბავშვისთვისაც (აბაკელია :89)[2]. **გალენიში**

---

[1] ი. ყიფშიძესაც ქობალიას მიხედვით მოაქვს „გალენიში ორთას“ რიტუალი და ლოცვა (Кипшидзе И. დასახ, ნაშრომი, გვ. 128). აღნიშნულ ავტორთა გარდა, ცნობები „გალენიში ორთას“ შესახებ შემონახულია თეოფანე არქიმანდრიტის ნაშრომში „უწყება სამეგრელოს სამთავროს ჯვარის მაზრასა ში(ნ)ა ეკლესიებისა და სამღვდელო საეკლესიო მსახურთა და სამრევლოთაგან შედგენილი 1852 წელსა“, რომელიც ინახება ზუგდიდის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში. იხ. ზსიემ 18634, დოკუმენტი 7602.

[2] ს. მაკალათიას მასალების მიხედვით, „გალენიში ორთას“ ლოცვას მელოგინე ქალიც ასრულებდა (ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ, 185). ნ. ჯანაშიას მასალების მიხედვით, აფხაზეთში „კარში მყოფთა“

**ორთა** რომ მიცვალებულთა სულების ძალას ეწოდება, კარგად ჩანს ს. მაკალათიას მიერ მიცვალებულთა კულტის აღწერის დროს (ს. მაკალათია 1927: 287) მ. მაკალათიას აზრით, ადამიანისა და საქონლის მფარველი ღვთაების დონემდე აყვანილი მიცვალებულთა სულები თითქოს ყოვლისშემძლენიც ჩანან. თუ რა ძალა მიეწერება მიცვალებულთა სულებს და რა იწვევს მათდამი შიშსა და მოკრძალებას, ამის საილუსტრაციოდ ავტორს მოაქვს ხევსურეთში შემორჩენილი რწმენა „ოხრის სულმკვდრის მიმართ (მ. მაკალათია 1980 : 76).

სვანური მასალების მიხედვითაც, მიცვალებულები გარკვეულ ინტერესს იჩენენ თავიანთი ცოცხალი ნათესავების ბედისადმი. უშულოდ ერევიან მათი ცხოვრების ასე თუ ისე წარმართვის საქმეში.

ამ ძლიერსა და საიდუმლო არსებებს შეუძლიათ სვანის ოჯახს მიწის მოსავალი გაუდიდონ, საქონელი გაუმრავლონ, წველის ბარაქა მიანიჭონ, შვილებითა და სხვა სიკეთით გაამრავლონ, ან პირიქით, ყოველივე ამის გამო, საჭიროა მათი გულის მოსაგებად გარკვეული წესების შესრულება (ბარდაველიძე 1953: 60).

მიცვალებულთა ძალის დემონსტრირებაზე მეტყველებს ნ. აბაკელიას მიერ სამეგრელოში დადასტურებული **გალენიში ორთა**ს გამოყენება ლოცვასა და წყევლის ფორმულაში: „გადიდოს გალენიში ორთამ“, ან „დაგწყევლოს გალენიში ორთას ძალამ“ (Абакелия 1991 :88). აფხაზები მსგავსი დატვირთვით, **აჲთარის** სახელით ფიცულობ-

ე.ი. წინაპრების სულებს დედა-შვილის კარგად ყოფნას ევედრებიან (ნ. ჯანაშია, აბხაზები, მოამბე, თბ., 1897, №11).

დნენ. როცა უნდათ ნათქვამი დაამტკიცონ ან სწყევლიან ერთმანეთს.

როგორც ზემოთ აღნიშნული მასალებიდან ირკვევა, „**გალენიში ორთა**“ მიცვალებულთა სულების ძალაა, რომლებიც ადამიანისა და საქონლის მფარველი ღვთაების დონემდე არიან აყვანილნი. ნ. აბაკელიაც იზიარებს აზრს, **გალენიში ორთა**ს კავშირზე მიცვალებულთა სამფლობელოსთან (სულებთან), მაგრამ ამ ტერმინს არ თვლის მათ (მიცვალებულთა სულების) განზოგადოებულ სახელად. მისი აზრით, **გალენიში** ღვთაება **ორთას** ეპითეტს წარმოადგენს და ასახავს მეგრელთა რწმენის სივრცობრივ ასპექტს. ეს ეპითეტი მიუთითებს ღვთაება **ორთას** ადგილსამყოფელზე, რომელიც სივრცობრივად იმყოფება სახლს, სოციუმს გარეთ, ჰორიზონტალურ სიბრტყეში (აბაკელია 1999 :90).

სამეგრელოში საქონლისა და ადამიანის მფარველობას ევედრებიან აგრეთვე **ჟინი ორთას**. საველე მასალების მიხედვით ჩანს, რომ **ჟინიში ორთა**ს **გალენიში ორთას** მსგავსად, ახალმოგებულ საქონელზე მოგებიდან კვირის თავზე ულოცავდნენ. ასევე ჟინში ორთას რიტუალი **გალენიში ორთა**სთან განუყრელად სრულდებოდა. ი. ქობალიასთან მოტანილ მასალაშიც სამსხვერპლო ფრინველს ოჯახის უფროსი ტყეში, ხის ძირას დაკლავდა და ატყავებდა. ტყავს ჰკიდებდა ხეზე, რაც შეიძლება მაღლა და ასრულებდა საიდუმლო ლოცვას. თუ ერთი წლის განმავლობაში მის საქონელს მოკლავდა გარეული ნადირი ან მეხი, ეს ამ ღვთაების განრისხებას მიეწერებოდა (Кобалия : 112).

ს. მაკალათიასთან დაცული მასალების თანახმად, საქონლისა და ადამიანის მფარველობას ევედრებოდნენ აგრეთვე ჟინიშის (ს. მაკალათია 1927 :81).[51]

საველე მასალებითაც ირკვევა, რომ **ჟინიში** ძალიან ეშინოდათ მეგრელებს. როცა მეხი დაეცემოდა სახლს, ხეს ან მოკლავდა საქონელს, ოჯახი მკითხავის მეშვეობით იგებდა რისხვის მიზეზს, რასაც მოჰყვებოდა ცოდვის გამოსყიდვა და მსხვერპლშეწირვა. (სამსხვერპლოდ თიკანი იყო განკუთვნილი).

მ. მაკალათიას მიხედვით, ჟინიშის საქონლისათვის ლოცვას უწოდებდნენ (მ. მაკალათია 1979 :81).

პ. გიორგაძის მასალების მიხედვით, ჟინიში ჭექა-ქუხილის ღვთაებად გვევლინება. ამ ღვთაების სახელი იმ საგალობელშიც იხსენიება, რომელიც აფხაზებმა აუცილებლად უნდა სთქვან, როცა მეხნაკრავი პირუტყვის ადგილიდან დაძვრა სურთ „ვაი ეტლარ, აჲთარ ეტლარ, ეტლარ ჩოფჰარ (გიორგაძე :92)[1].

თ. სახოკია აზრით, ჟინიში, რაც ზეციურს ნიშნავს, სალოცავად აქვთ სამურზაყანოსა და მის მოსაზღვრე სამეგრელოს ადგილებში (სახოკია 1989: 147).

თუ გავითვალისწინებთ რომ **ორთა** ღვთაება **ანთარი**ს ფონეტიკურ სახეცვლილებად (ჯავახიშვილი 1926 :115) და ორი ღვთაების სახელად მიიჩნევა, მაშინ ღვთაებრივი წყვილის **გალენიში ორთა**ს და **ჟინიში ორთა**ს მიმართება **გალენიში** და **ჟინიში**სთან ადვილი ასახსნელია, რომლებშიც საზღვრული **ორთა** ჩავარდნილია და ტერმინი წარმოდგენილია მხოლოდ ნანათესაობითარი ფორმით **გალენიში** და **ჟინიში**. რიტუალებისა და ღვთაებების ფუნქცი-

---

[1] ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ „ეტლარ“ შეიძლება აფხაზური სიტყვა „ეტლის“ მრავლობითი რიცხვი იყოს, ე. ი. მნათობი, ხოლო „აჲთარი“ ღვთაების სახელია (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, გვ. 122).

ათა იდენტურობიდან გამომდინარე იგივე თვალსაზრისს ავითარებს ნ. აბაკელიაც. მისი აზრით, **ჟინიში** იგივე **ჟინი ანთარი** უნდა იყოს, რომელსაც **ანთარი** როგორც გაუგებარი, მნიშვნელობადაკარგული ტერმინი ჩამოშორდა და დარჩა მხოლოდ **ჟინიში** (აბაკელია 1999:147).

ნ. აბაკელია თვლის, რომ აღნიშნული ღვთაებების **ჟინიში ანთარი**, **ჟინიში ორთა** და **ჟინიშის** სახით შესაძლოა საქმე გვქონდეს სამი სახელით შემორჩენილ ერთი და იგივე ცის პოლიფუნქციურ უზენაეს ღვთაებასთან, რომლის ერთ-ერთმა ემანაციამ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მიიღო სინკრეტული ხასიათი და წმინდა გიორგის სახით იქნა წარმოდგენილი (აბაკელია 1999 :160).

საქართველოში წმინდა გიორგის პოპულარობასა და ძლევამოსილებას ამტკიცებს მრავალი თქმულება, მითი, ლეგენდა, რომელთა დაყრდნობითაც ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ წმინდანთა შორის წმინდა გიორგის პირველი ადგილი უკავია (ჯავახიშვილი 1926:125). ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერი ტრადიციის მიხედვით, საქართველოში წმინდა გიორგის სახელზე იმდენი ეკლესიაა, რამდენი დღეცაა წელიწადში.

სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფასა და ამ ყოფის ამსახველ წერილობით წყაროებში მრავლად დასტურდება წმინდა გიორგის ძლიერი კულტი და სალოცავები.

მ. მაკალათიას ღვთაება **ჟინიშის** რიტუალში მოაქვს მთხრობელთა პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ ეს ლოცვა ილორის წმინდა გიორგის საპატივცემლოდ იყო. **ჟინიშის** წმინდა გიორგის შესთხოვდნენ, რომ საქონელი გაგვიმრავლე, არაფერი დაგვაკლდეს და კარგად გვამყოფეო (მ. მაკალათია :264).

ს. მაკალათიასთან დაცული მასალებით, ვისაც დათქმული ჰქონდა **ჟინიში ხვამა** მას წმინდა გიორგის ეკლესიაში რკინის ორკაპიანი ბორძალი მიჰქონდა. ყოველწლიურად სრულდებოდა წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი რიტუალი **საჯგეგო** (ჯგეგე – წმინდა გიორგია)[1], რომლის დროსაც წმინდა გიორგი ჯგეგე მადლიანს გამრავლებას, ყოველივე ფათერაკისაგან დაცვას შესთხოვდნენ (მაკალათია 1980 :320).

ადამიანის მფარველობის გარდა, წმინდა გიორგის მთაზე ასული მწყემსები საქონლის უვნებლობასაც ევედრებიან (სახოკია 1950: 264).

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, წმინდა გიორგი წარმართობის დროინდელ მთვარის ღვთაებას ჩაენაცვლა. ქართულ წარმართულ პანთეონში კი ასტრალურ მნათობებს მზესა და მთვარეს სერიოზული ადგილი ჰქონდა დამკვიდრებული.

სადღეისოდ დადგენილია, რომ რელიგიის ისტორიაში მთვარის კულტი ნაწილობრივ დაკავშირებულია მესაქონ-

---

[1] ნ. აბაკელიას აზრით, წმინდა გიორგის მეგრული სახელწოდებების ჯგეგე // ჯერგე // გეგე // ერგეს ეტიმოლოგიური კვლევა დასაბამს აძლევს სხვადასხვა მოსაზრებას. მეგრული ჯგეგესა და სვანური ჯგერაგის შედარებისას, მათ სახეში შეიცნობდნენ წარმართულ სალოცავს, კერძოდ, წმინდა მეხს, სხვები სვანური ჯგერაგის გაშიფვრისას მასში საწყის ფორმად ხედავენ მეგრულ ჯგერა გეგეს ანუ კეთილ გიორგის, ზოგი ჯგირაგის საწყის ფორმად მეგრულ ჯგერაგუნას თვლის, რომელიც წმინდა აგუნას შეესაბამება. (ნ. აბაკელია, არქაული კულტები და რიტუალები საქართველოში. კრებული სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევი, თბ., 1999, გვ. 296).

ლეობის განვითარებასთან და, შესაბამისად, პირველი ასტრონომიული ცოდნის გაჩენაც მესაქონლეობის ადრეულ პერიოდს უკავშირდება (Штернберг 1938 :510).

სამეგრელოში მთვარის ღვთაებას კვირის პირველი დღე ორშაბათი 1980/ **თუთაშხა** (თუთა მთვარეა) განუწესეს თაყვანსაცემად. მეგრელები ამ დღეს განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ, რაც უქმობაში გამოიხატებოდა. ორშაბათის მრავალრიცხოვანი აკრძალვებიდან საქონლის ბედობას უკავშირებენ მამაკაცის თმის შეჭრისა და წვერის გაპარსვის აკრძალვას. ხალხის რწმენით, ვინც ამ ტაბუს დაარღვევდა, საქონლის ბედი // **ფენდა** არ ექნებოდა.

ს. მაკალათიასთან დაცული მასალების მიხედვით, ორშაბათს არ შეიძლებოდა სხვაგან წასვლა, საქმის კეთება, წუხილი, მიცვალებულის დასაფლავება და ა. შ (ს. მაკალათია 1964 :315)[1].

დიდმარხვის ორშაბათის ფუძის სალოცავში დიასახლისი თუთაშხა ბედნიერს ადამიანისა და საქონლის გამრავლება-კეთილდღეობას ევედრებოდა[2].

---

[1] ჟან შარდენის ცნობით ქართველები განსაკუთრებული ღვთისმოშიშებით იცავენ ყოველი წლის ან თვის პირველ ორშაბათს, რომელსაც ახალ თუთაშხას უწოდებენ (ჟან შარდენი, მოგზაურობანი სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ. 1975, გვ. 187).

[2] ახალ ორშაბათს ოჯახის დიასახლისი კვერიან კალათას კერასთან მისდგამდა. გამოჩნდებოდა თუ არა ახალი მთვარე და ვარსკვლავები კარს მიხურავდა, სანთლებს აანთებდა, კერასთან დაიჩოქებდა და ლოცულობდა. ლოცვის დასასრულს კარს გააღებდა და ოჯახის თითოეული წევრი ბალახიან ბელტს კედელს ესროდა შემდეგი სიტყვებით: „ღმერთო და თუთაშხა ბედნიერო, ამ ბელტის ბალახის რაოდენობა გამიმრავლე, ადამიანი და საქონელიო (ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1964, გვ. 317).

